


老子

道德经



<http://illuminati.ge/>

სადავო მხარეში მდებარეობს კავშირები ანსტრუქცი  
მხარეში მდებარეობს ღა ღობეობაში  
კავშირები მდებარეობს სანქციონი კონსტრუქცი



老子

---

სამ-მი

დამ

დე

მინი



განთავსებულია „განათლებლა“  
თბილისი, 1990

ძველი ჩინური ფილოსოფიური თხზულება „დაო დე ძინი“, ანუ „წიგნი ჯზისა და საინოებისა“ პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებად არის აღიარებული, ხოლო მისი შემოქმედი — ბრძენთაბრძენი ლაო-ძი (VI ს. ძვ. წ.) — ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსად მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. შემთხვევით არ უწოდებიათ ამ წიგნისათვის გადმოპირქვავებული პირამიდის წვერი; ოცდახუთი საუკუნის წინათ მასზე აღმოცენდა ერთ-ერთი უდიდესი მოძღვრება ჩინეთისა — დაოიზმი. მანვე დააუღო სათავე ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობას არა მარტო ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ლაო-ძის თხზულება მეორედ ქვეყნდება ქართულ ენაზე.

**მეორე გამოცემა**

თარგმანი, შესავალი და განმარტებანი  
ლირი ალიმონაკისა

0301020000 — 485  
II ————— 359 — 90  
M-602 (08) — 90

ISBN 5-505-00686-8

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983

**განყოფილება**

**I**

სიბრძნე  
სიკეთისა  
და  
სათნოებისა



კაცი, რაგანს ხაქმეს განასრულებს;

სიმარტოვეში უნდა უწოდეს;

კაცი, ხაქმეს რომ აღასრულებს;

სოფლიურ უსასრულობას უნდა შვეროს.

ახე ბრძანა ოცდახუთი საუკუნის წინათ ჩინელმა ბრძენთაბრძენმა ლაო-ძიმ ბრძანა და გაუჩინარდა. მიუბოძა „დაო ღე ძინი“ კაცობრიობას, უხუნაესი სიყვარულითა და სიკეთით რომ ადავსებდა ყოველ არსებას, და თავად უსასრულობას და და ო ს ვაწვედიადებულ და გასხივოსნებულ წიაღს დაუბრუნდა. მისი სული სამყაროს მარადიულ სულში გაიმჭვრა და გარდაიცვალა. მან აღასრულა ის, რასაც თავისი მოძღვრებით ქადაგებდა. ამიტომ გაამითიურეს და გაადვითიურეს მისი სახელი, ხოლო მის ბრძნულ წიგნს კაცობრიობის შარადიული საგანძური უწოდეს. დღიდან შექმნისა უწმინდეს და საკრალურ წიგნად შერაცხეს იგი ჩინეთში. როცა ერთხელ, ჩინეთის ერთმა იმპერატორმა ბრძოლა გამოუცხადა დაოისმს და სახადხოდ დაწვა ყველა დაოსური წიგნი, „დაო ღე ძინი“ ხელუხლებელი დატოვა. მისთვის იგი წმიდათაწმიდა იყო.

„დაო ღე ძინის“ ფუძემუხ აღმოცენდა უდიდესი მოძღვრება ჩინეთისა დაოისმი. მის ძირზე ამოიხარდა ერთ-ერთი დიდი შტო ჩინური ფილოსოფიური აზროვნებისა და რელიგიური მოძღვრებისა, ჩინური პოეზიისა და ლიტერატურისა, ჩინური ფერწერისა და მუსიკისა. „დაო ღე ძინი“, და ო ს მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე დაუმრეტელი წყარო იყო ფილოსოფოსთა და მორწმუნეთათვის, პოეტთა და მხატვართათვის, სიმართლის თანამგრძნობელთა და უმაღლესი არსებობის ძებნელთათვის. ამ წიგნში მარად ჰერეტდენ სიბრძნესა და სიწმინდეს, სიკეთესა და სათნოებას. ჩინეთში არსებობს წიგნსაცავი, სადაც მხოლოდ „დაო ღე ძინისადმი“ მიძღვნილი ათასობით ტომია დაცული. ოცდასამი საუკუნეა, რაც იკვლევენ და სწავლობენ „დაო ღე ძინს“.

მას შემდეგ, რაც დასავლეთი ევროპა გაეცნო ლაო-ძის თხზულებას (XVII-XVIII სს.), უმაღლეს ერთ-ერთ უდიდეს წიგნად აღიარეს მსოფლიოს ფილოსოფიურ და რელიგიურ წიგნებს შორის. იგი ყველა გულტურულ ენაზე თარგმნა. ხოლო დღეს გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მისი ათობით თარგმანი და გამოცემა არსებობს.

არ გამოჩენილა ვეროპაში ასე თუ ისე დიდი მოაზროვნე ან შერალი, მისი ყურადღების არემი რომ „დაო ღმ ძინს“ და მისი ნახევრად ლეგენდარული შემოქმედი არ მოქცეულიყოს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ლეკ ტოლსტოი გახლდათ. მან დიდი დრო და ენერჯია შეაღწია ლაო-ძის მოძღვრების იდეების რუსეთში გავრცელებას და „დაო ღმ ძინს“ რუსულად თარგმნის საქმეს.

ეს ყოველივე შეტყვევებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „დაო ღმ ძინს“ და რა დიდი წვლილი შეიძლება შეიტანოს მან ყოველი ერის აზროვნებასა და კულტურაში. მისი ფილოსოფიური აზრის სიღრმე და რელიგიური სულის სიმწიფე, მისი კითხური მაქსიმუმი და ზნეობრივი აფორიზმები მარადიული თანამდევია კაცობრიული ყოფიერებისა.

## I

ლაო-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანად ჩინური ისტორიოგრაფია აღმოსავლეთ ჯოუს (VIII—III სს. ძვ. წ.) ეპოქას ასახელებს<sup>1</sup>. ეს ხანა ცნობილია აგრეთვე როგორც „ხუთი ჰეგემონის“ („უბა“) ხანა, რადგანაც სწორედ ამ დროს გაძლიერდნენ ცი სი, ჩუ სი, ცი ნი სი, ძი ნი სი და იუ სი სამთავროები. პატარ-პატარა სამთავროების რიცხვი კი ასორმეცხრამეტად აღწევდა. ჯოუს ეპოქა ცნობილია სამთავროების შორის დაუსრულებელი ომებით, დარღვეული იყო ხელშეწყობის ერთიანობა. ომებს ადგილი ჰქონიათ ადრეც, ი ნი სი ეპოქაშიც; მაგრამ ჯოუს ეპოქაში ისინი მოძღვრებულა. თუკი მუშავდა საუკუნეში სომარ ეტლთა რიცხვს 600 ასახელებენ (ბრინჯაოს ჭურჭელს მინაწერთა მიხედვით), მეტეველ საუკუნეში მათი რაოდენობა 1000-მდე გაზრდილა, ხოლო მეხუთე საუკუნეში 4000-თვის მიულწეოა. ძველი ჩინეთის სამეფოები არა მარტო ერთმანეთს, არამედ არაჩინურ ტომებსაც ეომებოდნენ. ისინი ამ გზით იფართოვდნენ სამფლობელოებსა და ხელშეწყობებრივ უფლებებს. ომები საშუალება იყო გაძლიერებისა და მონათა დარღვევებისა. მაგრამ გაუთავებელი ომები, იმავე დროს, აღტაცებდა სოფლებს და ქალაქებს, მატულობდა აჯანყებულთა რიცხვი, მდიდრდებოდნენ დიდებულები და მშრომელები, ხალხი კი მიძიმე უღელქვეშ გმინავდა. ფილოსოფოსი მე-ნ-ძი გადმოცეცემს: მდიდრებსა და წარჩინებულებს „სამზარეულო ავსებული აქვთ მსუქანი ხორცითი, ხოლო თვლავში ნახუქალი ცხენები უბიათ. ხალხი კი წელშია გაწყვეტილი და მინდვრებში შიმშილით დახოცილთა გვამები ურია“ (35, 27). დ უ გ და ს ი ასე ახასიათებს ამ ეპოქას: „ჯოუს ეპოქა სრულ ძლეუარებას მოეცვა. თავაშვებულ ვნებებს, სიხარბებსა და პატივმოყვარეობას დაეპყ-

რო მთელი სასოვადობა. ხალხი მხოლოდ პირად მიხნებს მორჩილებდა. აბუხად იყო ადგილები მოკრძალება და კეთილგონიერება. არად ქცეულიყო ომი და კაცთა კვლა, დატაცება და ძარცვა. ხელშეწყობი — ნაცვლად იმისა, მფარველობა გაეწიათ ხალხისთვის და ზნეობათა კითხილდებობისათვის — გადასახადებს ზრდიდნენ, მითხოვდნენ დამატებით ხარაჯსა და, თუკი შრომელი ხალხი წინააღმდეგობას ვაძლეავდა, შეიარაღებული ჯარის ნაწილებს პირდაპირ ეანებში გზავნიდნენ“ (6, 182). ლაო-ძის ეპოქაში „უმაღლესმა პრინციებმა დიდისანია დატოვეს იმპერია“ და ჭეშმარიტებისა და სათნოების ერთადერთი სახომად ძალდომრეობა იქცა. ძველთა და სამეფო კარის ცხოვრება კი ბრწყინავდა და ელვარებდა. მათ სასახლებსა და სიმიდრეს ათასობით შეიარაღებულ ჯარისკაცთა იცავდა; ხოლო ხელშეწყობი მუსიკითა და მეჯლისებით ირთობდნენ თავს. ძველი ზნეობა ინგროვდა, ახალი კი ჯერ არსად ჩანდა. ისევ მან-ძი უნდა მოეშველით: „ქვეყანს დაიტყვა, სწორი გზა გაიშრულა. კვლავ მოქვლინა ძველსა ჭორი, ერისი, ძალადობა. ხელქვეითი ხელშეწყობი კლავს, ხოლო შვილი — მამას“ (35, 28).

მაგრამ ამავე ეპოქის წიაღში თავს იჩენს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრებიც. იგი ხასიათდება ღრმა და მნიშვნელოვანი ცვლილებებით სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-სულიერ სფეროებში. ეს ცვლილებები განაპირობა რკინის აღმოჩენამ, რკინის იარაღის გავრცელებამ, ვაჭრობის ზრდამ, ქალაქთა განვითარებამ. თანდათან ქრება პატარა სამთავროები, ძლიერდება და ღორძინდება დიდი, ერთიანი სამეფოები. იზრდება მოსახლეობისა და ქალაქების რიცხვი. ძლიერდება სამაწათმოქმედო და საწარმოო მეურნეობები, ხორციელდება ახალი სავაჭრო ურთიერთობის ათვისება, ვითარდება ირიგაციის სისტემა. სოფლის მეურნეობის განვითარებამ წარმოშვა ახრი მის უპირატეს როლზე ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. არანაკლები ძალით ვითარდება აგრეთვე ხელისუფლის წარმოება, ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ავტორობის განვითარებას როგორც ცალკეულ სამეფოებში, ისე მათ მიმდებ. ეს პერიოდი საერთო ეკონომიკური აღორძინებით აღინიშნება.

ჯოუს ეპოქის V—III საუკუნეები ცნობილია აგრეთვე მძაფრი კლასობრივი ბრძოლებით. გაბატონებულ კლასებს დამონებული ჰყოფდათ ხალხი. ხალხის დასათრეუნავად ათასნობრივ იდეოლოგიურ საშუალებებს მიმართავდნენ, ეს მოვლენები უნიტებულად დიდ სახალხო აჯანყებებს, რაც თავისთავად იწყებდა სოციალურ ცვლილებებს და ახალი იდეოლოგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ასე რომ, მკვერთმა სოციალურმა ძვრებმა წინადაგი მოუშინავეს გადამწყვეტ ცვლილებებს

<sup>1</sup> შესავალ ნარკვევას და განმარტებებში ფრხილბემა ჩასმული მძიმედან მარცხენარ რიცხვი ბიბლიოგრაფიის ნომერს აღნიშნავს, ხოლო მარჯვენა — წიგნის გვერდს.

აზროვნების სფეროშიც. ძველი ჩინელი მოაზროვნეები დიდ ცნობის-  
წადილს იხიენ ბუნების მოვლენათა შესწავლაში. ამ საფუძველზე  
აღმოცენება იწყებს დიდაქტიკა და რაციონალიზმი, თანდათან დავი-  
წყებას ეძლევა მითოლოგია და აზროვნების ნატურალისტური ფორმე-  
ბი. საფუძველი ვერება ფილოსოფიურ აზროვნებას.

მაგრამ ჯოუს ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული  
აღორძინება სიცარიელიდან არ დაწყებულა; ჯოუს დინასტიას წინ  
უძღვდა ინის დინასტია, რომლისგანაც ბევრი რამ იხსენებს ჯოუელში.  
„ჯოუელთა ტომები უხვად სარგებლობდნენ უფრო ძველი და უფრო  
მაღალი ინის კულტურის ბევრი ელემენტით. ჯოუელეზმა ინელთაგან  
გაძლიერეს დამწერლობა, ქრონოლოგიის სისტემა, არქიტექტურული  
ტილი, მისინათა წესები და რელიგიის ზოგიერთი ფორმაც. ჯოუელ-  
ელები აღიარებდნენ ინის დინასტიის კულტურულ მიღწევებს და თავი-  
ანთ თავს ინელთა მემკვიდრედ და მათ შთაბრძნულებად თვლიდნენ“  
(3,641). ჯოუელთათვის მისაღები იყო ინელთა ზნეობრივი თუ სახელ-  
მწიფობრივი კანონები. ჯოუს ხანის საზოგადოებრივი წყობილება  
დღეხანს ინარჩუნებდა განვლილი დროისათვის დამახასიათებელ ბევრ  
ტიპურ ნიშანს. მაგალითად: ჯერ კიდევ მკაცრად იცავდნენ პატრიარ-  
ქალური ოჯახის ადათ-წესებს. პატრიარქალურ ოჯახში მამის ძალა-  
უფლება განუსაზღვრელი იყო; მას ოჯახის ყოველი წევრი უსიტყვოდ  
უნდა დამორჩილებოდა. მამის იერარქიული უპირატესობა სახელმწი-  
ფობრივო ძალაუფლებით იყო დასტურებული. მეფე სიუანის (877-  
782 წწ. ძვ. წ.) ბრძანებაში ნათქვამია: „ხელეკების არქონი  
შემთხვევაში არა აქვს უფლება წინ აღუდგას თავისი უშუალო უფროსის  
გადაწყვეტილებებს. ამის დაშვება შეუძლებელია, რადგანაც შეიძლება  
მამათა გასამართლებას დაიწყებენ და ერთმანეთისაგან ვეღარ განვა-  
სხვავებთ უფროსსა და უმცროსს“ (3,645). ფ. ხ. ბიკოვი აღნიშნავს:  
„ჯოუს ეპოქა ბევრ რამეს დაესესხა ინის კულტურას. შეინარჩუნეს  
და განავითარეს წარმოდგენა ცი და მუუუებაზე, როგორც უმაღლეს  
სულზე, რაც განავებს ბუნების მოვლენებსაც და ადამიანის მიღე-  
ვეობასაც. ჯოუელთა „ცისა და მიწის კავშირის ერთიანობის“ თვალ-  
საზრისმა დასაბამი დაჯდო „ცის შუფების“, „ცის ბედის“, „ცის  
ბედისწერის“ წარმოდგენათა აღმოცენებას. მოვეყვანებით კი თავს იხიენ  
დამომდებელი „ვეთლშობილი კაცის“ („აძიუნ ძი“) ზნეობრივი თვის-  
ებების, მშობელთა თაყვანისცემისა და სხვათა შესახებ“ (22, 26). ამ  
ზნეობრივი კოდექსების შექმნის აუცილებლობა განსაზღვრა ურთიერ-  
თობების არაადამიანურ ფორმათა აღორძინებამ. და მართლაც ჯოუს  
ეპოქაში ორად მეოფდნენ იმპერატორებს: „კუილგონიერ“ და „ძალ-

მომრე“ იმპერატორებად (19, 391). ასე რომ, როცა ლაო-ძი ამ ცნებებს  
მიმართავს, ამას ისტორიული საფუძველები აქვს. „ლაო ძე ძინის“  
მეწიფებელ თაემ ასეა დახასიათებული ხელმწიფეთა ზნეობრივ-ეთი-  
კური იერარქია: „კუილია ხელმწიფე; ვინცა სიყვარულსა და დიდებას  
მოითხოვს ხალხისგან. შლეკია ხელმწიფე; ვის წინაშეც ძრჩის  
ხალხი. გულბოროტია ხელმწიფე; რომელი ხელმწიფეც ეისობებათ“.

ინის დინასტია რომ დაემხო, ჯოუს ეპოქამ უფრო განვითარებულ  
საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დაფუძნებული, უფრო დიდი და  
ძლიერი სახელმწიფო შექმნა. ამ ეპოქაში განვითარდა მწველობა.  
მმართველობის საღვეები ხელთ იგდო განათლებულმა არისტოკრატე-  
ბი; იმისი განავებდნენ მწველობასაც და მთელ კულტურასაც. პირველი  
ათასწლეულის შუა ხანებში სწორედ მათ დაიწვეს პოლიტიკური, ფი-  
ლოსოფიური, მითოლოგიურ-რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური სისტე-  
მების ჩამოყალიბება (31,247). დაიავს კითხვა: რა ფორმებით და მოთ-  
ვებით ემართათ „ციხსქვეშეთი“? ეს საკითხი აღვევებთ იმ დროის  
თითქმის ყველა მოაზროვნეს. ამ პრობლემის გადაწყვეტის ნაირგვარ-  
რობამ განსაზღვრა სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის აღმოცენება.  
ძველი ჩინელი ფილოსოფოსები სწორედ ამის გამო იჩენდნენ განსა-  
ვრებულ ცნობისწადილს სოციალ-პოლიტიკური და ზნეობრივ-ეთი-  
კური საკითხებისადმი, ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ  
ძველი ჩინეთში ფილოსოფიური აზრი აღორძინდა ძვ.წ. VI—III საუკუნე-  
ებში, იმ ეპოქაში, როცა სოციალურ წყობაში მომხდარი ცვლილებები  
დაწინებით მოითხოვდნენ იმ პრინციპების გადახრებას, რაც საზოგა-  
დოების ურთიერთდამოკიდებულებას ედო საფუძველად (19,399). ლაო-ძი  
ამ ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და ცდილობდა ადამიანის დარბეულ  
სულში აღედგინა ის პირველქმნილი შეგება, რაც ე დ ი ა დ ი ე რ თ ი -  
ბ ი ს კანონს მყარსა და შეუღლეს გახდიდა; იმ დიადი ერთობის კანონს,  
როცა თემის წესრიგსა და ურთიერთთანხმობას ბუნებობის პრინ-  
ციპებით ედო საფუძველად; როცა არც მწავრდენნი იყვნენ და არც ჩაგ-  
რულინი; ლაო-ძის სურდა ადამიანში აღედგინა იმ ეპოქათა სულიერი  
გამომახილი, ოდეს ციხსქვეშეთში ყველაფერი საერთო იყო და ყოველი-  
ცის სამართლიანი კანონები განაგებდა; ოდეს ადამიანთა შორის დიადი  
თანხმობა და მშვიდობა სუფევდა; ოდეს ადამიანები მამაშვილებად  
ეყვრობოდნენ არა მხოლოდ საკუთარ შვილებს, არამედ სხვის შვილე-  
ბსაც; ოდეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ იღვწოდნენ, არამედ  
სხვებისთვისაც; ოდეს კარს არ ეკრებოდნენ არა იმიტომ, ქურდობა და  
ავასაკობა რომ არ იყო, არამედ იმიტომ არ იყო ქურდობა და ავასაკობა,  
კარს რომ არ ეკრებდნენ. ამიტომ არ აღიმგროდა ბოროტი ზრახვები,

ამიტომ პქონდათ მოხუცებს თავშესაფარი, ჩვილ ბავშვებს ამიტომ წყალობდნენ განსაკუთრებით (2,599). იქნებ ამ სინამდვილის ანარქულიც იყოს ლაო-ძის შემდეგი სიტყვები: „რაც შეტია აკრძალვა: მით შეტია სიღარიბე. რაც შეტია იარაღი: მით შეტია აპხოხი. რაც შეტია უმეტრება: მით შეტია სიხარბე. რაც შეტია კანონი და ბრძანება: მით შეტია ქურდი და ავაზაკი“. ამავე თავში ასე ღვერს ლაო-ძის დამოდგრა: „მე შშვრდად ვარ და: ხაზს თავად ეუფლება სამართლიანობა. მე უმომქლოდ ვარ და: ხაზს თავად ეუფლება კეთილშობილება“. ოღეს დიარღვა დიადი და ო ს ხ და ც ი ს ძეუფების კანონი, ანუ სამყაროსა და სიცოცხლის საყოველთაო კანონი, ყველაფერი დაიშალა და დაქუცმაცდა. ყველა უბედურება ამას მოჰყვა. ერთ-ერთ კონფუციურ წიგნში („ლი ძი“) წერია: „... ხეცს ქვეშ ყოველივე ცაღკვეული ოჯახის ხელში მოექცა, ყველა ცდილობს შეიყვაროს მხოლოდ საკუთარი შშობლები და იზრუნოს მხოლოდ საკუთარ შვილებზე, აქციოს საგნები საკუთრებად და იშრომოს მხოლოდ საკუთარი თავისთვის“ (2,601).

ჩინეთში ფილოსოფიური აზრის აღმოცენება დაკავშირებულია პირველყოფილი თემური წყობილების დაშლასთან, რაც ჯერ კიდევ შორეუ ათასწლეულში (ჩვენს ერამდე) დაიწყო, და კლასობრივი სასოგადოების ჩამოყალიბებასთან. ძვ. წ. VIII—VI სს. ჩინეთში უკვე ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი განათლების სისტემა, რამაც აღმოსავლური დემოკრატის ფორმა მიიღო. ძველი ჩინეთის გაბატონებული კლასები, თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას რომ მიეღებოდნენ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გააერთიანებინებდნენ დაქვემდებარებულ კლასებს, ახალ, აღმავალ სოციალურ ფენებს: ვაჭრებსა და ქალაქის მდიდრებს. კლასობრივმა ბრძოლამ, რამაც განსაკუთრებით მწვევე ხასიათი ძვ. წ. VII—V სს. მიიღო, თავისი დაღებიან როლიც შეასრულა და უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ფილოსოფიური შეხვედრების განვითარებაზე. გაბატონებული კლასები რელიგიასაც იყენებდნენ ამ ბრძოლაში. ჯერ კიდევ შორეუ ათასწლეულში, შ ა ნ ა ნ ი ს ეპოქაში აღმოცენდა რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება: „ც ი ს შ ე უ ფ ე ბ ა ზ ე“, როგორც უმადლეს არსზე. იგი განავებდა არა მხოლოდ ბუნებისკულ კანონის მიტოვებას, არამედ სოციალურ და ზეობრივ ურთიერთობებსაც სასოგადოებაში: მიწიერ მეუფესა ც ი ს წარმოგზავნილად და მისი ნების აღმსრულებლად მიიჩნევენ. ძველ ჩინეთში ფილოსოფიური აზრის აღმოცენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წანამდევრად აღიარებულია დიდი მღვწეები სამყაროს საბუნებისმეტყველო შექმნებაში. ჩინელებმა არაერთი საიდუმლო გახსნეს ასტრონომიაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში,

აგროტექნიკაში, მედიცინაში, სამშენებლო საქმეში. შან-ინის ეპოქაში შეიმუშავეს მთიარე-შნის კალენდარი; ძვ. წ. IV საუკუნეში ასტრონომიაში შ ი შ ე ნ შ ა შეადგინა ვარსკვლავთმრიცხველობის პირველი კატალოგი მსოფლიოში, რომელიც რუასი მნათობისაგან შედგებოდა. ძველი-ნიელ მოაზროვნეთა ცნობისწილია—აქესხობა ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი არსი და ბუნება, შეეცნოთ გარემომცველი სამყარო მისი განვითარების კანონების შემიცნების საფუძველზე.—განსაკუთრებული და თავისებური მნიშვნელობა აქვს კიდევ მითრითი კრონების პროცესის შესასწავლად. „ჩინელებმა ადრე მიადრწეს კულტურის გარკვეულ საფეხურებს და შორეულ წარსულში იყვნენ მსოფლიოს ერთ-ერთი ცივილიზებული და განათლებული ხალხი. ჩვენს ერამდე ათეული საუკუნეების წინათ ჩინეთში გახსნეს უადრესად მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი,—განსაკუთრებით იმდროისთვის,— საიდუმლო საბუნებისმეტყველო სფეროში“ (34,85). IV—III სს. ძვ. წ. ჩინეთის ფილოსოფიური წარმოდგენები ყალიბდებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მძლავრი განვითარების უშუალო ზეგავლენით. ამავე საუკუნეებში ზოციელდება არსებითი ცვლილებები ზნეობრივ-ეთიკურ სფეროშიც. ძველი წყობილებისა და წარმოდგენების დამცველნიც კი იძულებულნი იყვნენ, გაეხიარებინათ ახალი ეთიკური პრინციპები. ამავე პერიოდში ჩაყარა საფუძველი ისტორიულ მეცნიერებასაც; შეიქმნა პირველი ისტორიული ქრონიკები და მატრახეები.<sup>1</sup> ყალიბდება ძირითადი სასოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიურ-რელიგიური და მისტიკური წარმოდგენები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჩინური ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მთელს შემდგდრიონდელ მსვლელობაზე. ეს წარმოდგენები აღმოჩნდა ის მყარი საფუძველი, რაზეც ათე უსწარმაშარი შენობა— ჩინური მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურისა. ჯოუს ეპოქაში ყალიბდება ცალკეული ფილოსოფიური სკოლები და იწყება საეტაპო მნიშვნელობის თხზულებები. ამ დროს დაიწერა ჩინური ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შედევრები, როგორცაა „დაო დე ძინი“, „ლუნ იტი“, „მო-ძი“, „მენ-ძი“, „ჯუან-ძი“, „ჯუან-ძი“, „ლი-ძი“. ამ პერიოდში გამოვიდნენ ასპარეზზე დიდი ჩინელი მოაზროვნეები: ლაო-ძი, კონფუცი, მო-ძი, ჯუან-ძი, მენ-ძი, სიუნ-ძი, ხან ფი-ძი. ჩინური ტრადიციის მიხედვით, ამ პერიოდს უწოდებენ „ოქროს ხანას“. სწორედ ამ ხანაში ყალიბდება ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების ორი ისეთი დიდი მოძღვრება, როგორცაა კ ო ნ ფ უ ც ი ზ მ ი და დ ა ო ი ზ მ ი. ამავე ხანაში იკიდებს ფეხს ჩინეთში ჩ ი ნ უ რ ი ბ უ დ ი ზ მ ი. ამ მოძღვრებებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს მთელს შემდგომ ჩინ-



ნურ კულტურაზე (პოეზია, მუსიკა, ფერწერა, კალიგრაფია). კონფუციზმი და ღაღიზიმი სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა გამოცხადებული არა მარტო ჩინეთში, არამედ მთელს ჩინურ სამყაროში.

ასეთი იყო ზოგადად ჩინეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ფილოსოფიური ვითარება ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულების „დაო დე ძინის“ შექმნის დროს.

## II

ამ ფილოსოფიურ სკოლებს წინ უძღოდა ჩინური აზროვნების ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობა, რაც თავისი დასაბამს ძველჩინური მითოლოგიური და მისტიკური თეალსაზრისებიდან იღებდა. ჩინელებს აქვთ თავისი, ყველასაგან განსხვავებული გააზრება სამყაროს მოღვლისა, ყოფიერების სისტემისა, კოსმური სურათისა. ღაღიძის კოსმოლოგია უზოგადეს ხაზებში ეფუძნება ჩინურ კოსმოლოგიურ სისტემას, მაგრამ მას რაღაც ასპექტებში თავისი კორექტივებიც შეაქვს. ღაღიძი, როგორც უდიდესი მოძღვარი და კანონმდებელი, სწორედ ამის გამო გადავითურა და ბ უ ღ ა ს გვერდითაც სწორედ ამის გამო დააყენა ჩინურმა ლექსნამა.

სამყაროს ეს კოსმოლოგიური სურათი გამოწველილვით აქვს განხილული ნ. ი. ბინურინს წიგნში: „ჩინეთი, მისი მცხოვრებნი, წესები, ადათები, განათლება“ (8, 398—426).

ყოფიერებისა და სამყაროს ეს კოსმოლოგიური მოღვლი პირდაპირ უკავშირდება აღამიანური ცხოვრების ყოფიერებას, მის რელიგიურ თუ ეთიკურ საწყისთა ხაწყისებს. ერთდღეთ სწორ გზად „დაო დე ძინის“ უღრმესი და სიმბოლოური ტექსტის წაითხვისა და გააზრებისა აღბათ ეს გზა უნდა მივიჩნიოთ.

\* \* \*

იმ ეპოქაში, როცა „დაო დე ძინი“ იქმნებოდა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველჩინური რელიგიურ-მისტიკური და მითოლოგიური წარმოდგენები. ისინი, თავიანთი პარადოქსული ბუნების გამო, დიდ გამოძახილს აპულობდნენ ღაღიძის, კონფუცის, მო-ძის, ჯუან-ძისა და სხვათა ნახარვეში.<sup>5</sup> ერთი ასეთი მისტიკური მოძღვრება, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ძალას ახალ ფილოსოფიაში, — იგულისხმება ჯოუს ეპოქის აღომიანებული ფილოსოფიური სკოლები, — იყო მოძღვრება ცი ს მ ე უ ფ ე ბ ი ს შესახებ.

ჩინურ წარმოდგენაში ცა ს სხვადასხვა წარმომადგენელი ძირები და დასაბამი აქვს. ძველჩინური ფილოსოფიური სკოლები მას განიხი-

ლავდნენ თავისებურად და ყველას თავისებური წარმოდგენა და გააზრება შეჰქონდა მასში. კონფუციზმიც შეეხო ამ მოძღვრებას, თუმცა „...ადრეულ კონფუციზმს თითქმის არ დაუმუშავებია კოსმოგონისის, სამყაროს წარმოშობის პრობლემები, დიდად არ ყოფილა დანატრუნებული ნატურფილოსოფიით“ (7,117). კონფუციზმი ნატურფილოსოფიით პირველად დაინტერესდა ჯ ა ნ გ ვ ს პერიოდში. ეს იყო დრო ჩინეთში ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობისა და სხვადასხვა სკოლებსა და მიმართულებებს შორის გამაფრებელი ბროლისა. ცოტა მოგვიანებით, ძვ. წ. მეორე საუკუნეში ანუ ხ ა ნ ი ს ეპოქაში მოღვაწეობდა კონფუციანელი ფილოსოფოსი დ ე უ ე უ ნ-შ უ (იგი ერთხანს ღაღიძის გავლენაც განიცდიდა). მას „ხანის ეპოქის კონფუცის“ უწოდებდნენ. ერთ-ერთ თავის ძირითად წიგნში („ჩინელებს უნდა“) დ ე უ ე უ ნ-შ უ ც ა ს ო რ ი ძირითადი მნიშვნელობით მოუხმობს პირველი: ბუნების ნაწილის, ბუნების მოვლენათა ერთობლიობის გამოხატულების მნიშვნელობით; და მეორე: უმაღლესი, შეგნებული ძალის სიმბოლოს, ზესამყაროული არსების მნიშვნელობით. ის აცხადებს: „ბელი—ცის წარმოგზავნილება“, „ცა—წინაპარია ყოველ არსთა. არაფერი ცის გარეშე არ იქმნება“. ცა ბადებს კაცს, განსაზღვრავს იმპერატორის—ც ი ს ძ ი ბ ზ ე ს. იმპერატორის ბელსა და მოკიდებული ქვეყნისა და ხალხის, მთელი ცისქვეშეთის ბედი, მაგრამ ც ი ს მ ე უ ფ ე ბ ა ემორჩილება დ ი ა დ ღ ა ს ა ბ ა მ ი ე რ ს.

ცი ს კულტს უპირველესი ადგილი ეჭირა ჩინურ წარმოდგენაში; კონფუციმ მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა თავის მოძღვრებაში. კონფუციზმისთვის ცა იყო უმაღლესი არსება, რასაც გაანინა ძალია და გონება და განაგებს აღამიანთა ცხოვრებას; იგი აცხადებს: „ვინც ცას შეცოდებს, მას არ აქვს ლოცვის უფლება“. კეთილშობილი კაც ც ი ს ძ ა ღ ა ს უნდა მორჩილებულს. „ვინც ბელს არ აღიარებს, ვერ მივიჩნევთ კეთილშობილ კაცად“. იგი ეთავყენებოდა ცა ს როგორც შწყალობისა და როგორც მკაცრ, ერთიანსა და ზებუნებრივ მშობელსაც. კონფუციც ცა განსაზღვრავს აღამიანის ადგილს საზოგადოებაში, აჯილდოებს და სჯის მას. ცი ს ძ ი ს ანუ ხელმწიფოს უნებავის ძალაუფლება დ ე თ ი უ რ ი ა და მხოლოდ ის განსაზღვრავს ხალხისა და ცისქვეშეთის ბელს (16,23). ცა, უმაღლესი არსება, აწესრიგებს მიწიერ ცხოვრებას, წარმოუგზავნის ძალაუფლებას ხელმწიფოს და თვალს აღევნებს მის მოღვაწეობას. თუ მან ცი ს გ ზ ა ს ვადაუხვია, ისევე ტიან<sup>6</sup> წარმოუგზავნის მას სტიქიურ უბედურებას და ამით ჩაღვნილ ცოდვებს შეახსენებს (20,133). ძველი ჩინელები ცა ს ბელისა და ბუდისწერის სიმბოლოდც მიჩნევდნენ (16,12). ცა ს მიეწერებოდა

ყოველი არსის წარმოშობით პირველმიზევის შემცველი ცნება; მას მთელი სამყაროს, მთელი ბუნების სინონიმადღე მიიჩვენებენ. სწორედ აქედან წარმოდგა ცნება „ტიანსია“ ანუ ც ი ს ქ ე უ ე თ ი, რაც მთელი ქვეყნიერების, კერძოდ კი—ჩინეთის სახელმწიფოს სინონიმად აღინიშნებოდა. „ძველი ჩინელები მთელს თავიანთ აზრებს, მწუხარებასა და იმედებს ცას მიაპყრობდნენ, რადგანაც, მათი წარმოდგენით, ცა—უმაღლესი მუყუება—განაგებდა ადამიანთა პირად ცხოვრებას, სახელმწიფო საქმეებსაც და ბუნებრივ მოვლენებსაც.“ „შუ ძიში“ წერია: „მხოლოდ ცა განაგებს ხალხის ბედ-დებალს, მიუბოძებს სამართლიანობას, წარმოუზაუნის შედეგ ან არამდეგ მოსავლს. ცი ს გარეშე ხალხი დაიდუგება. მისი ბედი ცი ს წყალობაზეა დამოკიდებული“ (16,19).

ჩინელთა წარმოდგენით, სამყაროში სრულქმნილია ც ა. შედარებით ნაკლებ სრულქმნილია მიწა. ამით სამყაროს ორნაირ დასაბამს გამოყოფენ: მატერიის უძრაობასა და მატერიის მოძრაობას; რაც სიცოცხელესა და მარადიულ წრებრუნებს ქმნის. ძალია არის ცა, მატერია—მიწა. ისინი არ წარმოიდგინებენ უერთმანეთოდ. ცა არის „მბრძანებელი და მუყუვე ქვეყნიერებისა.“ ის არის ქმედითი, მოღვაწე ძალია სამყაროული ყოფიერებისა, რის გარეშეც მიწის დასაბამი უმოქმედო და უძრავი. ამიტომ არის, რომ ჩინელთათვის ღვთაებად, მუყუვედ მიჩნეულია ცა. იგი არის უმაღლესი არსება სამყაროსი. ხილული ცა კი სიმბოლოა იმ უ ხ ი ლ ა ე ი ც ი ს ა; რასაც ჩინელები ღვთაებად, ანუ უმაღლეს არსებად წარმოადგენენ. ცის ამკვრივი გააზრება, როგორც სახელოვანი ხსენია, მოლიანად არც ხ უ ლ ე ი ო ბ ა ს ეძყარება — ანუ ცა არ არის კერძო არსება, მაგრამ არც მოლიანად განუყნებელი იდეაა სამყაროს არსისა. მიუხედავად ამისა, ცა ს მიეწერება გ ო ნ ი ე რ ი (ანუ იგივე ხ უ ლ ე ი ე რ ი) თვისებებზე და ის უმაღლესი სრულქმნილებაც, რაც თვისებადია ბუნებისა და ადამიანისათვის. ცა ს უწოდებენ ყოვლისშიღველს, ყოვლისმძღვს, ბრძენთაბრძენს, უბოროს. მას აღიარებენ სამყაროს შემქმნელ ძალად, მისგან გამომდინარეობს ცხოვრების კანონები და განსაზღვრებები, იგი იწყობს თუ სჯის ადამიანებს; ზეურავს და აყურადებს კაცის ცხოვრებას, ხალხის საქმიანობა-მოღვაწეობას; ის წარმართავს სამყაროს ბედს და ამოძრავებს ისტორიას. ცა არასახიერია და წარმოადგენს პირველსახეს ანუ განსახიერებას სამყაროს მარადიული, უცვლელი წესრიგისა. იგი აუხსენი-ლი ძალია, რასაც ემორჩილება სამყაროს არსებობის მსვლელობა; ის გამოთუქმელია და მიზეზია სამყაროს წრებრუნებითი მოძრაობისა.

ცი ს გათვითება არაფრით არ შეიძლება დემოთთან, როგორც უსასრულო გ ო თ ა ნ; ცის გათვითება არ შეიძლება ცოცხალ, კერძო

ბერსნასთან. არქიმანდრიტი ხრისანფი აღნიშნავს: „ჩინურ ენაზე-სოფია ისე განუყნებელი რილია, რომ ძალწიოს წმინდა აბსტრაქციონდ“ (34,103). კონფუცი, რომელიც გაცილებით ნაკლებად იყო მეტაფიზიკოსი, ვიდრე ლიო-ძი, თუმცე არ საუბრობდა იმის შესახებ, რაც ცხადიერ და ნივთიერ ყოფას სცილობდა. ცა ს კი სამყაროს მუყუვედ სახავდა და სწორედ ამიტომ ამჯობინებდა ღმერთს. ამბობდა: „ბრძენს უნდა ღმერთს, ვითარცა ცა მიუწვდომელი.“

დაახლოებით მიწაც ამ თვისებებისაა, მაგრამ ნაკლებ სრულქმნილია. ცა და მიწა ორივე ერთნაირად ემსახურება ადამიანურ სათნოებას და სრულქმნას. ცის ძალია არის ოჯახი, მიწის ძალია—წიდავი, რაზც სიცოცხლე იხრდება. ამიტომ ის, რაც ძალისა და სრულქმნის თვისებებს ძარბებს, გამოხატავს ცი ს სახებას; ხოლო ყოველივე პასიური და არასრულქმნილი არის მიწის საწყისის გამოხატულება. ვანა-ფხული და ზაფხული კუთვნის ცას, ხოლო მიწის ძალებია შემოდგომა და ზამთარი. ზომითი და რაოდენობითი მოვლენებზეც ამ თუ იმ საწყისის გამოვლენია. მაგალითად, რიცხვები: 1, 3, 5, 7, 9—ცი ს რიცხვთა არსია. ლუწი რიცხვები კი მიწის კუთვნილებია. მათ არ ახასიათებთ ერთიანობა, ისინი ორ თანაბარ ნაწილად განიყოფიან. ცი ს საწყისი—ყოველივე მოძრაობა. ყოველივე ის, რაც ბუნებაში წრებრუნებია, წრიული ფორმისაა. ხოლო მიწა, როგორც ნაკლებ ქმედითი, ოთხკუთხედის ფორმისაა.

ქ ე გ ე ლ ი ც ი ს მნიშვნელობას ისე განმარტავს: „ტ ი ა ნ უხენა-სია, მაგრამ არა მხოლოდ სულიერი, არამედ ზნეობრივი აზრობაც. იგი გამოსახავს ყოვლად განუსაზღვრავ, ა ბ ს ტ რ ა ქ ე ლ ე ს ა ე ე ლ ე თ ა ო ბ ა ს და არის ყოვლად განუსაზღვრავი გარდასახვა ფიზიკური და ზნეობრივი კემპირისა საზოგადოდ. მიწაზე მბრძანებელი მხოლოდ იმპერატორია და არა ც ა. ცა კი არ გამოსცემდა და გამოსცემს კანონებს,—რნავც ადამიანები მორჩილებენ, ის გამოსცემს ღვთაებრივ კანონებს, რელიგიურსა და ზნეობრივ კანონებს. ტ ი ა ნ კი არ განაგებს ბუნებას, არამედ იმპერატორი განაგებს ყოველს, და მხოლოდ მას აქვს ტ ი ა ნ თ ა ნ კავშირი.“

წლის ოთხი მთავარი დღესასწაულის დღეებში მხოლოდ ის წირავს მსხვერპლს ტ ი ა ნ ს; მხოლოდ იმპერატორი აწარმოებს მოღაბარაკე-ბე ტ ი ა ნ თ ა ნ, დღევლენს მას ლოცვებს, მას ერთბა აქვს ცასთან კავშირი და განაგებს მიწაზე ყოველივეს. იმპერატორი ფლობს აგრეთვე ძალაუფლებას ბუნების მოვლენებსა და მისს ცვლილებებზე და განა-გებს მათ სიძლიერეს“ (12,469).

ჩინელთა ცა ანუ ტ ი ა ნ არის რაღაც ყოვლად ც ა რ ი ე ლ ი. მარ-

თალია, აქ აგრძელებენ თავიანთ ცხოვრებას გარდაცვლილთა სულები, რადგანაც გაეთმუნენ სხულებს, მაგრამ ისინი ეკუთვნიან მიწიერ ცხოვრებასაც, რადგანაც განიხილებიან, როგორც ჰეგელი ამბობს, „ბუნების ს ფ ე რ თ ა მ ე უ ფ ე ბ ა დ“. გარდაცვლილთა სულებსაც იმპერატორი მართავს, მიუბრძვბს რა მათ განსაზღვრულ თანამდებობებს. ჰეგელი ასევე: „ჩინელთა ცა არ არის სამყარო, რომელიც წარმოშობს და მხოუციდებულ სამეფოს მიწაზე, არ არის თავისთვის იდეალური სამეფო მსგავსად ჩვენი წარმოდგენისა ცახე, სადაც ანგელოზები და გარდაცვლილთა სულები ბნობადებენ, ანდა ბერძნული ოლიმპოს მსგავსი, მიწაზე მიწიერი ცხოვრებისაგან განეკრძალებული. აქ ყოველივე მიწაზე იმყოფება, და ყოველივე, რასაც ძალა აქვს, იმპერატორს ემორჩილება. ეს ერთებრივი თვითშეცნობა შეგნებულად ახორციელებს სრულყოფილი განმგებლობას“ (12,470).

\* \* \*

მკვლინური რელიგიის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო წინა-პართაკულტი, რაც ეფუძნებოდა გარდაცვლილთა (უფრო სწორად, მათი სულების) ზემოქმედების აღიარებას შთამომავალთა ცხოვრებასა და მათ ბედზე (16,6). სულებთან აღამიანთა კავშირი მკაცრად იყო განსაზღვრული და მათ შორის შუამავლად ითვლებოდა ხელმწიფე, რომელიც ცის მეფეების ნება-სურვილს აღასრულებდა.

წინაპართაკულტი ორგანულად უკავშირდებოდა გვაროვნულ ურთიერთობებს და მათი ზეგავლენა არც თვინა-ჯოლს ებოქის ფილოსოფიურ-რელიგიურ ნაზრდებში. კერძოდ, გვიან მაკაურ ძალას. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ წყაროში ნათქვამია, რომ წინაპართაკული, უკეთუ მას სხვა გვარის და თემის წარმომადგენელი სწირავს მსხვერდლს, არღებულობს შესაწირს. ამასვე ამბობს კონფუცი, დამცველი მსხვერდლ-შეწირვისა და, საერთოდ, რიტუალისა. „შეწირო მსხვერდლი წინაპრის სულს, რომლის გვარსაც არ ეკუთვნი—პირმოთანოება“ („დუნ-იუი“). წინაპართაკულტი დროთა განმავლობაში სხვა ნიშნებს იძენს და ამიტომ ინარჩუნებს იგი თავის ტრადიციულ სახეს ფეოდალისმის ხანაშიც. ა. პ. კაედანი აღწერს ჩინეთის ერთ-ერთი იმპერატორის აკლამას, სადაც სხვა ატრიბუტებთან ერთად აღამიანთა შეწირვლი გვამებაც იყო დასვენებული და წერს: „ამ ხისხელის მსხვერდლშეწირვას უნდა გამოეყვება მეფის დეოთაბრივი ძალაუფლება და მონაბა და თავისუფალ მცხოვრებთა ცნობიერებაში ჩაენერგა შიში მეფის ძლიერების წინაშე. ჩინეთში აღამიანის მსხვერდლშეწირვის წესი შემორჩა ძვ. წ. V—IV საუკუნეებამდე, და მხოლოდ გვიან, მეურნე-

ობის მონათმფლობელური სისტემის აღმავლობასთან დაკავშირებით, როცა მონათაკლას ზარალი მოქმონდა, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა აკლამებში მარხადნენ არა მოკლულ მონებს, არამედ ტერაკოტის ქანდაკებებს, რანიც აღამიანთა მკავრობას ასრულებდნენ“ (20,132). თანდათან წინაპართაკულტი უკვდავებისა და იმკვენიური ცხოვრების რწმენის საფუძვლით ხდება. ჩინური რწმენითა და წარმოდგენით, გარდაცვლილთა სულებს შესწევთ ძალა, ზეგავლენა მოახდინონ მომდევნო თაობათა საქმეებზე და აზრებზე.

მომდევნო ეპოქაში, ბუდისმის გავრცელებასთან დაკავშირებით, ჩინეთში აღიარებას პოულობს უკვდავების კიდევ ერთი მომდგრება. ეს არისხამეტემუსიქიზიზი, ანუ სულთა გადასახლების თეორიაში, სადაც ცხადდება კაცთა წინამავალი და უკანმავალი მყოფობა.

\* \* \*

მკვლი ჩინელები ბუნებრივი მოვლენების უშუალო ჰერეტამ მიიყვანა ისეთ ურთიერთდაკავშირებულ პირველსაწყისთა შეცნობამდე, როგორიცაა წყალი, ცეცხლი, ლითონი, მიწა, ხე. „პელჩრნური ფილოსოფიის“ შესავალში კვითხულობთ: „... ძველი ჩინეთის ყველა ნატურ-ფილოსოფიური მომდგრება, ისეთი, როგორიცაა მომდგრება „ხუთ პირველსტიქიაზე“, „უღიდეს ზღვარზე“ („ტიანი“), ინ და იან ძალებზე და დაოს მომდგრებაც კი, დასაბამს იღებენ ძველი ჩინელების მითოლოგიური და პრიმიტიულ-რელიგიური წარმოდგენებიდან ცახა და მიწაზე, „რვა სტიქიაზე“ (16,9). „შუ ძინში“ წერია: „პირველი დასაბამია წყალი, მეორე—ცეცხლი, მესამე—ხე, მეოთხე—ლითონი და მეხუთე მიწა. წყლის მუდმივი თვისებაა სისველე და დინება ქვევით; ცეცხლის თვისებაა—ენთოს და მადლა მიწვედეს; ხის თვისებაა—იდრიკებოდა და იმართებოდა; ლითონის თვისებაა—მორჩილდებს გარეკან ზემოქმედლებს და იცვლეოდაც; მიწის ბუნება იმაში მჭვავნდება, რომ შეიფარებს თესვს და აღმოაქენებებს ნაყოფს“. ხოლო „ძოჯუანში“ წერია: „ცამ შექმნა ხუთი პირველსაწყისი და ხელხი სარგებლობს ამ საწყისებით. საკმარისია წარიხოცოს ერთი მათგანი და სიცოცხლედ შეწირდება“ (16,9). სტიქიონთა ხუთ ელემენტს „უძინ“ უწოდეს ჩინელებმა. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ თხზულებაში „გოიუიში“ ნათქვამია: „ყოველი არსი სტიქიის ხუთმა ელემენტმა შუა“. ამავე წიგნში ასეთ თქმული: „მიწამ, ლითონმა, ხემ, წყალმა და ცეცხლმა თავიანთი ერთობლიობით შვეს ყოველი არსი“ (36, 51). მომდგრებას სტიქიათა ხუთ პირველელემენტზე მისტიფიციერებული სახე მიეცა ცნობილ კონფუციურ წიგნში „შუ ძინ“—ში („სიტორიათა წიგნი“). ერთ-ერთი ვერ-

სიის მიხედვით, აღნიშნული წიგნი თვით კონფუციის შეუდგენია და დაკუმუშავებია.

ჩინური წარმოდგენით, ხუთი რიცხვი უკვე შორდება სამყაროს ხუთ პირველსაწყისს. „ცამეტ წიგნში“ წერია: „ცის სინათლეს რომ მორჩილებენ, მიწის ბუნებიდან გამოდიან; ცა შობს ექვს ციხე; მიწა მიიხმარება ხუთ სტიქიას; ექვსი ცი წარმოშობს ხუთ გემოს; აღმოცენებანი ქმნიან ხუთ ფერს; გამოვლენანი ქმნიან ხუთ ბეგრას.“ რა არის „ექვსი ცი“ და როგორია მათი დამოკიდებულება და კავშირი ბუნების „ხუთ სტიქიასთან“? „ცამეტ წიგნში“ („მოჯუან“) წერია: „ცა ფლობს ექვს ცი; ისინი ძირს ეშვებიან და ხუთ ფერს შობენ, შედგენილებიან და წარმოქმნიან ხუთ ფერს, ალაგზნებიან და წარმოქმნიან ხუთ ბეგრას, უძლიერეს შედეგებაში შობენ ექვს სხეულებას. ექვს ცის წარმოადგენს: ინ, ან, ქარი, წვიმა, წყველი, სინათლე. ისინი იყოფიან და წარმოშობენ წლის ოთხ დროს, მათი სიმწყობრე ხუთ სეზონს წარმოქმნის“ (22, 33). ერთი სიტყვით, ხუთი პირველემენტ: წყალი—„შუი“, ცეცხლი—„ხო“, ხე—„ჰუ“, მიწა—„ტუ“, ლითონი—„ძინ“ რყო ძირი და დასაბამი ყოველი არსება და ბუნებისეული მოვლენისა.

ეს სიტყვა მოიცავს არა მხოლოდ სივრცისა და დროის ურთიერთობებს, არამედ მოვლენების აურაცხელ წრებურუნებასაც. მაგალითად: ყოველ ძირითად ფერს უკავშირებდნენ განსახლებულ ღმერთს; ამის შესაბამისად კი ამ ღმერთს უკავშირებდნენ სამყაროს რომელიმე მხრის სინათლეს. ყოველ ღმერთს შეესაბამებოდა თავისი ტოტემური ცხოველი, თავისი ბეგრა, თავისი ვარსკვლავი, თავისი დღე. აგრეთვე ამ ღმერთს შეესაბამებოდა განსახლებული სტიქია ბუნებისა—ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი ან წყალი. ხუთი პირველემენტის მოძღვრებას საფუძვლად ედო არა რელიგიური, არამედ გულურბველი მატერიალისტური შესხედლებები სამყაროზე. წრებურუნის იდეა ხუთი პირველემენტისა, რანიც გამუდმებულ ურთიერთბოლაში იმყოფებიან, ახლოა სამყაროს არსებობის დიალექტიკურ იდეასთან, თუმცა ასეთი არსებობა შესხედულია ჩაკეტილი წრიული ციკლით. დიდი ჩინელი ისტორიკოსი სიმა ციანი თავის ისტორიაში გვაძინებს, რომ ჩინეთის გაერთიანებამდე (ცინის დინასტია—III ს. ძვ.წ.) მეფენი ტამრებს უგებდნენ „ფერთა ღმერთებს“; და მსგავსი ქმნილებანი, რანიც ხელს უწყობდნენ ჯოუს სამეფოს განმტკიცებას, იმაზე მეტეფლებენ, რომ იმ ხანაში ხდებოდა მსხვერპლთშეწირვა „ხუთი ღმერთპირველწინაპრისადმი“.

ლაო-ძი უპირისპირდებოდა ამ წარმოდგენებს და ოს ერთიანობის მოძღვრებით, რასაც გამოვლილივით ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც სინოლოგები ვარაუდობენ, ჩინეთში და ოსში უნდა აღმოცენებულიყო „ლაო დე ძინის“ შექმნამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თხზულების შექმნას წინ უძღოდა ხანგრძლივი განვითარება ფილოსოფიური აზროვნებისა. მოძღვრება და ოს შესახებ ჩინეთში ძველი შეიქმნა, როცა რელიგია და ფილოსოფია ერთიანი და განუყოფელი იყო. ამ მოძღვრებაში ფილოსოფია ემორჩილება რელიგიას, ხოლო განსჯა—რწმენას. ლაოიზმი რელიგიური ფილოსოფია, ანუ ფილოსოფიური რელიგიაა. ამ მოძღვრებაში რელიგიური ჭეშმარიტება და ოს მისტიკურ აღიარებაში ქვეს, ხოლო ფილოსოფიური ჭეშმარიტება— მის ეთიკურ აღიარებაში.

ლაოიზმი, კონფუციზმიან ერთად, უმთავრეს რელიგიურ სახეულ მწიფოებრივ მოძღვრებად იქცა ჩინეთში. ლაოიზმი და კონფუციზმი თითქმის ერთ დროს აღმოცენდნენ ძვ. წ. პირველი ათასწლეულების შუა საუკუნეებში. ამ მოძღვრების მომდევნარი ილაშქრებდნენ თავიანთი თანამედროვე ცხოვრების გადაგვარებულ ფორმა წინააღმდეგ. ანათემას უცხადებდნენ გაუთავებელ ომებსა და კაცთა კვლას, გამყიდველობასა და დალატს, ცბიერებასა და მუხანათობას, პირმოთნობასა და ზნეობრივ გადაგვარებას. ისინი უკან—„ოქროს საუკუნისაკენ“ იმზირებოდნენ.

პირველი დაოსები, სოციალურ ცხოვრებას რომ გარიდებოდნენ და საკუთარ თავში ეძიებდნენ დეათება, საზოგადოებისაგან განდგომას აძეობინებდნენ და ამ გზით გამოხატავდნენ პასიურ ამბოხს არსებულ სოციალური უკუდამართობის წინააღმდეგ. ასე დაელო დასაბამი ასკეტ-შწირთა ინსტიტუტს შიგნში, აღდამართა საზოგადოებისაგან განკერძოებით. პირველი დაოსები იქ ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას, მისტიკისა და სიწმინდის შარავანდლით გარემოსილი. და, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოდ ედგნენ არქიმანდრიტ ხრისანფის ასეთი განცხადება: „...კიდევ უფრო უუნაროა ჩინელი შინაგანი მსხვერპლისთვის,—რელიგიის სახელით თავისი სურვილებისა და მოთხოვნილებების ვასაწირად. მან არ უწყის არავითარი ალკეთები ღმერთისა და მარადიული სიკეთის სახელით. მისი რელიგია არ მოითხოვს მისგან არავითარ განსაკუთრებულ თავგანწირვას, არავითარ დამოთქნლობას და თვითგვემას“ (34, 131). როგორც ჩანს, ხრისანფი მსჯელობდა მხოლოდ კონფუციური მოძღვრების მიხედვით, რაც წმინდა ეთიკურ-პოლიტიკურ იდეოლოგიას წარმოადგენდა და არ სცნობდა არავითარ მეტაფიზიკურ და კოსმო-

ლოგიურ თვალსაზრისებს, უმაღლესი არსებებისადმი მორჩილებას და თავყენისცემას. ერთადერთი, რასაც კონფუციუსი ეთავყენებოდა, იყო წინაპართა სულებისადმი თავყენისცემა და რიტუალის აუცილებელი დაცვა. ხრისიანთი ჩინელთაგან მოითხოვდა წმინდა ქრისტიანული თვალსაზრისთა განხორციელებას, რაც ყოველად გაუმართლებელია. ყოველი ერთი თავისი პირველქმნილი ბუნებისა მიხედვით იზიარებს და ახორციელებს ამ თუ იმ რელიგიურ მოძღვრებას. რა თქმა უნდა, ჩინურ სულში მოითხოვებოდა ქრისტიანული ხსენებისა და ეთიკის წანამდგრები, წმინდანობისა და მოყვანობის ზოგადი არსი, თორემ სხვაგვარად შეუძლებელია ჩინეთში აღმოცენებულიყო ისეთი უზარმაზარი მოძღვრება, როგორც დაიხსნა და შექმნილიყო „დაო დე ძინი.“ სწორედ ეს ვერ გაითვალისწინა ხრისიანთმა, რაც ბრწყინვალედ შეიცნო და გააანალიზა ღვე ტოლსტიომ. მან „დაო დე ძინს“ სწორედ იმორტო მიჰქცია ყურადღება და იმორტო ცდილობდა მისი იდეების რუსეთში აღმკვიდრებას, რომ მასში ქრისტიანული იდეებსა და მის ზოგად წანამდგრებს ჭკურეტა.<sup>8</sup> არქ. ხრისიანთი იქვე წერს: „მომავალი არ არსებობს ჩინელისთვის, მით უფრო — მომავალი სიცოცხლის სახლებების მიღმა. საყურადღებოა, რომ ჩინელს, სექტეკურად რომ შესცქერის ადამიანის მომავალ ცხოვრებას, ამავე დროს არ აინტერესებს მთელი სამყაროს მომავალიც, არც სამყაროს დასასრული. მის რელიგიურ მოძღვრებაში ვერ ნახავთ ექსტათოლოგიას, ვერ მიავნებთ სიტყვას სამყაროს დასაბრუნლხე, ისევე როგორც ვერ ნახავთ სიტყვას სამყაროს დასაბრუნლხე. მან უწყის მხოლოდ ფაქტი სამყაროს არსებობისა. ის, რაც არ ეტყვა სინამდვილის სახლებებში, მას არ სურს იცოდეს... ეს არის კაცის ფაქტისა და სიმშვიდისა, მაგრამ გამუდმებული მატერიალური შრომისა.“ როცა თანდათანობით მკითხველი დრმად გაეცნობა ლაო-ძის მოძღვრებას, აღბათ დარწმუნდება, რომ იგი სრულიად სხვანაირ არსზეა აღმოცენებული. მაქც მ ი უ ლ ე რ ი წიგნში „ჩინეთის რელიგიები“ ამბობს, რომ დაიხსნი მთლიანად ჩინურ ნიადაგზე წარმოიშვა და მასში გაერთიანებულია უძველესი ჩინური რელიგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისები. მართალია, მოგვიანებით მასზე ზეგავლენა მოახდინა ბუდიზმის რელიგიურმა სისტემამ, მაგრამ ბუდიზმი რომ ასე ახლოს მდგარიყო დაიხსნის მოძღვრებასთან, მაშინ იგი განსხვავდებოდა მასში და „ჩინური ბუდიზმის“ სახელწოდებით დამოუკიდებელ მოძღვრებად არ ჩამოყალიბდებოდა. დაიხსნი მეტ თავისუფლებას ანიჭებდა პირიქებისა და, როგორც ჩინელი სწავლული ლინ ტუნ-ძი აღიარებს, ყოველი ჩინელი ინტელიგენტი სიცოც-

ლურ პლანში ინტელიგენცია, ხოლო ქვეშეცენულად, ინდივიდუალურ პლანში — დაოსური რწმენის აღმზარებელი. სულის ასეთ გაორებას, ანუ დაიხსნისაკენ მიდრეკილებას, თვით კონფუციუსის მიმდევრებშიც კი აღასტურებენ.

დაიხსნში ყოფილება და მეტაფიზიკური აზროვნება განუყოფელია ერთმანეთისაგან. „შე მ ე ე ე ე მ ბ ი ს პ რ ო ე ე ს ა რ ა ბ ე ს ლ ო გ ი კ უ რ ი სა ფ უ ე კ ე ლ ი, საიდანაც მნელი არ არის მისტიკაში გადასვლა. და მართლაც, დაიხსნი ძირია სხვადასხვა მისტიკური წარმოდგენებისა“ (14, 107). პროფესორი გ. ჯაილიზი წერს: „სანიტრესოდ წარმოგვედგება დაიხსნის თეორია იმის შესახებ, რომ კაცობრივი სიცოცხლე აღმოცენდება დედამიწაზე რომელიღაც დამაბრმავებელი ცენტრიდან, რომელიც იმყოფება საღდაც, ადამიანთა მიერ წარმოუდგენელ სამყაროს სიერცის წიაღში. ეს ცენტრი წარმოადგენს მარადიული პრინციპების ადგილსამყოფელს, „პირველძიხუზთა“ სავხიერისს, ადგილს, სადაც სრულიად შეუბოლწავი და ჭკუშიმარტივ არსებანი „იმჭვადლებიან, აღივსებიან სულიერი ძალით.“ და საღდაც მათი მსგავსნი არსებობენ, რომელთაც არა აქვთ განსაზღვრული ფორმა. ამ მდგომარეობაში დაბრუნება ყველა ადამიანის მიზანი უნდა იყოს; ხოლო იგი მიიღწევა მხოლოდ ცენტრიული და ფიზიკური სიწმინდით, არსებობის ყველა ფორმის დროს. შემდეგ, როცა სხეული და სული უკვე შზად რაიან ფერისცვალებისათვის, მაშინ დგება არს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავნი სიკვდილს უწოდებენ. წმინდა არსებანი ხურფვენ თვალებს, რათა მათთან ერთად ჭკუშიმარტივ დიდებით აღდგნენ იმ ძილისაგან, რასაც კაცნი სიცოცხლეს უწოდებენ“ (13, 48).

\* \* \*

„დაო დე ძინია“ ის ძირი და საფუძველი, რაზეც აღმოცენდა დაოსური რელიგია და ფილოსოფია, რაც ავურ ოცდახუთი საუკუნეა ცოცხლობს ჩინეთში. „აღბათ არ მოიძებნება რომელიმე აღიარებული რელიგია, — აცხადებს დუვლასი, — რომელიც ისეთ პატარა საძირკველს ეფუძნებოდეს, როგორც „დაო დე ძინია“. უარეთოდ გავრცელებული დაოსური ლიტერატურა და ცრურწმენითი მოძღვრება, სადაც თავს იურის მთელი თანამედროვე დაიხსნი, პირველხანად ჩაიხსნა გადმობრჭეაებული პირამიდის მსგავს ციცქნა წიგნში“ (6, 108). ცნობილი რუსი ორიენტალისტი ა. ა. პეტროვი აღნიშნავს: „დაო დე ძინი“ წარმოადგენს საუკეთესო ძეგლს ძველჩინური ფილოსოფიური აზრისა, და აზროვნების სიღრმით იმსახურებს აღიარებას არა მხოლოდ ჩინურ, არამედ მსოფლიო ფილოსოფიაშიც“ (26, 251).

ამ ერთ ციციკნა წიგნზე აშენდა უხარმაზარი შენობა დაოსური მოძღვრებისა, რამაც წარუხოცელი დღი დაახინა ჩინურ სულიერ კულტურას და მისი ყოფის ყველა სველი. ....მოთიანად წიგნი შეიმღება ჩაითვალოს მისტიკისა და მეტაფიზიკის ნიმუშად, ხილი ლაო-ძი ერთ-ერთ „უხარამზარ მისტიკოსად კაცობრიობის ისტორიაში“, როგორც ამას გერმანელი მეცნიერი რ. ვილჰელმი აღიარებს“ (10, 225). ფრანგი ფილოსოფოსი რეშიუ ზა 1825 წელს წერდა: „ლაო-ძი არ ჩამოუვარდება პლატონის სიდიადემო, უნდადგ სტილის სირთულით. მას აქვს იგივე აზრები, თითქმის პლატონისებურად გამოთქმული. მთელი მისი ფილოსოფია სილბითი და სათნოებით სუნთქავს. ის მხოლოდ გულქვა და ხასტყე აღმაშენებს ახამართლებს. მისი თვალსაზრისი საძეაროს წარმომობასა და არსზე არ ჩამოვებს უჩიო ზღაპრებს, არ მდაბლდება აზრის აღმაშფოთებულ უქონლობამდე. პირიქით, ისინი კეთილშობილებით, აზრის სიდიადით არიან აღბეჭდილი. მისი ამაღლებული თვალსაზრისები ავლენს აუცილებელ და ფრიალ მნიშვნელოვან მსგავსებას იმ მოძღვრებებთან, რომლებიც ცოტა მოკვიანებით ჩამოაჯალიბეს პითაგორასა და პლატონის სკოლებმა“. (25, 37). ჩინეთში (და არა მხოლოდ ჩინეთში) აღბათ არც ერთ წიგნს ისეთი აღიარება და პოპულარობა არ რგებია წილად, როგორც „დაო ღე ძინს“; სხვანიარად წარმოდგენილიც იქნებოდა. ამაზე ერთ ასეთი ფაქტორ მტკველებს: „მონღოლი დინასტიის ხანაში იმპერატორი იუან ი აუღ გაჩქეყო დათმობისა და დაოსური ლიტერატურისადმი. 1258 წელს, ზუილიას თანდასწრებით, ბუილი ტეგესა და დაოსებს შორის გაიმართა კამათი ცენტრალურ აზიაში ლაო-ძის მოღვაწეობის სამდვილობის შესახებ, რაც დაოსური ტრადიციით იყო ცნობილი. დაოსები დამარცხდნენ, ხუა ხუ ძინი დაწვეს; ხოლო 1281 წელს იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქში თავი მოუყარეს მთელს დაოსურ წიგნებს, „დაო ღე ძინის“ გამოკლებით, და მის გარდა ყველაფერი დაწვეს“ (32, 248).

\* \* \*

„დაო ღე ძინის“ შექმნისა და მისი ავტორობის საკითხზე უამრავი აზრი და ვერსია არსებობს. როგორც თვით ლაო-ძის, ისე „დაო ღე ძინის“ ბიოგრაფიაც მისტიკით არის გარემოხილი. ერთი თვლიან, რომ ლაო-ძი გამოვლილი სახელია, და რომ „დაო ღე ძინი“ უნდა შექმნილიყო ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე და უნდა შეეღვიძინათ იგი ლეგენდიდან მოსული ბრძენის — ლაო-ძის მოძღვრების მოძღვრებს. მეორენი ამტკიცებენ, რომ ლაო-ძი ისტორიული პიროვ-

ნებაა, ცხოვრობდა ძვ. წ. VI—V საუკუნეთა მიჯნაზე, და რომ „დაო ღე ძინი“ უშუალოდ მისი შექმნილია; ხოლო შეიქმნა იგი — ერთი ვერსიის მიხედვით — იან ჯუს, ჯუნ-ძის, შენ დაოს ფილოსოფიურ თხზულებათა დაწერის შემდეგ (36, 272). არსებობს აზრი, თითქმის ლაო-ძის მოძღვრება ზეპირი სახით გავრცელებულა, შემდეგ ჩაუწერიათ და შეუღვენიათ მის მოწაფეებს და უწოდებით მისთვის „ლაო-ძი“. „დაო ღე ძინის“ რუსულ ენაზე მთარგმნელის იან ჰინ-შუნის თვალსაზრისით, ლაო-ძი ცხოვრობდა ძვ. წ. VI—V საუკუნეთა მიჯნაზე, მის მოძღვრებას კი უკვე V საუკუნეში ქჰონია დიდი აღიარება; „დაო ღე ძინი“ წარმოადგენს — ამბობს იგი, — ლაო-ძის მოძღვრებათა და უშუალოდ მისი უსთავრესი უსთავრესი დაწველებათა გადმოცემას. მისი აზრით, ტექსტი საბოლოოდ ჩამოყალიბებულიათ ძვ. წ. IV საუკუნეში. ცნობილი ფრანგი სწავლული და მოგზაური ეიუღეენი ლაო-ძის დაბადების თარიღად ძვ. წ. 604 წელს თარიღებს. ეს ცნობა მას ჩინური აპოკრიფული ტექსტიდან აუღია. ეს თარიღი დასახელებული უსთავრესად ყველგან (18, 62). ზოგიერთი დასავლეთევროპული სინოლოგი ლაო-ძის ცხოვრებისა და მიღვეწეობის დროდ ძვ. წ. მეექვსე საუკუნეს ასახელებს.

ისტორიკოს სიმა ციანს მოჰყავს სამი სხვადასხვა ვერსია. პირველის მიხედვით ლაო-ძი გაივიწყებულია და იღონა, კონფუციის მოძღვრებთან. მეორეს მიხედვით ლაო-ძი გაივიწყულია ლაო-ლაი-ძისთან, კონფუციის თანამებრძოლებთან; მესამის მიხედვით ლაო-ძი გაივიწყულია და ნთა, რომელიც კონფუციუსე არც ცხოვრობდა და იყო ისტორიოგრაფი. ცნობილ ინგლისელ სინოლოგს გ. ჯაიდსს დაუპტიკიებია, რომ სტილის მიხედვით „დაო ღე ძინი“ არ უნდა კუთხნიდეს იმ ხანას, როცა ლაო-ძის ცხოვრებას აღსტურებენ. ეს თეორია გაუხიარებიათ ხვევსაც, მაგრამ არა ყველა პუნქტი. ამ აზრს სინოლოგები არ მიიხევენ საბოლოოდ. ასეა თუ ისე, მთავარი მინც თხზულების მნიშვნელობა ჩინური და მთლიანობით აზროვნების ისტორიაში. ამის თაობაზე ვ. გრუბე წიგნში „ჩინეთის სულიერი კულტურა“ წერს: „აღბათ, არასოდეს მოხერხდება დამაკმაყოფილებლად გადაწვედეს საკითხი, მართლა ლაო-ძის კუთვნიის თუ არა ეს წიგნი; მაგრამ როცა ზოგიერთი სინოლოგი ეს შორს მტკობავს, რომ მას გაცილებით გვიანდელი დროის თამამ შენათხზად აცხადებს, ეს კრიტიკის უახრო სიბეჯითაა, რაც ვერავითარი სად და ზომიერ განხვავ ვერ უძლებს. ვისაც არ უნდა მიეკუთვნოთ ეს წიგნი, იგი უფილოდ ყველაზე დრმაზროვან ქმნილებას წარმოადგენს ჩინურ ფილოსოფიაში, ხოლო მისი ავტორი — სულიერთია, ლაო-ძის სახელს ატა-

რებად, თუ რაიმე სხვას — შეიძლება შევრაცხოთ ყველაზე ორიგინალურ და ყველაზე თვითმყოფ, მაგრამ, იმავე დროს, ყველაზე ბუნდოვან ჩინულ მოაზროვნედ" (7, 39). სინოლოგიაში მდიდარი ლიტერატურა დაგროვილი იმის შესახებ, იყო თუ არა ლაო-ძი ისტორიული პიროვნება. მაგრამ „მოუხედავად საინტერესო და დამაჯერებელი არგუმენტების სიმრავლისა, აქამდე ჯერ ვერაინ დამატვიცა ლაო-ძის არსებობის ფაქტი, ვერც ვერაინ უარყო იგი" (10, 222). მაგრამ ეს როდია არსებობა; დღეს ჩვენთვის არსებითია ერთი რამ: „დაო ღე ძინი“ ოცდახუთი საუკუნეა არსებობს და ადენივე ხანია, რაც ლეგენდამ ეს წიგნი ლაო-ძის სახელს დაუკუეშირა. მისი ცხოვრება ნახევრად მისტიკური ბურუსით არის გარემოსილი.

\* \* \*

ისტორიკოს სიმა ციანის მიხედვით, ბძქმენი ატარებდა გვარს ლი და სახელს — და ნ.<sup>10</sup> „ლაო-ძი“ ნიშნავს „მოხუც ფილოსოფოსს“. სიყვდილის შემდეგ მისთვის უწოდებიათ „სიქ“ — გრძელვადიანი ცინ იცის, იქნებ იმის გამოც, რომ სამყაროს მოძრაობასა თუ უძრავობას სმენით აღბეჭდილი ბგერებით ჭერვტება). ცნობილი ჩინელი მწერალი და ისტორიკოსი გო მო-კო წიგნში „ბრინჯაოს საუკუნე“ წერს, რომ ცი ნ-ი ს დინასტიამდე (221—206 წწ. ძვ. წ.) არავინ ეჭვობდა, ლაო-ძი რომ სახელ და ნ ატარებდა და რომ ის კონფუციუსის მოძღვარი იყო. ამის დასტურად, იან ხინ-შუნის თქმით, გო მო-კოს მოჰყავს მიწელი რაგი ციტატები ძველი ჩინური ხისხულებებიდან: ჯუან-ძის „დიუი-ში ჩუნ-ციუსს“ მატრიანიდან, „ხან ფეი-ძის“, „ლი-ძის“ წიგნებიდან, სადაც კონფუციუს მიწაფე ძენ-ძი თიხჯზის იხსენიებს თავისი მოძღვრის ნაამბობს ლაო-ძისთან შეხვედრის შესახებ (35, 34).

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ლაო-ძი მოღვაწეობდა სიამპერატორო კარზე, ჯოუს სსახელის წიგნისსაცავის მთავარ მწიგნობრად. იმპერატორის დევალებით იგი აღევნა ჩინეთის ისტორიის მატრიანს და იცავდა სხვადასხვა სახის უძველეს და უძირფასეს ხელნაწერებს. რადა თქმა უნდა, ამ წიგნისსაცავში მას შეეძლო სრულყოფილად ვაცნობოდა ჩინურ წერილობით წყაროებს, ზიარებოდა ამ ენაზე დაგროვილ სიბრძნეს. საფიქრებელია, რომ ლაო-ძის უკმაყოფილება თავისი ხალხის პრაქტიკული ცოდნის გამო წარმოიშვა სწორედ ამ ცოდნის სრულყოფილმა შეცნობამ. ყოველივე ამან უზიძძა მას, კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონოდა იმ ეთიკური ფორმებისადმი, რითაც მისი თანამედროვე ჩინეთი ცხოვრობდა. მან დატოვა სახელმწიფო სამსახური, უკმაყოფილომ საზოგადოებრივი და პი-

ლიტიკურ-სოციალური ვითარებით, და განმარტოვდა. ემძიმა სამეფო კარზე ცხოვრება; მისთვის მიუღებელი იყო ის ზნეობა, რითაც სამეფო კარი ცხოვრობდა: პირმოთინებით, გარყვნილებით, მომხვეჭილობით, მედიდურებით. ის კი ისეთ ცხოვრებას მიეღებოდა, სადაც მშვიდი ჭერვტისა და ფიქრის შესაძლებლობა ექნებოდა. საბოლოოდ რომ გაეაზრებინა თავისი მოძღვრება — ცხოვრების ჭეშმარიტი რწმენისა და გზის არსი, ესოდენ აუცილებელი თავისი თანამედროვე მშეთოვარე ცხოვრებისათვის. ამიტომ ტოევს სამიპერატორო კარს, ტოევს ჩინეთს და დასავლეთის სახვდრის გავლით „ბარბაროსთა“ ქვეყნებში მიეჭვზავება (მოუხედავს ინდოეთი და ტიბეტტი), რომ უზიაროს იქაურ სიბრძნეს; და დარჩენილ ცხოვრების წლებს ჭერვტება და დუმილმა ატარებს, სადაც მიყრუებულ გამოქვამულში, სადაც შეუთხზავს კიდევ თავისი უკვდავი ქმნილება. მას ერთხელ უთქვამს: „შე არავინ მიცნობს“, და დაუმატებია: „მაგრამ არის ცა — ის მიცნობს მე.“ ეს სიტყვები აბეჭდევს ლაო-ძის ასექტურ ბუნებასა და მის მარტოულ ცხოვრებას.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ეს ისტორია თუ ლეგენდა ასეთია: ქვეყნის შორულ სახვდარზე მდებარეობდა საგუშაგო, რისი გავლითაც „დასავლეთისაკენ“ მიმავალი მგზავნი მიხედებოდა იმ უზილავე ქვეყანაში, სადაც მეუფებს სი ვ ა ნ მ უ — „დედა-დედოფალი დასავლეთისა“. როგორღაც ერთხელ საგუშაგოს უფროსს უცნაური რამ შეუნიშნავს: ადმოსვლებიდან, ახუ ქვეყნის სიღრმეიან მისკენ მოიწვევდა არანვეულებრივი ისყვანი შევეროლობის დრუბელი. საგუშაგოს უფროსი გუ ა ნ ი ნ ჭკიანი კაცი ყოფილა და მაშინვე მიმხვდარა, რასაც დრუბელი აუწევდა: საგუშაგოს უახლოვედობა და ო თ ე ნ — „და ო ს კაცი“. მართლაც, საგუშაგოსთან მალე გამოჩენილა ხარზე (ხავერზე) ამხედრებული ახოვანი მოხუცი. ეს ლაო-ძი იყო. გუან ინ როცა მიმხვდარა, რომ ლაო-ძი სამუდამოდ ტოევდა ჩინეთს, თხოვნით მიუმართავს ბრძენთაბრძენისთვის: „მოძღვარო! ნუთუ შენ გადახვეწავსე ფიქრობ?!. თუ ეს ასეა, ვთხოვ დავეტიოთ შენი მოძღვრება!“ ლაო-ძის დუმილით შეუსრულებია თხოვნა, დაუწერილა ხუთი ათასი სიტყვისგან შემდგარი „დაო ღე ძინი“ და სამუდამოდ იმწოვრებია ჩინეთს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ წელს დაბადებულა ბუ და. ლაო-ძიმ აღასრულა ის, რითაც სხვებს მოძღვრავდა: „კაცი, რაჟამს ხაქმეს განასრულებს: სიამარტევი უნდა უკუდგეს. კაცი, საქმეს რომ აღასრულებს: სოფლიურ უსახსრულობას უნდა შეერთოს“. იდუმალებით მოცული სახე ამხედრებული ბრძენისა, როგორც ეს ჩინურმა ფერწერამ აღბეჭკდა, იქცა სწორედ

„ლაო დე მინის“ უხილავ გმირად (21, 442).

ეს ლეგენდა უაღრესად მნიშვნელოვან სიმბოლოდ მიანხდათ სინოლოგებს. პროფ. ვ. პ. ვასილივიჩის შენიშვნით, ეს მომენტით „თიქოს“-და გვიჩვენებს ლაო-ძის წიგნის კემპირს დასავლეთთან“. ლაო-ძი შორდება მისთვის მიუღებელ კონფიციურ ჩინეთს და მიემართება დასავლეთის ღვთისმსახურებისაკენ, კერძოდ — ინდუიზმისა და ბუდიზმისაკენ. „ლაო დე მინის“ უხილავი გმირის ლტოლვა ასევე უარი განმარტობისაკენ, დუმილისა და ჰერტიკისაკენ, არსებითად დაპირისპირება იყო მთელი იმპერიული ჩინური ეთიკური და რელიგიური შვეგნისადმი. ამ ლეგენდის მიხედვით შეიქმნა მითი დიად და ყულისშემძლე მოხუცზე, ვისგანაც იღებს თავის დასაბამს დაოიზმი. დაოიზმი იყო გადასვლა სრულიად სხვა რელიგიურ შვეგნებასა და მდგომარეობაში, ვიდრე ჩინელთა პრაქტიკული რაციონალიზმი და პრაგმატიკული ეთიკა იყო. დაოიზმი პირველად ჩინელთა შორის იმ ერთადერთი კაცისა, ვისაც ეძიება ბოლომდე ჩინელად ყოფნა და გაიქცა აკრძალულ „დასავლეთში“, ახალი რელიგიური არსებობისაკენ. ლაო-ძის ინდოეთისა და ტიბეტში გამგზავრება სხვა სიმბოლოსაც შეიცავს. ლეგენდა მოგვითხრობს ბრძენის ათასსახოვან გარდასახვებზე, მის კვლავშობასა და მოვლინებაზე, მის ვადვთაებებაზე. გვარი „ლი“ იმიტომ აქვს, რომ დედას წაბლის ხის ქვეშ („ლი“) შობა. სახელი „ერ“ იმიტომ აქვს, რომ მას არანვეულებრივად დიდი ყურები ჰქონდა. სიმა ციანის მიხედვით ლაო-ძი ასე გამოიყურება: მაღალი და ახოვანი, ყვითელი პირისახის, ღამაში წარბებით, ფართო შუბლით, თოკუხის პირით, უმხო კბილებით, სქელი ტუჩებით, უხარამზარი ყურები სასმავეი ხასმენი ხერვლებით, დიდი თვალებით, ფეხებზე — ათ-ათი თითით, ხოლო ხელისგულებზე — ათ-ათი ხაზით. წმინდა ცხოვრების გამო იცოცხლა ორასი წელი.

ლაო-ძი შემთხვევით არ შეურაცხავთ წმინდანად. მან თავისი ცხოვრებით განახორციელა ის, რასაც ქადაგებდა. რელიგიურმა ვადმოცემებმა საოცარი ლეგენდები შეთხზეს მასზე. ლაო-ძი იყო და ოს გარდასხულებდა და ხული, უსაწყისო და დაუსაბამო წყარო ყოფიერებისა; უფრომ, უფრო და უხში, ვისაც არც წინაარები ჰყავს, არც შთამომავალი. ბნელით, მაგრამ თავისთავში სულიერ არსს შეიცავს და ეს არსი ჰქმნარტებაა. ჯოუს დინასტიის დროს ლაო-ძის მოვლინება იყო მისი ერთ-ერთი ავატარო ანუ კვლავშობა, გარდასხულებდა. იგი რამდენიმეჯერ არის ვარდასხულებული (ყოველივე ეს ამსხვრევდა ზღუდეებში მოქცეულ რაციონალურ წარმოდგენებს აღმაინის არსებობის სასრულ სახლერებზე: დაბადებასა და სიკვ-

დილს, და სიკვდილსა და კვლავშობას შორის). ლაო-ძი იშვა თავისით — უსაწყისოდ და უსასრულოდ, იგი განუზორობებელია დროსა და სივრცეში. მისი დაბადების ახსნა შეუძლებელია. დიად და ოსთა და ერთად რომ მოემართება, ქმნის სამყაროს, სიცოცხლით აღსავსე ქვეყნიერებას. მარად ცაშია. ჯოუს დინასტიის დროს კვლავ აღსდგა გვარში „ლი“ და მარცხენა ფერდიდან იშვა ბუდას მსგავსად. პირველად აღსდგა ათას ხუთასი წლის წინათ, გამოეყო წმინდა პაქარს, მითავსდა იასის უმშვენიერესი ქალწულის მუცელში, სადაც ოთხმოცდაერთ წელიწადს დაბო. ამიტომ იშვა თეთრთიანით. მან შეხედა „ლის“ ხეს (წაბლის ხეს), რომლის ძირშიც იშვა და თქვა: ეს იქნება ჩემი გვარი. სხვა ლეგენდა ამბობს: ლაო-ძი დედას ჩაესახა არა კაცთან ქორწინებით, არამედ მიწაზე დაშვებული ვარსკვლავისაგან. საიდუმლო ნაყოფს, ცისა და მიწის შეერთებით ჩასახულს, დედა ოთხმოცდაერთ წელს ატარებდა საშვილოში; და ბოლოს იშვა „ჭადარას ყრბა“.

ერთი დაოსური ლეგენდის მიხედვით, იმპერატორი, ვერაფრით რომ ვერ მიიზიდა ბრძენი სახახლში, თავად ეწვია მას. ლაო-ძი არ თოყვანა მას. „თუმცა“ უბოო ხარ, — მიმართა იმპერატორმა, — მაინც ჩემი ქვეშევრდომი ხარ; ჩემზეა დამოკიდებული სიმდიდრე და გამოჩინება შენი“. ლაო-ძი აიწია პაერში და შეწერდა ღრუბლებში, მარცხენა ხელი ცისკენ აღაპურო, მარჯვენა — მიწისკენ და თქვა: „სჯობი“ ცაში და ქვევით მიწაზე მხოლოდ და ოთა თოყვანისცემის დრისი. ახლა, როცა ვარ მაღლა და მიწას ფეხს არ ვაკარებ პაერთი გარემოსილი, რას წარმოადგენს, ხელმწიფო, სიმდიდრე და გამოჩინება შენი“. იმპერატორი ამის შემდეგ თოყვანდა ითოყვანა ლაო-ძის. ლეგენდის სიმბოლო გვაუწყებს, რომ იმპერატორი — გამოშხატვლ ჩინეთიზმის ხულისა, ქელს იხრის ლაო-ძის ახალი და დიადი რელიგიური მოძღვრების წინაშე. თუ როგორი ვადვითურებული იყო ჩინეთში ლაო-ძი, ამას ბევრი ფაქტი ადასტურებს. ერთ-ერთ ძველჩინურ ტრაქტატში „მოუ-ძი“ (II—III სს. ახ. წ.), რაც ჩინელ ბულისტის მიერადაღწერილი და წარმოადგენს ჩინურ წინარბულისტურ თხზულებას, რათა დაცვა ბუდიზმი თავდასხმებისაგან და გამართლებინა ჩინეთში მისი არსებობა, ნათქვამია, რომ ბუდა დიადია, როგორც სხვა ბრძენი, როგორც, ვთქვათ, ლაო-ძი, რომელითაც ითოყვანებოდა კონფუცი; თუმცა მათ სახლებს (ბუდასა და ლაო-ძის სახლებს) არც ისენიებენ ძველი კონფუციური წიგნები. დაოსებმა ბუდა თავითი პანთონში შეიყვანეს და ლაო-ძი მის გვერდით დააყვეს. ხანის იმპერატორმა ხუან-დომ 166 წელს ერთდროულად მოუწო მსხვერპლშეწირვის რიტუალი როგორც ბუდას, ისე ლაო-



ძის (10, 308—309). გვიანდროინდელ ჩინურ კულტურში ყველაზე უმაღლეს წრეში სამი დიდი რელიგიის ფუძემდებელს ათავსებენ: ბუ და სი, ლაო-ძი სი და კონფუციუსი (10, 383).

#### IV

ლაო-ძი კონფუციუსს უფროსი თანამედროვე იყო. სინოლოგიაში არსებობს ვარაუდი მათი შეხვედრის შესახებ. შეიძლება ეს ისტორია სინამდვილეც იყოს, შეიძლება — ლეგენდაც; მაგრამ მთავარი აქ ეს როლია; მთავარი ის არის, რომ ცხადად აუღენს ამ ორი პირის ნებისა და მათი მოძღვრების ურთიერთგანსხვავებას. ამ შეხვედრამ განაოგებინა ორი ძალია ჩინური მსოფლმხედველობისა: ძალია, რამაც ჩინეთი ჩინეთად აქცია, და რამაც ბრძნული წიგნი მისცა „ლაო ღმერთის“ სახით ჩინეთს.

ჯოუს სპოქაში, პოლიტიკურ თუ სხვა რამ მიხეზთა გამო, ბევრმა მიატოვა ოჯახი, საზოგადოება და განდევნილებად ცხოვრობდნენ ტყვეებსა და გამოქვაბულებში. ერთ-ერთი ასეთი განდევნილი იყო ღრმა და ორიგინალური მოაზროვნე, ვინც დაიბნინა ფუძემდებელად იქცა. ეს იყო მიხრწნილებაში გადასული ფილოსოფოსი ლაო-ძი, დაბადებული კონფუციუსე ორმოცდაათი წლით ადრე. ლაო-ძი უკვე ღრმა მოხუცი იყო, როცა მისმა დიდმა თანამედროვემ აღიარებდა მოიპოვა. უკვე ღრმად დარწმუნებული დაცემულ საუკუნისთან ბრძოლის უაზრობაში, იგი ამაყი ზიზღით უუბრებდა კონფუციუსს უშუალო ცდებს“ (6, 101). კონფუციუსს ერთი თანამოქალაქე უჯუ შეხვედრია ლაო-ძის. ერთ-ერთი საუბრის დროს ლაო-ძის მწუხარებით უთქვამს: „კონფუციუსი არ არის იდეალური კაცი, მაგრამ გარკვევითარია — რად უჭირავს თავი ასე შედღერად, ისე, თითქოს გრმად მოაზროვნე კაცი იყოს“. ლაო-ძის ერთ-ერთი მიმდევარი გენ სან-ჩუ იუწყება, რომ მას „ღრმად“ ესმოდა ლაო-ძის მოძღვრება და ოს შესახებ და ცხოვრობდა ჩინოლოგიაში, მიუვალ მთებში. რომ მას უყვარდა სხუბება და მასთან სტუმრობდნენ ცოდნის დაუფლების წყურვილით გულანთებული ადამიანები. მაგრამ იგი ახლოს არ იკარებდა ყალბი სიკეთის მქადაგებელთ“ (36, 39). „ყალბი სიკეთის მქადაგებლებში“ იგი კონფუციუსებს გულსხმობდა.

ჯუნ-ძის წიგნიდან ჩანს, რომ ლაო-ძის პეოლია მოწაფეები, ერთ-ერთ მთავანს, იან ძი-ძიუ იუს ასე მოძღვრავს ლაო-ძი: „ბრძენი კაცი იშვიათად ამჟღავნებს თავის ნიჭიერებას და მხოლოდ თანების არსებობის სრულქმნისათვის იღწვის“. იგი ურჩევდა მოწაფეებს, არ ეემოგნახურათ სახელმწიფოში და არ გავერცხლებინათ მისი მოძღვრება

(35, 38). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს თვალსაზრისი უპირისპირდება კონფუციურ თვალსაზრისს.

კონფუციუსი თავისი მოწაფის ძი-ლუს რჩევით სწევია პირველად ლაო-ძის, ვინც უხალისოდ მიიღო იგი. ამ შეხვედრას ვარაუდობენ ძე. წ. 517 წელს. მაქს მიულერის ცნობით, მაშინ ლაო-ძი ოთხმოცდარვა წლისა ყოფილა, ხოლო კონფუციუსი — ოცდათხუთმეტი წლისა. ისტორიკოსი სიმე ციანი ასე ავეიწერს ლაო-ძის და კონფუციუსს შეხვედრას: კუნ-ძი,<sup>11</sup> ჯოუს რომ ჩავიდა, ლაო-ძის ეწვია და მას აღამაინაურ ქვეცავთა წესებზე ჩამოუგდო საუბარი. ლაო-ძიმ მიუთხ: კაცი, ვისზეც შშენ ახლა ლაპარაკობ, უკვე დიდი ხანია გაიხრწნა თავის ძვლებთან ერთად და მისგან მხოლოდ სიტყვებიდა შემოვივრჩა. კეთილ-შეილი რაინდი შშვიდლობიანობისას ეტლზეა აღმჯდარი და სხახელ-შეილი საქმეებით არის დატვირთული. შფითის დროს კი ყვებით და იარება ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. მე მსმენია, რომ ჭკვიანი ვაჭარი მალავს თავის სიძლიერეს და ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი ეხადოს. ასევე მადლიერ ზნეობის ბრძენი შრავს ღირსებას ფლობს, მაგრამ ცდილობს გარეგნობაში არ გაამჟღავნოს თავისი ზნეობა და სიბრძნე. უკუავე შენ შენი სიამაყე, შენი ვნებები და მელიდურობა. ყოველივე ეს არ მოიტანს შენ სარგებლობას... სამართლიანობა და კაცთმოყვარება მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, ისინი მხოლოდ მალავენ სისასტიკეს და ამწუხრებენ ადამიანთა გულებს. არახოდეს ყოფილა სამეარო ასეთი არეული, როგორც ახლანა... ცე და მიწა ბუნებრივად ინარჩუნებენ უცვლელობას, შშენ და მივარებ ბუნებრივად ანათებენ, ვარსკვლავებს თავიანთი ბუნებრივი განლაგება აქვთ, ვარეული ფრინველები და შშეცები ბუნებრივად ცხოვრობენ, ხეები ბუნებრივად იზრდებიან. მტრედი თეთრია არა იმიტომ, რომ ყოველდღე ბანაობს; ყველა შვია არა იმიტომ, რომ ირებება; თევზი წყალში ცოცხლობს, ხმელეთზე კი იღუპება; მას არ შუქულია მიატოვოს მდინარე ან ტბა. კარგი იქნებოდა, შშენც დაეკცვა ბუნებითობა, დამორჩილებოდი და ოს და დე ს, აუცილებელი არ არის; ასეთი გულთალობით ვავერცხვებო მოძღვრებას მოყვანობსა და სამართლიანობაზე. შენი მოქმედება მაგონებს კაცს, დაუდაფებს რომ სცემს და თავად იუბედურებს თავს. მომდვარო! ამით მხოლოდ აწუხებ ადამიანებს!..

ამ შეხვედრის შემდეგ სამი დღე დუმა თურმე კონფუციუსი. მოწაფეთა შშეითხაზე, თუ რით დაუპირისპირდა ლაო-ძის, უბასუხია: არათუ დაუპირისპირდი, პირის გაღებაც ვერ შშევედი... მე ვიცი, რომ ფრინველებმა იციან ფრენა, თევზებმა იციან ცურვა, ცხოველებ-

მა იციან სრბოლა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველა მათი შეჩერება შესაძლებელია. რაც შეეხება დრაკონს, მისი შეჩერება შეუძლებელია. მე არ ვუწეო, როგორ მადლდება იგი ცად ქარსა და დრუბლუ-პში. მე ვნახე ლაო-ძი, იგი ნამდვილი დრაკონია. იგი ხან ხილულ არსებად წარმომიდგა, ხანაც ნისლეულ არსებად. მას ძალუმს დრუბ-ლებში სრბოლა და იწისა და იწის ციური სხივებით სუნთქვა. მისი შეჩერება შეუძლებელია!..

შემდეგი შეხვედრის დროს კონფუცის შეუივლია ლაო-ძისთვის: „მე გამოვეცი პოუზის წიგნი, წიგნი ისტორიისა, ადათ-წესებისა, ტრანკვიტი მუხიკაზე და ცვალებადობათა წიგნი. მე დავწერე მატჩიანე გაზაფხულისა და შემოდგომისა. მე ვსწავლობდი ძველ მეფეთა ხეხს. მე ვავასხივონსებ ბრძენთა უხუჩანესი ქმედებანი. და მაინც არავინ მთელის დირსად მიმსახუროს. როგორც ჩანს „ახელის ხალხის დარ-წუნება!“ ლაო-ძის მიუგია: „ძველ მეფეთა მემკვიდრეობას ეკვსი თავისუფალი ხელოვნება შეადგენს. ის, რასაც შენ იქმ, უშიაგრესად მოძველებულ მაგალითებს ეყრდნობა. შენ მხოლოდ ძველის ნაკვა-ღვეით მიდიხარ, ახალს არაფერს ქმნი... ის, რაც ვარდასულია, შე-უძლებელია მისი დაბრუნება. ვარდაუვალობას ვერ გაექცევო, დროის მდინარების შეჩერება შეუძლებელია. და ო ს ვერ ჩაკვებავ. შეიცნო ღაო, ბუნებობის კანონს მორჩილებს; ვინც ვერ შეიცნო ღაო, არღვევს ბუნებობის კანონს“. ამის შემდეგ, კონფუცის თავის მოწაფესთან ინან-ძისთან საუბრისას უთქვამს: „სახელოვანი ხელმოწივნი ისე მართავდნენ ქვეყანას, რომ მათი დეაწლი მთელს იმპე-რიაში ვრცელდებოდა. ისინი აბედნიერებდნენ ხალხს, არ აგრძობი-ბუნდნენ თავიანთ ხელმოწივებს. მათი სათნოება იყო ისე დიადი, სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ისინი ცხოვრობდნენ“ „შეუღწევად განმარტოებაში და ღაო ში იყვნენ დანთქმულნი“ (6, 106). თუ ამ სიტყვებს ვერაწმუნებით, ლაო-ძის მაინც მოუხდენია მცირეოდენი ზეგავლენა კონფუციზე: ზემოთ თქმული სიტყვის ახარი ერთ-ერთ უშიაგრეს პრინციპად ვახავეს „ღაო ღე ძისნი“. ჩინელთა გრდიოგიური შეგნების არსს რომ განსაზღვრავდა, არქ. ხრისანური წარდა: „ყველა საღვთო ანდა ავტორიტეტული წიგნი ჩინეთისა, უპი-რატესად, ხეობობიო-პრაქტიკული შინაარსისაა. მაგრამ მასში დამო-წმუბული არც ერთი ხეობობიო წიგნი არ მადლდება ჩვეულობით, ბუნებობიო მოთხოვნილებების ვერეთ წარდებულ ვოფთ სიბრძნეზე, ყოფით ანგარიშიანობაზე მალა“. სწორედ ასეთი სიბრძნის მფლო-ბლად წარსდება კონფუცი ლაო-ძის წინაშე, ხოლო მისი სახით — მთელი ჩინეთი. კონფუციმ მოწიწებით მოუსმინა ლაო-ძის, დრაკონ-

საც კი შეადარა, მაგრამ ვერაფერი შეისმინა მისგან. ასეთი იყო ლაო-ძის ბედი მთელს ჩინეთში: მას უსმენდნენ და აღიარებდნენ კიდევ; და მაინც შეაქცია ზურგი ჩინეთს და ახალი რელიგიის მოსახილ-ველად საკუთარ უსასრულობაში გადაიხვეწა. მხოლოდ მოგვიანებით აღიარეს მისი მოძღვრება, ავი თვითონაც ამბობს ერთგან: „ო, რა ტვიანია სიტყვა: ბრძნული და დაუწვებელი!“

\* \* \*

ლაო-ძის მოძღვრების სრული გააზრებისა და მისი ისტორიულ კონტექსტში სრულყოფილი წარმოდგენისათვის, ვფიქრობ, აუცი-ლებელია ზოგადად მაინც მოიხაზოს კონფუციური მოძღვრების არსი და მისი განსხვავებულობა დაოზისმისაგან. ფაქტურად ეს ორი მოძღვრება იყო დიდი, ხანაღმყოფიანი მოძღვრება ჩინეთში ბუ-ღიზმის გამოჩენამდე და მის შემდეგაც. ეს შეპირისპირება კიდევ იმიტომ არის აუცილებელი, რომ უფრო მკვეთრად წარმოჩნდება დაო-ზიზმის არსი, კერძოდ კი, „ღაო ღე ძისნი“ პარადოქსული იდეები. თუ ზემოთ აღწერილი შეხვედრები კონფუციუსა და ლაო-ძისა უშეტეს-წილად ვარაუდს ემყარება და იმიტომ არის უთხზული, დასტებს რომ ერთმანეთისაგან განსხვავებინათ ამ ორი მოძღვრების ბუნება და ხასიათი, ქვევით საქმე გვექნება თვით იდეათა და მსოფლმხედ-ველობრივ სისტემათა დაპირისპირებასთან, რაც რეალურად არსე-ბულ მოძღვრებებს ეფუძნება.

კონფუცი, როგორც ისტორიული წყაროებიდან და სინო-ლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, იყო ლაო-ძის უძეგროსი თანამედროვე (551—479 წწ. ძვ. წ.). კონფუციის ეთიკურ-პოლიტიკურ-ბი მოძღვრებამ მოიცვა ჩინური საზოგადოების ყველა სფერო და იქვე ერთ უშიაგრეს იდეოლოგიად ჩინეთში.<sup>12</sup> კონფუციის ფილოსოფიის არსი მდგომარეობს ზოგადად ადამიანობის, ადამიანთა შორის სიყ-ვარულის ქადაგებაში. კონფუციის დოქტრინაში ცენტრალური ადგი-ლი უჭირავს მოძღვრებას კეთილშობილ კაცებს — „ძიუნ-ძი“.<sup>13</sup> კონფუციის ეთიკური პრინციპი იყო: კაცთმოყვარეობა — „ჟუნ“. აქ იყრი-და თავს ადამიანის ყველა იდეალური თვისება. ამ ცნებაში იკრებდა თავს კონფუციის ეთიკის სხვა ძირითადი კატეგორიებიც: რიტუალი — „ლი“, ცოდნა — „ჯი“, სიმამაცე — „იუნ“, თავყვანისცემა — „გუნ“, დი-სულეობება — „კუნ“, ერთგულება — „სინ“, სიკეთე — „ჯუნ“. შეიღდა მშობლებსადმი მოწიწება და თავყვანისცემა, სუბორდინაციის მკაცრი დაცვა საზოგადოებაში, ოჯახში კი იერარქიული პრინციპის დაცვა — „სიაო“; იმპერატორის ერთგულება — „ჯუნ“. კონფუციისა და კონფუ-

3. ღაო ღე ძისნი

ციზმისათვის მოავარი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ეთიკურ ძირებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ნორმები. ლაო-ძი და ლაოიზმი კი სამყაროსა და ყოფიერების არსს განიხილავს ნივთიერი ყოფილსაგან მოწყვეტილად. ისტორიოს სიმა ციანის მამა სიმა ციანი (II ს. ძვ. წ.) თავის ტრაქტატში „ეჭვსი სკოლის მოავარი დებულუბანი“ ასე ახასიათებს კონფუციზმს: „კონფუციანელებს უაღრესად ფართო განსწავლულობა აქვთ, მაგრამ არ ყოფიან სავანთა არსის წვლმა. ამის გამო უნდა დახარჯო დიდი ჯაფა, რათა შეიმეცნოს ისინი; თუმცა წარმატება მაინც იქნება. აი, რად არის შეუძლებელი სრულფასოვნად აღვიკეთო ეს მოძღვრება“ (7, 75). ორიენტალისტი მ. რეისნერი ხაზგასმით აღნიშნავს: „რ ე ღ ი ა ა ქ ღ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ უ ლ ი ა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ კ ი დ უ რ ე კ რ ა ც ი ო ნ ა ღ ი ზ მ ს (საუბარია კონფუციზმზე — ღ. ა.). რაიმე მისტიკური განათებების მივიერ აქ დღიღის იკავებს ზუსტი მაგიური ტექნიკა, გამარტოებული კანცელარიული საქმის წარმოებაშიღ... რა თქმა უნდა, რელიგია ჩინეთისა მაინც რელიგიაა. თავყანისცემა წინაპართა, გარდაცვლილთა სულებისა, ცი ს ა ატარებს მაგიური მოქმედების განსაზღვრულ, ხასიათს. მაგრამ სწორედ ამ რელიგიაში ძვეს წმინდა კვისტანსენცია მაგიური ტექნიკის, რიტუალისა და ცერემონიალისა, და შინიშუმი იძისა, რისი დაკავშირებაც შეიძლება „ქარ ი ზ შ ი ს“ ცნებასთან<sup>14</sup> (28, 318). თუ კონფუციზმი უარყოფდა დაბალი ფენების წეს-ჩვეულებებს, მის დათობსა და წარმოდგენებს და ხაზს უსვამდა ეთიკურ და პოლიტიკურ საწყისებს, უარყოფდა პოლიტიკისა და ყოველგვარ ტრანსცენდენტურ წარმოდგენებს, — ლაოიზმი, რაც რელიგიურ-მითოლოგიური და მისტიკური რწმენის ნაყოფი იყო, ცდილობდა აღედგინა გარდასული წარმოდგენები და შეხედულიყო, ხალხის ბუნებითი ადიაწებს; ლაოიზმი ცდილობდა აღედგინა ის, რაც პირველად და პირველქმინდ ფილოსოფიის წარმოდგენდა და რაც შემდეგ სავეუერებსე იქცა რელიგიად, და ო ს რწმუნად. ს. ა. ტოკარევი წერს: „კონფუციის მოძღვრების უმოავრესი შინაარსია მოძღვრება ქვეცის წესებზე, სწორი ცხოვრების შესახებ. ეს არის პოლიტიკური და კერძო ეთიკის სისტემა. თვით კონფუცი ნაკლებად იყო დაინტერესებული მეტაფიზიკის, კოსმოლოგიის, მისტიკის საკითხებით და უმთავრეს უარადღებას მოძღვრების პრაქტიკულ მხარეს აქცევდა“ (31, 251). კონფუცი კატეგორიულად მითითოვდა, რომ მსხვერპლშეწირვა შესრულებულიყო სრული მოკრძალებითა და მოწიწებით, იხე, თითქოს ის სული, ვისაც მსხვერპლს შეწირავდნენ, მსხვერპლშეწირვის რი-

ტუალს იწვევდა. იგი მითითოვდა განუხრელ აღსრულებას მსხვერპლშეწირვის ყველა დადგენილი წეს-ჩვეულებისა. ერთ-ერთ მოწიფეს, ვისაც არ მოეწონა ცხვრების მსხვერპლად შეწირვა, კონფუციმ ასე მოუწო: „შენ ეს ცხვარი გუნანება, მე კი — რიტუალი!“ ლაოიზმი პირველი ნაბიჯებიდანვე განსხვავებოდა კონფუციური მოძღვრებისაგან. სოციალურ პოლიტიკას, რაც კონფუციანელთა საუბუქელი იყო, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა დროს-სულათათვის.<sup>15</sup> სწორედ ლაოსებმა დაიწყეს პირველად ყოფიერების, ბუნების, სამყაროს დამუშავება და რელიგიამდე მიიყვანეს. ამ თვალსაზრისით, „დაო ღე ძინი“ უფრო რელიგიური თხზულებაა, ვინემ კონფუციის თხზულებები და მილიანად კონფუციზმი; კონფუციის მოძღვრებაში ბევრია იტვი და განსჯა, ლაოიზმი კი — პირდაპირ, ყოველგვარი იტვის გარეშე აღიარებს თავის ერთარსებას: და ო ს. კონფუციის ასეთი ერთარსება არ ჰყავს. მაგრამ იგი მითითებს რელიგიური წესების დაცვას, მსხვერპლშეწირვას, დაკრძალვა-ქორწილების წესების, ყოველნაირი რიტულის შესრულებას. ყოველივე ამას უარყოფს ლაო-ძი, ვინც გაწმინდა თავის მოძღვრება ასეთი გარეგნული ატრიბუტებისაგან და უპირატესი მნიშვნელობა აღმაიანის სულსა და გონებას, მის შინაცა ნ რ წ მ ე ნ ა ს მაინიგა. კონფუცი აღიარებდა, რომ სახელმწიფოს მართვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა იგი ეფუძნება ძეია მამათადმი სიყვარულს. მას მაინდა, რომ სწორი და სამართლიანი ხელმწიფება „სახელთა გამოაღვირებაში“, ანუ ყველას და ყველაფრისათვის თავისი ავცილის მიჩენაში მდგომარეობდა. „ლუნ ძიუ“ გვაუწყებს: „ხელმწიფე ხელმწიფე უნდა იყოს, ხელქვეითი — ხელქვეითი, მამა — მამა, ძე — ძე“ (16, 160). ყოველმა კაცმა ცოდნითა და განსწავლით უნდა მიადწიოს თავის ხელობივ სრულქმნას.<sup>16</sup> ლაო-ძი ყოველგვარი მმართველობის ჭეშმარიტ პრინციპად და ო ს აღიარებდა. ხელმწიფეცა და ხელქვეითიც და ო ს მიხედვით უნდა მოქმედებდნენ, ანუ ბუნების კანონების მიხედვით, უნდა დაიცვან სრული სიმშვიდე და შიხლადონ სურვილები. ლაო-ძი ამბობს: „ვიცნა დიდ სახელმწიფოს ხელმწიფებს: მარადი სიმშვიდე და სიფრთხილე მართებს.“ ჰვეკლი ასეთი შევასებას აძლევს კონფუციის: „კონფუცი მორალის ფილოსოფოსია, მხოლოდ არა სპეკულატური. ტი ა ნ, ბუნების საყოველთაო ძალა, რაც იმპერატორის ძალაუფლებით იღებს სახეს, დაკავშირებულია მორალის ხასიათის დამოკიდებულებებთან, და ეს მორალური მხარე დამუშავა ძირითადად კი ნ ფ უ ც ი მ“ (12, 476). მაგრამ ცოტა ხემით ჰვეკლი აღნიშნავს: ჩინელებს ჰყოფდა აღმაიანები, რომელ-

ნიც შეპყრობილნი იყვნენ საგანთა არსის შინაგანი წვდომით; ისინი არ ეკუთვნოდნენ ტიანის ოფიციალურ სახელმწიფოებრივ რელიგიას და ცდილობდნენ ჭეშმარიტების შეცნობას. მათ მიღება-წობაში ჰეგელი პირველ საფეხურად მიიჩნევს ცნობიერების თავის თავში ჩაბრუნებას, მითხზვანას, რათა ცნობიერებამ მოაქციოს მედიტაციაში საკუთარი თავი. „ასეთიან სექტადაო“ — ამბობს ჰეგელი. იგი, რაღა თქმა უნდა, „ღაო ღე ძინს“ და მის ნახვევად მითიურ ავტორს გულისხმობს. არქ. ხრისანვი პირდაპირ წერს: „ფილოსოფია, რომელიც ჩინეთში არ არის გამოყოფილი რელიგიისაგან, ჩვენთვის უკვე ცნობილია, ისევე როგორც ცნობილია ჩინელი ბრძენის იდეალი, „სიბრძნის შეუწყის“ კუნძის მსგავსი, თავისი შშრახი, გონებითი თვალსაზრისით, რომელიც უფროხის ყოველივე ძიანს, რაც მას ცოდნის მიღმა და ცხადიერი სინამდვილიდან გაიყვანს“ (34, 146).

ლაო-ძიმ უარყო პრაქტიკული და ყოფითი შეშეცნების არე და თავისი მოძღვრება და მსოფლმხედველობა წმინდა მეტაფიზიკურ და ტრანსცენდენტალურ შეშეცნებას დააფუძნა. აკად. ნ. ი. კონრადი ასე ახასიათებს ლაო-ძისა და კონფუციის მოძღვრებათა არსის სხვადასხვაობას: „...კონფუციზმი ადამიანში ხედავს ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის შექმნელს, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაწესრიგებელს, როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე ცალკეული ადამიანისათვის, რომელიც გააზრებულია სწორედ ამ საზოგადოების წევრად. თვით ეს ინსტიტუტები განიხილებიან აუცილებლად ფაქტორებად როგორც საზოგადოების, ისე ადამიანის არსებობისათვის. ეს ინსტიტუტები გააზრებული არიან როგორც საზოგადოებრივი და ადამიანის პირადი ცხოვრების ნორმათა („ლი“) გამოშვებულნი“.

ამ კონცეფციას მიყვავართ ადამიანის ნორმატიული დაქვემდებარება; ამ დაქვემდებარებას მისდევს ადამიანის თავისუფლების შესღულდა, მისი პიროვნულობის დათრგუნვა. ამ წარმოდგენაზე დაფუძნებულია მეორე კონცეფცია, რომელიც დაოხმმა წამოჭრა: ის აღიარებდა ადამიანის პიროვნების ავტონომიას, დაფუძნებულს მისი ბუნებრივსტატიკურობაზე“ და გამომდინარე მთელს ყოფიერებასთან პიროვნების შერწყმიდან. ამ აღიარებას თან მოჰყვა ყველაფრის უარყოფა, რასაც შეეძლო რითიმე მანაც ემოქმედა ადამიანის პიროვნულუბაზე, ანუ უარყოფა ნორმათა, როგორც ასეთისა... დაიხზის მიმდევართათვის ეს ინსტიტუტები (იგულისხმება კონფუციზმის) მეორე აღიარებული. კატეგორიები: სახელმწიფო, საზოგადოება, საზოგა-

დოებრივი მორალი და ა. შ. — ლ. ა.), აგრეთვე ის პრინციპები, რა-ნიც მათ უღვეთ საფუძვლად, სხვა არაფერია, თუ არა იარაღი ადამიანური თავისუფლების დათრგუნვისა, პიროვნულობის დათრგუნვისა“ (21, 478). ჩინური კულტურა და ლიტერატურა, — პროფ. ვ. მ. ალექსევეის თქმით, — ყოველთვის იწვევდა დაოსური ინტუიციის ამდგენულ-დაუსაზღვრავ სიფრცესა და კონფუციურ სიცხადეს შორის. „...რამდენადაც კონფუციზმმა მოძღვრებამ ჩინეთს მისცა ისტორიული და კულტურული შეგნება, იმდენად ლაო-ძისა და მის მიმდევართა მოძღვრება მარადიული არსებობის სულს დაეფ საფუძვლად“ (4, 62). დაოსულთა მოძღვრება, ისევე როგორც კონფუციანელთა მოძღვრება, არის მოძღვრება ზეკაცზე და მასთან მიახლოების გზებზე. მაგრამ დაოსელთა ზეკაცი განმდგარია ამსოფლიური ცხოვრებისაგან, ხოლო კონფუციანელი — მოქმედებს (4, 244). ლაო-ძის დაო განსაზღვრავს ჩინეთის პოეზიასა და ჭეშმარიტ მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო კონფუციის დაო — ჩინეთის მთელს სამშენებლო ჩონჩხსა და წარმოებულ ძალებს (4, 122). კონფუციის დაო-ჯანს ადამიანი მიჰყავს ცხოვრებისაკენ, სადაც ის აყალიბებს ადამიანისათვის შესაფერ კულტურულ საზოგადოებას. ხოლო ლაო-ძის დაო-ჯანს ადამიანს ვაიხმობს თავისივე მგებანთა არსებობიდან საგანთა მარადიული შეუფარდებლობის ანარქიასა და ზეკაცურ ასტრალურ განწყებაში“ (4, 62). ნ. ი. კონრადის მიხედვით, კონფუციის დაოსა და ლაო-ძის დაოს წარმოშობი ძირები ყოფიერებით დაუკმაყოფილებლობაში ძვეს და წარმოდგენს მისგან თავის დაღწევის გზების ძიებას. ხოლო ბოროტებათა თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში უნდა დადგინდეს მათი წარმოშობი პირველმიზეზები. „მას კონფუცი ადამიანის არასრულქმნილებაში ხედავდა, მით უფრო, მთელი საზოგადოების. აქედან გამომდინარე, მისთვის საზოგადოებრივი მდომარეობის სასურველ დონეზე ასაყვანად აუცილებელი იყო თვით ადამიანის გაუკეთესება. მისი გაუკეთესება კი შესაძლებელია გენზე დაგრდნობით, ადამიანში „ადამიანური საწყისის“ გამოშობით, იმით, რაც მისი ბუნების არსს შეიცავს. ადამიანში ადამიანურ თვისებათა ამაღლებას ემსახურება: გენ — განათლებულობა, ნაკითხობა, მაღლი ინტელექტუალიზმი და ზეწობრივი კულტურა. დერამდინარეად ადამიანის ბუნებაში „ადამიანური საწყისის“ აქტიური ფრქვობი, გამოვლენილი მოქმედებასა და საქმეში, სულიერი კულტურა, ის არის, რაც სწორედ ადამიანის მოღვაწეობით შექმნება, ასეთიანაა ფუნდისათვის დაო-ჯანს მისცა საფუძვლიანი საზოგადოებრივი მდომარეობით დაუკმაყოფილებლობის პირველი

მიზეზი შეიძლება სხვა რაიმეში ვეძიოთ. სამყაროში შფოთია. მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ბრძოლა მიმდინარეობს. რისი შედეგია ბრძოლა? განხეთქილებების. განხეთქილებებს რა იწვევს? ვნებები, სურვილები: ერთნი ერთს მიეღწვიან, მეორენი — მეორეს; თვით სურვილთა ბუნება გვიბიძგებს იქითვე, რათა მივალწიოთ სასურველს, ანუ ვიმოქმედოთ. მაგრამ არ არის „მოქმედება?“ რასაც ადამიანები თვით იქმნიან. ნაკითხობა, განათლება, კულტურა არ არის „მოცემუხე“, არამედ „შექმნილი“, ანუ არაბუნებოთია, არანამდვილია; ესე იგი — ხელოვნურია, ყალბია. აქედან გამომდინარე, ყველა ბოროტების ძირი — მოქმედება, მოღვაწეობა; ამით ადამიანი იჭრება საგანთა ბუნებრივ სვლაში და არღვევს მას; ეს კი თვით მისთვის არის დამღუპველი“ (21, 433). ბუნებითია უმოქმედობა და ერთადერთი გზაა სამყაროსთან, ყოველ არსთან თანხმობით დაკავშირებისა. ეს თანახმობა, ეს შერწყმა იწვევს ადამიანის შინაგან წესრიგსა და თანხმობებს. ასეთია ლაო-ძისთვის და ო-გ ზ ა.

## V

სინოლოგების საერთო აზრით, „დაო ღე ძინში“ მოცემულია სტიქიური დიალექტიკის პლასტიკები და გულუბრველო მატერიალიზმის ელემენტებიც; მას განიხილავენ იდეალიზმის ნიშნებსაც და მასში მატერიალისტურ ტენდენციებსაც ჰკრეტენ. უმთავრესი ხაზი მაინც იდეალიზმისკენ იხრება. თუმცა ზოგიერთი გამოთქეკში და ო ს შესახებ მის მატერიალისტურ საწიესებსაც ვგაფიქრებინებს (7, 175). რუხი მეცნიერად ორიენტალისტი ა. ა. პეტროვი ლაო-ძის ო ბ ი ე ქ უ რ ი ი ე ღ ა ლ ი ზ მ ი ს ერთ-ერთ უდიდეს ფუძემდებლად თვლის არა მხოლოდ ჩინურ, არამედ მსოფლიო ფილოსოფიაში; ხოლო მის მოძღვრებას მონისტურ მოძღვრებად მიიჩნევს და წერს: „დაოიზში, გამოვლენილი „დაო ღე ძინში“ და განხილული როგორც ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ბ ი რ ვ ე ლ მ ი ხ ე ზ ი და ს ა მ ყ ა - რ ო ბ ა რ ს ი, წარმოადგენს მეგერ მ ო ნ ი ს ტ უ რ ს ი ს ტ ე მ ა ს. ეს ობიექტური იდეალიზმის ნაირსახეობაა და ლაო-ძი, რომელსაც ამ ტექსტს მიაწერენ, პლატონთან ერთად უნდა ვაღიაროთ იდეალიზმის სკოლის პირველ შემოქმედად მსოფლიო ფილოსოფიაში“ (27, 39). „დაო ღე ძინში“ მოცემული საგანთა და მოვლენათა წინააღმდეგობა და ცვალებადობა, მაგრამ დასაბამის უცვლელობა და მისი ერთგვარებად აღიარება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება და ო ს კ ა ნ ო ნ ის აბსოლუტიზაციაში, მის სამყაროს არსად გარდასახვაში. ბუნების წინააღმდეგობრიობას რომ ჰკრეტდა, ლაო-ძი მის გადაწყვეტას

ხედავდა ერთიანობაში. ერთიანობას აღიარებდა საგანთა წარმოშობისა და ცვალებადობა-უცვლელობის ერთადერთ საფუძვლად, რადგანაც და ო ერთიანია და განუყოფელი. ამ ერთიანობის, ანუ იგივე და ო ს წვდობა კი, ლაო-ძის მიხედვით, მხოლოდ ცონების ჰერეტიკით შექმნებით არის შესაძლებელი. იგი ამ გზით ცდილობდა აეხსნა ყოფიერების სულიერი აზრი, მისი შინაგანი კანონები თუ კანონზომიერებათა. ლაო-ძის სწავლა, რომ სუგანთა მოვლენათა მსწრაფლ-წარმაველ დინებაში იღო რღაც არსებითი — უცვლელი და მარადიული. ამ მარადიულობისა და ჰუმანიტი უშეწინაურების ხილვა მხოლოდ გონების თვალთ არის შესაძლებელი; ჰუმანიტი სიკეთე კი მხოლოდ ჩვენს სულს ეცხადება. ყოველგვარი ნივთიერი და სახიერი ლაო-ძის ყოფიერების ალბათობად ეხსებოდა. მისთვის უცვლელი, უძრავი და მარადიული მხოლოდ და ო ა — მომცველი და დასაბამი მთელი ყოფიერებისა და არყოფნისა. სხვა დანარჩენს ის არ სცნობდა.

ალბათ იმიტომაც ამბობდა: „არ არის ცოდნა“; „შე არ ქუწი არაფერი.“

მაგრამ ვიდრე ლაო-ძის მოძღვრების დახასიათებასა და განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია განიხილოთ ამ მოძღვრების აბსოლუტური და ცენტრალური ცნება და ო. ფაქტიურად ამ ცნების განმარტებით გავცნობით „დაო ღე ძინის“ მეტაფიზიკურ, კოსმოლოგიურ თუ რელიგიურ-მისტიკურ ბუნებას.

ცნება და ო ჩინურ აზროვნებაში ლაო-ძიმდეც არსებობდა, მას იყენებდა თითქმის ყველა ჩინელი ფილოსოფოსი, მათ შორის კონფუციც, მაგრამ ამ ცნებაში სხვადასხვა აზრს ეღებდნენ. ლაო-ძიმ სრულიად ახალი და განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა და ო ს. როგორც სინოლოგები გადმოგვცემენ, ეს ცნება ჯერაც ბოლომდე გაუხსნელი და დაუღვეწელია მეცნიერებაში; მას ყველა თავისებურად განმარტავს. მაქს მიაღწივს წერდა: „ერთი რამ ცხადია, რომ კაცობრიობის ფილოსოფიურ და რელიგიურ განვითარებაში არავითარი წარმოდგენა არ არსებობდა იმგვარ წარმომავლობასა და განვითარებაზე, როგორც არის ჩინური და ო. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თავდაპირველად და ო ნიშნავდა ბილიც, ანუ გზას. მაგრამ შემდეგ მან შეიცვალა თავისი მნიშვნელობა“ (25, 45).

ჩინური ფილოსოფიური აზრის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე და ო ს ცნება სხვადასხვა შინაარსს შეიცავდა. როგორც იან ხინ-შუნი გადმოგვცემს, ცნება და ო გრაფიკულად გამოსახებულად ორი ნაწილისაგან შემდგარი იეროგლიფით: თავი და სვლა. მათი შეერთებით ვღებულობთ ერთიან ცნებას: ს ვ ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, იგივე „მობრძობის ძირითადი

მიმართულება“, ანუ გ. ხ. ა. პირველი ჩინელი მოაზროვნეები ფართოდ იყენებდნენ და ო. ს. ცნებას ადამიანის „გზის“, „მიმართულების“, „ძირითადი კანონის“ მოძრაობის ზნეობრივი და ეთიკური თვითორულქმნის გამოსახატავად. თანდათან ცნება და ო. იქნის სხვადასხვა მნიშვნელობებს. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ წიგნში „ძო-ჯუნში“ და ო. ს. აღნიშნავდნენ „შეტყობინების“, „მოძრაობის ხაზის“ მნიშვნელობით, ხოლო წიგნში „ლი-ძი“ და ო. გაიკვივებულა „ამოსაქვალთან“, „დასაბამთან“. ეს ცნებები გამოხატავენ როგორც სამყაროულ კანონებს, ისე ადამიანურ ცხოვრების კანონებსაც. და ო. გამოხატავს სამყაროს უდიადეს გზასაც და ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების გზასაც. ამის საფუძველზე წარმოიშვა ცნებები „და ო. ლ. ე.“: გ. ხ. ა. და სათნობა“ ანუ „სათნობის გზა“. და ო. არა მარტო გზას და ეთიკურ განსაზღვრებას — „სათნობას“ აღნიშნავს, არამედ აზროვნების კანონსაც — დოვიკას.

„და ო. ლ. ე.“ ცნება და ო. იქნის მკვეთრად გამოხატულ ონტოლოგიურ შინაარსს, სამყაროს არსის, სამყაროს პირველმოხუცის მნიშვნელობით; აგრეთვე კანონზომიერებას, რაც არსისეული ბუნებისა და საზოგადოების ყველა საგნისა და მოვლენისათვის. უპირველეს ყოვლისა, ამ თხზულებაში და ო. განიხილება როგორც წყარო სინამდვილის დაუსრულებადი მრავალფეროვნებისა. და ო. უადრესია ყოველ არსთა წინაპრისა, მაგრამ არაღინ უწყის, საიდან იშვა იგი. და ო. გვეცხადება როგორც უპიროვნო, არასახიერი დასაბამი, ბუნება ე. ა. მ. და ო. ს. ო. წარმოშობით ყოფიერებისა. სამყაროს ეს მარადიული და უცვლელი პირველსაწყისი, უდიდესი და ყოვლისა-დამტკევი დასაბამი მხოლოდ თვითმოძრაობის საკუთარ კანონებს ემორჩილება. აღიარებულია, რომ ძველ ჩინელ ბრძენთა შორის ღაღამით პირველმა მოგვცა და ო. ს. ყოველმხრივ დასაბუთება და ანალიზი არა როგორც მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიისა, არამედ როგორც რელიგიური არსისა. ღაღამის მოძღვრებაში და ო. მ. მიიღო გაცილებით დიდი და ფართო მეტაფიზიკური, კოსმოლოგიური შინაარსი. ღაღამის და ო. ს. ჩინელები განიხილავდნენ როგორც დღოსსაც, სამყაროულ გზასაც, დემიოსაც, სამყაროს პირველმოხუცსაც, სულიერ პოტენციალსაც, წმინდა და ტრანსცენდენტალურ ყოფიერებასაც. ა. ა. პეტროვი. გამოყოფს და ო. ს. ო. ძირითად განსაზღვრებას: და ო. როგორც ბუნებისათვის და ო. ს. ო. როგორც ცილის მქუე-ბაზე უადრესი ფუნქციონირება. ძველი ჩინელი ფილოსოფოსები და „და ო. ლ. ე.“ კომენტატორები ხან ფიცი-ძი [III ს. ძვ. წ.], და ე. ა. ნ. უ. (I ს.) და ო. ს. განმარტავენ როგორც ბუნებისათვის და ო. ს.

ბ. ა. ს. და ო. ს. ო. ს. [XVIII ს.] წერს: „დაბადებათა დაუსრულებელი წრებრუნვა — აი, რას ეწოდება და ო. ს. იგი დაუსრულებელი ცვალებადობაა ცისა და მიწის“. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი და „და ო. ლ. ე.“ ერთ-ერთი პირველი კომენტატორი ვ. ა. ბ. 17 ასე განსაზღვრავს და ო. ს.: „უძრავია! ცარიელია! არა აქვს არც სახეობა, არც სხეობა; არ მოექცევა თავისივე მსგავსი. ამიტომ თქმულა მასზე: მარტო დგას... ის გარდაიქმნება სასრული დასაბამიდან და არ კარგავს არსებობის მარადიულობას. ამიტომ თქმულა მასზე: არ ცვლება“ (27, 41). ძველის თვალსაზრისით, და ო. ს. კანონები, ანუ სახეობები, არსი განსაზღვრებათა და გარწერილობათა, არის არა აბსტრაქციული ყოფიერება ანდა აბსტრაქციული სუბსტანცია, არამედ სუბსტანციის გარწერილობა, სუბსტანციის მოხაზულობა (12, 47). აქ ძველი უმთავრესად და ო. ს. კონფუციუსულ გაზარებას ეჭვარება, რაც ნაცნობი და ო. ს. მხოლოდ ერთი კანონი აქვს და ამ კანონს თვით და ო. ს. კ. ა. ო. ს. ეწოდება. ამ კანონიდან იშვა ყველა და ყველაფერი. იგი, წრე შივარდისა და არყოფნისა, ძირითადი შესაქმნისა და საფუძველი ციფრები არსისა, დასაბამი ცისა და მიწის. არაფერი არ არის მის გარეშე; არ არსებობს განძი, რასაც ის არ შეიცავდეს“ (9, 81). ვლადიმერ სოლოვიოვის განმარტებით, და ო. ს. არის „ერთიანი, უპირობო პოტენცია ბუნებისა“; და ო. ს. შემოქმედი ყოველი არსისა და არა მხოლოდ ბუნება — შეუცვლელი, მაგრამ გარემოში უზიდავი ძალებისა და შესაქმნისა. „და ო. ს. და ო. ს. არსში ეძიებდნენ მარადიული და ნეტარი ცხოვრების საიდუმლოებას, უცვლელობას და ყოვლისმომცველობას — რაღაც, ფილოსოფიური ქვისა და სიცოცხლის ელექსირის მაგვარს“ (29, 140). როცა ღაღამი ბუნებითად მიიწვევს და ო. ს. მას მხედველობაში აქვს საყოველთაო წესრიგი. ბუნებითად გულისხმობს და ო. ს. დამოუკიდებლობას ხილვადი ყოფიერებისა და მოძრაობისაგან; და ო. ს. ისა, რაც ქაოსიდან კოსმოსს წარმოშობს და ქმნის კანონს და ხილვად წესრიგს შეცნარეთა და ცხოველთა ზრდისთვის, წლის დროთა ცვალებადობისთვის, ვარსკვლავთა და მზათობა მოძრაობისთვის, ცხოველებისა და ადამიანების დაბადებისა და სიკვდილისათვის.

და ო. ს. მთორე დიდი წარმომადგენლის ჯუან-ძის მიხედვით და ო. ს. ახსიათებს: „სწრაფვა და უმცდარობა“; მაგრამ იგი „შეოცლებული ამოქმედებას და ფორმას“. და ო. ს. „ძირი და დასაბამი თავისი-ვე თავისა“, არსებობს „უადრეს ცისა და მიწის“ წარსებობს უნგრეობიდან“. და ო. ს. არათუ „უსხვრობიდან არსებობს“, შესწევს მალს „სახიცოცხლო“ ძალა მანიჭოს სულეობა და წინაპრებს, შვას ცა

და მიწა“. და ო შემოქმედი ყოველი არსისა. ჯუან-მის მიხედვით ბუნებითია და ო ც და ც ა ც; რადგანაც და ო მ შვა ც ა. მისი გამოთქმა „ცისგან განრიდება“ გულისხმობს ბუნებითობის კანონის დარღვევას, მის ხელყოფას. და ო ც ის უადრესია. აქედან გამოდინარე, და ო ც აზე მალა მდგომი არსებაა, იგი ც აზე აღრეულია დროსა და სივრცეში.

ლაო-მის მიხედვით და ო ასე გამოიყურება: და ო არის აბსოლუტური დასაბამი, შექმნელი ყოველი არსისა, ყოველივეს პირველ-მიზეზი, ძირი ყოფიერებისა, დასაბამი სამყაროული შემცენებისა. და ო სიცარიელეა, ის უფეროა: უშეზღუდვად და ვერ ხედავ; უსხეულოა — ეხები და ვერ წვდები; ის „ოდუმობი მდგომია;“ უხმოა: უსმენ და არ გვესმის; და ო მშვიდია, განმარტობებულია, უცვლელია. ყველგან არ ვხვდებით მიმოიძებრის, მაგრამ საფრთხე არასოდეს ექმურება. მოვლენები მისი წყალობით განიცდიან ცვალებადობას, მისი წიაღიდან ამოღინებთან და მის წიაღშივე ინთქმებიან. იგი უფროა და მი-ზეზია ყველა ფორმათა; მარადიულია, ერთიანია, დასაბამიერია, უსახ-ვროა, გამოუთქმელია, უწიად წიაღია, ამოუწურავია; და ო ყოვლის-მიმცველია, ყველგან განფენილია და სამყაროს დამბადებელია; ყველა მომდევნო იერარქიაშია შეჭრილი, — ცით და მიწით დაწვებული და აღმანიით დამთავრებული. ყველა და ვეღაფერი მას მორჩილებს: ცა, მიწა, ხელმწიფე, ხალხი. და ო გზაა, რაზეც მიედინება მიელი ორავალი და არათრგანული სამყარო; იგი საყოველთაო ობიექტური კანონზომიერებაა ბუნებისა, კანონია ქვეყნის მმართველთა და ცალკეულ ადამიანთა ქმედებაში. და ო არსებობისა და საგნების ჯამია, მოვლენათა სამყარო და მათი სიმწობებ; ის არის ყველაფერი და არაფერი, რაობა და არარაობა; არაგის არ შეუქმნია, ყოველთვის ის იქმნ და ყოველივე მასში უკოქცევა. მისი წვდობა შეუძლებელია გრძნობის ორგანოებით; არაფერი, რასაც ვხედავთ, რაც გვესმის, რასაც შევიგრძნობთ, რასაც ვგებულობთ — არ არის და ო. არა-ფერთან მისი შედარება არ შეიძლება. თავად უსახელოა, მაგრამ სხეულებს ანიჭებს სახელს და სახელწოდებას. და ო სიტყვებით არ გამოითქმის. თუმცა და ო ყოველთვის წინამძღვრობს, ყველაზე უდაბლესა, და არ მძლავრობს; თუმცა ყოველივე მას მორჩილებს, თავის თავს არ თვლის მეუღლეს; არ შეიძლება დროს და თავის უმთავრეს თვისებად სისუსტეს მიიჩნევს.

და ო დაფარულია, განუსახდვრელია და განუმარტავი; არასა-ხიერი არსია ყოფიერებისა. მას არ გააჩნია არც ნებეღობა, არც ცნო-ბიერება — ის განურჩევლობაა, და ამიტომ მარადიულია და უცვლე-

ლი. მაგრამ სამყაროში ეს ერთიანობა და განურჩევლობა ვლინდება როგორც მრავალსახეობა, როგორც ყოფიერება მრავალფეროვანი ფორმებისა და მოვლენებისა. არქ. ხრისახნის ახრით, და ო არის სამყაროს სუბსტანცია პანთისტური წარმოდგენით; ხილვადი, ანუ ნივთიერი სამყარო არის და ო გამოვლენა მისი არანამდვილი, ყოფიერების დაბალი ფორმით. ნამდვილი ყოფიერება მდგომარეობს ამ სახიერი, ნივთიერი ყოფიერების უარყოფაში, არსებული წუთი-სოფლის მოთხოვნების დავიწყებაში და თითქმის გზით და ო ს ყოფიერებაში შეღწევა, ანუ სიცარიელეში, არყოფნაში გათქვეფა. სამუელ ჯონსონის გამოთქმით, და ო არის „წყლბი უხილავი ჭე-ბისა“. დასავლეთეურთა სინოლოგი (კრძიმდ, დნგორ გარ-ლევი) და ო ს განხილავენ როგორც განქცეულ პირველმიზეზს, ანდა პირველ დასაბამს სიცოცხლისა და დიადი წესრიგისა. ბუნება ნინნავს ყოველ არსს, არსებებს (Natura naturus-ტიენდუ — ყოვე-ლი არსებული). მაგრამ ბუნება ხილვადია. და ო კი — უხილავი. ნივთიერი მეცნიერი და ო სახეში დემონსაც გულისხმობს, მაგ-რამ და ო ს ლაო-მისეულ წარმოდგენაში რაიმე განსხეულება და პერსონიფიცირება არ დასტურდება. მისგან იშვა დაფარული არსე-ბობა ღვთისა. მართალია, „და ო დე ძინს“ კითხვისას და ო გაიახ-რება სხვადასხვანიერად — ხან როგორც ბუნება, ხან როგორც გონი (სული), ხან როგორც ღმერთი, ხან როგორც სიტყვა, მაგრამ მოიცავს ყველაფერს ცალ-ცალკე და მოიცავს ყოველივეს ერთდროულად, გა-ნუყოფლად, განუთიშველად, დაურღვევლად. ჩინურ რელიგიებში პირველდასაბამი გაიახრება როგორც განურჩეველი და აუხსნელი, არსებული ყოფიერების ფორმა, როგორც სიმწობებ; წესრიგი, დიადი თანხმობა, კანონზომიერება, უდალვესი გონი. არქ. ხრისახნო და ო ს განმარტავს როგორც კანონს, უმაღლეს გონს. საერთო ჩინური გავე-ბით, და ო არის „ერთიანი, ყოვლის ამპირავი“, გონიერი არსება. მაგრამ ეს კერძო გონი კი არ არის, არამედ სამყაროს კანონზომიერების იმა-გნებური ფორმაა. ჩინელი ფილოსოფოსი ჯუ-სი ერთმანეთისაგან განასხვავებს და ო ს და ყოვლადბრძენის თვისებებსა და აღიარებს, რომ მეორეს გააჩნია ნებეღობა, პირველს კი — არა. ადამიანებს აქვთ სული, მაგრამ მათ არ ძალკით ქმნადობა. ყოველივეს ცა და მიწა წარ-მოშობენ და ასულდგამულევენ, მაგრამ თვით არ ფლობენ სიცოცხლეს. მათ რომ ნებეღობა ჰქონდეთ, ყოველივე აიძროდა და დიადი თანხმო-ბაც დაირღვეოდა, დაირღვეოდა ბუნებითობის უცვლელი კანონი.

ლაო-ში და ო ს შეიმეცნება როგორც დაფარულ არსებობას, როგორც არყოფნას. „ამ თვალსაზრისით იგი აღუქმელია ადამიანის-

თვის, და მასზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ უარყოფითად. ამ აზრით სახელწოდება: არარსებული, დაუსაზღვრავი ანდა უსასრულო, არაცხადიერი, არამატერიალური განსაკუთრებით მოსახმარისია და ოსს მიმართ“ (6, 123). და ოს შეეხამება ქაოსს და არის საწყისი ცისა და მიწის. შექმნის მერე და ოს ფარული მდგომარეობიდან გადის ცხადიერ არსებობაში, არარსებობიდან არსებობაში; არყოფნიდან წარმოშობაში ყოფიერება. არყოფნა და ყოფიერება ერთია. თუმცა გამოვლენაში ორია, ორივეს სახელი ერთია: და ოს. იგი არის გზაც და სუბსტანციაც, რისი შექნობაც მხოლოდ გონიმპერტელობით თუ შეიძლება. ჩინელი მოაზროვნეებიდან მხოლოდ ლაო-ძი არ მიიღო სამყარო როგორც ფაქტი, რაც დაექვემდებარებოდა მხოლოდ მოცემული ფაქტის სასაღვრების ახსნის და იქნებოდა გამოძინებარე სამყაროს არსებობის განმომბითი აღქმადან. ლაო-ძი ერთადერთი იყო, ვინც ცდილობდა ყოფიერების არსის გონჭვრეტით წვდომას. აქედან გამომდინარე, მისი მომდევნების მიხედვით, და ოს შეიმეცნება გონჭვრეტით და თავის საკუთარ ყოფიერებაში იგი „უშინდეს სულა“<sup>1</sup>. ვლადიმერ სლოვოჯინ ლაო-ძის აღიარებს „ქვითილი რასის უდადეს და, შეიძლება, ერთადერთ გონმჭვრეტელ უბრძნეს ფილოსოფოსად“. და ჭეშმარიტად, ლაო-ძი ფიქრობდა, რომ არსებობს უმაღლესი სამყარო, რაც მხოლოდ ჩვენს გონებას ეცხადება. ხილვადი ყოფიერება შეზღუდულია და დასრულებადი, ამდენად წარმავლიც არის. ამიტომ მას აქვს საწყისი. მისი საწყისი არის და ოს, რაც არავითარ განხორცილებას არ ემორჩილება. და ოს მარადიული ყოფიერებაა და ამიტომ არ ქვემდებარება ცვალებადობას. მის სუბსტანციაში არსებობა სრულქმნასა და ნეტარებაში, მარადისობასა და უკვდავებაში არსებობდა. და ოს მფლობელი იქნეს ბუნებაზე ვაბატონების ძალას და მარადიული ხდება, ანუ სხვა არსში მარადიულად გადასახლებაში სულია. და ოს არსებობს თავისთავად, თავის თავში და არაფერ გარემოფენზე არ არის დამოკიდებული. მას არა აქვს მიზეზი, არც არაფრის შედეგი არ არის. თავად არის საკუთარი თავის შექმნელიც და დასაბამიც. „და ოს ღე ძინში“ კვითხულობთ: „კაცი მიწის კანონს მორჩილებს. მიწა ცის კანონს მორჩილებს. ცა და ოს კანონს მორჩილებს. და ოს კანონს მორჩილებს“<sup>2</sup>.

ლაო-ძის მიხედვით, მიწილი სამყარო განიხილება როგორც არსთა ბუნებითი განვითარების დაუსრულებადი მდინარეება. და ოს თავის შინაგან განვითარებაში გადადის სამყაროს ყველა მრავალფეროვნებას, რამდენადაც იგი თავის თავში შეიცავს სუბსტანციურ მარცვლს ყოველ არსთა და მოვლენათა. იგი განიმარტება როგორც უარყოფა

და თავის თავში ყოფიერების ყველა შესაძლებლობას შეიცავს. და ოს წვდობა, დაოსური მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი გააზრების მიხედვით, შესაძლებელია მხოლოდ მისტიკური ჭვრეტის გზით. და ოს აბსოლუტური შექმნენისათვის ამიტომ ქადაგებენ ისინი სრულ განვიძრობებას, განდგომას ყოფითი სამყაროსაგან, საგანთა მგრძობელური წვდომისაგან და ქადაგებენ ასკეტიზმს, მორჩილებას, ბუნებითობას. არქ. ხნისან ფერს: „სამყარო არის და ოსს გამოვლენა მის ცხადიერ, ყოფიერების დალაფ ფორმაში. ჭეშმარიტი ყოფიერება მდგომარეობს ამ არაბა, ხილვადი ყოფიერების უარყოფაში... ლაო-ძი აღიარებს ასკეტიზმს, ასე უცხოის ჩინური სულიანისთვის, და გონმჭვრეტლობას, ასე შეუცნობადს ჩინეთის ეროვნულ ბრძენთაგან. სწორედ ეს ასკეტიზმი გახა მარადიულ და ოსს თან შეერთებოსა. და უზენაესი აღამაინი თავისუფლებდა ყოფიერების ბატონობისაგან და შეერწყმის და ოსს.“

ლაო-ძი აღიარებს, რომ და ოს არა მარტო შობს ყოველ არსს, არამედ დღობრივი მზრუნველობითაც ექცევა მათ; ის შუღლწვედამი დაწვეს, უძირვისცავა და უდიდესიც, ნაწილიცავა და მთელიც; და ოს სამყაროს ერთიანობაა. აღამაინის გონებას არ შესწვეს უნარი, წარმოიდგინოს მასზე უმაღლესი არსება; იგი ფლობს თავის შინაგან ერთარსებობას და განუყოფლობას. ის მხოლოდ თავის თავს მორჩილებს და ერთარსებაა. ერთარსება რომ არ იყოს, არ იქნებოდა აბსოლუტური ყოფიერება. და ოს მძლვთამძლვა, თუმცა სუსტია და ნაზი, რადგანაც უსუსულო არაა. რამდენადაც იგი სუსტია და ნაზია, იმდენად უფრო ძლიერია; სუსტი და ნაზი მარადიულად ცოცხლობს. და ოს ქმნის საგნებს, მაგრამ გვეცხადება როგორც უპიროვნო, უცვლელი სუბსტანციური განსაზღვრება, როგორც განყენებული პირველსაზე. იგი უფრომთ ფორმაა, უსახო სახებაა. და ოს არის ერთიანი. ეს ცნება „და ოს ღე ძინში“ გვხვდება რამდენიმე მნიშვნელობით. ერთ-ერთი მათგანი განსაზღვრავს სამყაროს ევოლუციის პირველ ეტაპს — ქაოსს, რასაც ლაო-ძი ცა უყ ო ფ ე ლ, ერთიანი და უწოდებს. ერთიანი ოს ბი<sup>18</sup> მთორე გააზრება გაოვიებულია და ოს ცნების შინაარსთან. და ოს მრავალფეროვნაია თავის ცალკეულ, კერძოულ გამოვლინებაში, მაგრამ იგი ნიადაფ უსასრულობას, „ნივთოფერი უქონლობის“, ანუ არყოფნის მდგომარეობას უბრუნდება. ოს ოს ო ფ ნ ა და ოსს სინონიშია. „და ოს ღე ძინში“ „...არყოფნისა და ყოფიერების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა წარმოადგენს კარდინალურსა და ძირითადს; და იგი გადაწყვეტილია იდეალისტურ ასპექტში.“ თუკი ყოფიერება განიხილება როგორც მოვლენათა და საგანთა არსებობის დასა-



ბამი თავისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსახლერებებით, არყოფნა არ ნიშნავს ხილვადი სამყაროს კონკრეტული მოვლენების ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას ან გარდაქმნას; არამედ არის მხოლოდ სიცარიელე, სრული და აბსოლუტური წარსოცვა" (7, 176). ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი არის იბადება, ვითარდება და კვდება, უბრუნდება თავის ძირს, "ფეხს", რაც იგივე "სავანთა არარსებობაში", სიცარიელეში, არყოფნაში, ანუ დაოში დაბრუნებაა. დაო შეიცავს სავანთა ორეულებს და თავად სავანეშია გამდნარი. დაო არ არის არყოფნა, რაც შეიცავს ყოფიერების ყველა შესაძლებლობას. "უკუქცევადია დაოს მოძრაობის გზა", მაგრამ ის ყოველთვის უცვლელია თავის აბსოლუტურ არსში. "დაო დე ძინში" ვითხოვლობთ: "დაო ცარიელია. ცარიელია, მაგრამ ამოვლენებისას: ამოვლენებია", დაოს იტყობს თავს ყველა წინააღმდეგობა და თანხმობდება. დაოს ერთ-ერთი უძირითადესი თვისებაა გამოვლენის თვითბუნებობა. დაოს მულად თან ახლავს: "არ არის". მისი პრედიკატი რომ "არის" იყოს, მაშინ იგი ყველა დაზარაწივი სავნის რიგში ჩაღვებოდა. ის, რაც "არის" — ივევლება; ის რაც "არ არის" — არ ივევლება. ცვალებადობა არის მოძრაობის გამოვლენა. ყოველნაირი მოძრაობა თავისი ბუნებით დასრულებადია; ამიტომ დასრულებადია "ყოფიერ არსიც", რაც ივევლება, ანუ მოძრაობის მდგომარეობაში იმყოფება. დაო არ ივევლება. ამიტომ იგი არ იმყოფება მოძრაობაში, არამედ უძრავია და უცვლელეული (21, 434).

აქ არ შეიძლება, არ შევხებით ლაო-ძის დაოს ვანბისეულ განმარტებას, როგორც ყველაზე ძველსა და ყველაზე ადინარებულს. ვანბი განიხილავს დაოს როგორც უფორმოს, უსავნისა და უსხეულოს. იგი არ ფლობს არავითარ ფიზიკურ თვისებას, მატერიალური ყოფისთვის დამახასიათებელს, და ამით აიხსნება მისი ყველგანმღწვევადობა და საყოველთაოება. ვანბი ამბობს: "დაოს არ ფლობს არც ფორმას, არც სახეებს; ის უხშია და უტყვი. ამიტომ არაფერია, სადაც მას არ ძალუძდეს შეღწევა; რაა ისეთი, სადაც იგი არ მიმოცხროვდეს. მისი შეცნობა შეუძლებელია ჩემი ყურებით, თვარდებით, ტანით. უცნობია მისი სახელი და ამიტომ შეუძლებელია მისი წვდომა და განმარტება... არმფლობელი ფორმისა, არმფლობელი სახელისა წინაპარბა ყოველი არსისა" (27, 41). ვანბი და გამოყოფს დაოს გაყოველნის სხვადასხვა საეუბურებს. თვინდან დაო აბსოლუტურად ცარიელია; შეიცვება ყოველივე მატერიალურის პოტენციურ შესაძლებლობებს. მისი არყოფნა თანდათან ყოფიერებაში გადადის, ანუ ყოფიერება არყოფნისაგან იშვის. შემდეგ ბაღებს ხილ-

ვად სამყაროს, გარდაისახება ნაირსახეობრივ ფორმებში. იგი გარდაისახება ცად და მიწად, იქნეს კერძო ფორმასა და სახელს და უკვე წარმოადგენს "დედას ყოველი არსისას". მაგრამ დაო მიინც თავის ფეხში წმინდა სულიერ პრინციპად, არყოფნად რჩება. ლაო-ძის უფრობლად: "გამოუთქმელია დასაბამი: ცისა და მიწის. მფლობელი სახელების: დედა ყოველი არსისა", ვანბი ასე განმარტავს: "დასაბამი ყოველი არსისა და მათი დედა ერთად აღმოცენდებიან დასაბამიერიდან. მაგრამ სხვადასხვა სახელებით, მათ რომ უბოძეს, არ შეიძლება მათი გაიგებება. დასაბამიში მყოფს დასაბამის უწოდებენ; სასრულში მყოფს დედას უწოდებენ. დასაბამიერი — წვედიაღვანი. იქ დაფარულია ყოფიერებაცა და არყოფნაც" (27, 42). ყოფიერება და არყოფნა თავიანთი არიან ერთი და იგივეა. ერთი ძირიდან წარმოიქმებიან, მაგრამ სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ისინი დაოს ერთიანი არსის გამოვლენის მხოლოდ განსხვავებული ფორმებია. ვანბი ვითარებს დაოს წვდომისა და გააზრების საკუთარ თვალაზრისს, რაც, რაღა თქმა უნდა, "დაო დე ძინში" მისეულ შეცნობას ეფუძნება. იგი ამბობს: "სახელთ განისახლერება ფორმის მფლობელი, მაგრამ დაოს, ქაოსში აღმოცენებულს, არა აქვს ფორმა, და მისი წვდომა და განმარტება შეუძლებელია. ამიტომ თქმულა: "არ ვუწყი მისი სახელი" (27, 44) და მას, ანუ დაოს, "უვლიადნეს" უწოდებს. ვანბი განაგრძობს: "ყოველი არსი მასში იღებს დასაბამს და მისით სრულიქმდება, მაგრამ მათ არ უწვიან თავიანთი დასაბამი. ამიტომ თქმულა "დაო დე ძინში": "ო, ბუნდოვანო! თ, არაცხადებო! შენში უფარველია სახეები!.. უწვილო! ბნელი! დასაბამიერი! განკერძობებული! იგი დასაბამიერი, უშორესია და შეუძლებელია მისი წვდომა და ხილვა. მაგრამ რაღაც ყოველი არსი მიხვან იშვის, შესაძლებელია მისი ხილვა და განმარტება... ამიტომ თქმულა: თ, უწვილო! თ. წვედიაღვანო! შენში დაფარულია თესლი აღმოცენებისა" (27, 45).

ასეთია ლაო-ძის მეტაფიზიკა. "დაო დე ძინის" რუსულ ენაზე მთარგმნელი დ. კონისი წერს: "ლაო-ძის მიერ განვითარებული მეტაფიზიკური სისტემა წარმოადგენს თანამიმდევრულ და მთლიან მოძღვრებას ერთიან უშაღვლეს არსებაზე, მსავლადობაზე, მსავლადობაზე ფილოსოფიისა, სადამდეგ იგი თავის ავეუბების ხანაში ამოღდა. მაგრამ ლაო-ძის უპირატესობა ის არის, რომ მან ერთმა, საკუთარი გონების ძალით, განვითარა მოძღვრება, რა მწვერვალდამდეგ ბერძნული ფილოსოფია მხოლოდ ერთიანი ძალითა და ისტორიული განვითარებით მივიდა" (23, 16).

„დაო ღე ძინის“ განსაკუთრებული და ინდივიდუალური თვისება ის არის, რომ მის დებულებებსა თუ აფორისტიკაში ერთდროულად არის მოცემული როგორც კოსმოლოგიური და მეტაფიზიკური, ისე ფილოსოფიურ-რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური თუ სახელმწიფოებრივ-სოციალური წარმოდგენები. ისინი ორგანულად არიან ერთმანეთში შეწყნულნი და მათი ცალ-ცალკე შექმნება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ იქცა ეს თხზულება დაიხმის საძირკვლად, ამიტომ აღმოცენდა მის ფესვებზე ჩინური კულტურის მრავალი დარგი. ერთ-ერთი უძირთვლესი ხაზი ამ თხზულებისა (ყოფიერების მეტაფიზიკური შექმნების გვერდით) არის ზნეობრივ-ეთიკური ხაზი, რის საფუძველსაც ამავე თხზულებაში დადასტურებული ფილოსოფია და რელიგია წარმოადგენს (ამიტომ აღნიშნული საკითხის განხილვა თავისთავად გვაზიარებს ლაო-ძის მოძღვრების რელიგიურ არსს). წმინდა სახით მისი გამოყოფა, როგორც ექვი, შუქმდებელია და ვერც მიგვიყვანს „დაო ღე ძინის“ მსოფლმხედველობის სრულ გაახრებამდე; მაგრამ ვიდრე ამ საკითხს განვიხილავდეთ, აუცილებელია განვიმარტოს ცნება დე, რაც დაო ს შემდეგ მორეა აღნიშნულ თხზულებაში, და უშუალოდ უკავშირდება განსახილველ საკითხს.

ლეკისტური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ხან ფეი წიანში „ხან ფეი ძი“ ხატუნად განმარტავს დაოსა და დეს ცნებებს: „აღმოცენებად ხეს აქვს რბილი (გაშლილი) ფესვები და აქვს სწორი (ვერტიკალური) ფესვი. სწორი ფესვი არის ის, რასაც ლაო-ძის წიანში დასაბამი ეწოდება. დასაბამი არის ის, რითაც მკვიდრდება ხის სიცოცხლე; ხოლო რბილი ფესვები არის ის, რითაც მტკიცდება ხის სიცოცხლე. დე არის ის, რითაც მკვიდრდება ადამიანის სიცოცხლე. კეთილდღეობა არის ის, რითაც მტკიცდება ადამიანის სიცოცხლე“ (17, 245). ჯერ კიდევ იმის ეპოქაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ დე ე. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ ფილოსოფიურ თხზულებაში „პან გენი“ წერია: „ჩვენ ვვლანი ერთსულოვნებითა და სათნოებით აღვსილნი უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი“ (36, 27). დე სათნობას ნიშნავს; მაგრამ იგი უფრო ღრმა და კომპლექსური შინაარსის ცნებაა, ვინაი სათნოება. დე არის ცალკეულ ინდივიდში დაოს ინდივიდუალური გამოცდების ფორმა. იგი ინდივიდის ზნეობრივი სრულქმნის და დაოსთან მისი თანხმობის გამოშვატველია. იან იუნგოს განმარტებით, იეროლოფი დე უძველეს ჩინურ სამეითოთა ძეგლების წარწერებზე აღინიშნებოდა „სიუნ“-ით;

რაც მორჩილს ნიშნავდა. ეს ყოფილა იგივე იეროლოფი „ჯი“, რაც სამართლიანს ნიშნავს. ძველი წარმოდგენით „ჯი“ ყოფილა იგივე დე. იეროლოფი დე კი ნიშნავდა თანხმობას, ანუ შვიდიობას ადამიანებთან და საკუთარ თავთან მიმართებაში. ჯოს ეპოქას ცნება დე იმის იმპერიისაგან შეუთავისებია მემკვიდრეობით. ჯოულები თურმე თვით აღიარებდნენ ამახ: „ინის პრძქნი მეფენი დეს აღიარებდნენ ქვევის ნიშნად. ამის შედეგად ხალხი სიხარულითა და ნებაყოფლობით ასრულებდა თავის მოვალეობას. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მათი ხელმწიფებით“ (36, 44).

როგორც აღვნიშნეთ, დე დაოს სახეა, ინდივიდში განხორციელებული. დე გამოხატავს პიროვნების ზნეობრივ სრულქმნას, რაც დაოს მორჩილებით მიიღწევა და ნიშნავს ბუნებასთან აბსოლუტურ თანხმობას. დე ის არის, რაც ცისა და მიწის წყალობით არის ბოძებული, რითაც ძლიერდება ინ და იან ძალები. დე ადამიანური ცხოვრების იდეალური კანონია, დაიხმის ძირითადი ეთიკური საწყისი და ენება. ასე რომ, დე განკუთვება ადამიანის ბუნების წვრთინა და აღზრდის სფეროს, ადამიანის ზნეობის კანონებსაც და მმართველობის კანონებსაც. როგორც კი დაიარსება ზნეობისა და მმართველობის კანონები, მაშინვე უთანხმოება და განხეთქილება იწყება. ჯოს დინასტიკის, იმის ეპოქის საუკეთესო ტრადიციებს რომ აგრძელებდნენ, იმის დინასტიის დაშლის ძირითად მიზეზად იმას თვლიდნენ, რომ იმის ხელმწიფენი არ ზრუნავდნენ ხალხის ზნეობრივ ამაღლებაზე, „არღვევდნენ მმართველობის კანონებს და უარყოფდნენ სათნოების აღზრდის საფუძვლებს“ (36, 45). ჯოულებმა გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანეს სათნობის საფუძვლების დაკანონება ხალხშიც და სახელმწიფო მმართველობაშიც. ისინი დაბეჯითებით აღიარებდნენ: „სრულიად ცხადი და ნათელია, რომ იქ, სადაც მმართველობა მოკრძალებასა და სათნოების საფუძვლებს ექვემდებარება, შეუძლებელია უწინაგობა წარმოიშვას“. მათთვის სათნოების ძირითადი პრაქტიკული გამოხატულება იყო წესრიგი. ჯოს ეპოქაში დე ე გამოხატველად შემდეგი ცნებები იქცა: მშვიდობა, აღორძინება, სიმართლე, ნათლიერება, მეგობრობა (36, 46).

„დაო ღე ძინში“ ცნება დე კონკრეტული მნიშვნელობით აღიწერება. ფართო მნიშვნელობით იგი აღნიშნავს დაოს ძირითად თვისებებს; ხოლო შედარებით ვიწრო მნიშვნელობით, როგორც ექვი, ადამიანის სათნოების განსაზღვრული ცნებაა, ეთიკური და ზნეობრივი კატეგორიაა. ლაო-ძიმ, თანამედროვე საზოგადოების დაცემის მიზეზებს რომ ეძიებდა, შექმნა ისეთი მოძღვრება, რასაც ჭეშმა-

4. ლაო ღე ძინი

რიტების გზაზე უნდა დაეყენებინა ადამიანი. ამიტომ იგი ზნეობას განხილავს, როგორც ამაღლებულსა და სულიერ კატეგორიას, ზნეობის განმსაზღვრელად კი მას მიიჩნდა და ო — დასაბამი სამყაროსი. და ო ს მორჩილებას სიკეთედ აღიარებდა, და ო ს უარყოფას — ბოროტებად. პირველი მარადისობა, მეორე — წარმატება: „ვინცა მორჩილებს და ო ს: და ო ს თანაარსია. ვინცა მორჩილებს დე კ: დე კ ს თანაარსია. ვინცა მორჩილებს წარმავალს: წარმავლის თანაარსია“. და ო, როგორც სამყაროს მიუწევდომელი არსახიერი არის, აბსოლუტური არარა (ანუ არყოფნა), ცხადყოფნა და შეიმეცნება ვა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ე ბ ი ს ანუ დე კ ს წყალობით. და ო დროისა და სივრცის გარეთ მდგომია, დაუსრულებლობა და აბსოლუტური სუბსტანციაა. თვით ცაც კი და ო ს მორჩილებს, და ო კი მხოლოდ საკუთარ თავს. ასეთია ბუნებრივი გზა ყოველი არსის არსებობისა. და ო შობს ყოველივეს, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ დე კ მეშვეობით ვლინდება სახელე. დე უმაღლესი სათნოებაა, და ო ს წედომის სახიერი ფორმაა. ვან ბის გამოთქმით — „და ო ისა, საიდანაც იშვის ყოველი არსი“. თუკი და ო სუბსტანციური ბუნებისაა, დე მისი მუდმივი და განუყოფალი ვა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ა ა, მისი აუცილებელი და არსისუფლი თვისება და კანონზომიერებაა. თუკი და ო წყაროა დაბადებათა და აღმოცენებათა, დე ფორმაა ხილვადი სამყაროს განვითარებისა. ამ გენეტიკურ კავშირს ლაო-ძი ასე გადმოგვცემს: „და ო შობს ყოველ არსს. დე კვებავს ყოველ არსს, ხორცქმნის და მფარველობს მათ. ზრდის და აწიფებს მათ. სრულქმნის და წინამძღვრობს მათ. შხრუნველობს და თანაღმობს მათ“. თავიანთ მოქმედებაში და ო და დე მუდმივ და განუყოფად კავშირში არიან; დე ემორჩილება და ო ს. და ო არის ზოგადი კანონი, რისი წყალობითაც სულდგმულობს ყოველი არსი. ხოლო დე არის და ო ს კერძო კანონი, რისი წყალობითაც სულდგმულობს ცალკეული საგანი, მათ შორის ადამიანიც. ჯუან-ძი იმეორებს ლაო-ძის აზრს: „და ო ს გარეშე არ იშვის ყოველი არსი, ხოლო დე კ გარეშე არ ვლინდება მათი სიყვარული“. ყოველი არსიც იმიტომ სულდგმულობს, რომ განუხრელად მორჩილებს და ო ს.

და ო დაფარული დასაბამია და არსია სამყაროსი, მისი შეცნობა მხოლოდ ხილული სამყაროთია შესაძლებელი. და ო ს შემეცნება ხორციელდება ქაოსიდან მისი განთავისუფლების, მისი ბრწყინვალების გაჯაქიხების, მტერის ნაწილაკებთან მისი შერწყმის შედეგად. შემეცნების პროცესში — ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას უხილავი და ო და ო ს ხილვად დე კ-ზე — ადამიანი

აღმოაჩენს მუდმივ, უცვლელ რა და ცა ს, რაც ნივთიერ საგნებსა და მოვლენებში ძვეს. ლაო-ძი ამ მუდმივ განზომილებას უწოდებს დე კ ს, რისი შემეცნებითაც მივწვდებით უხილავ, უხმო, უმცირეს და ო ს. „და ო დე ძინში“ ცნება დე მოხმობილია საგანთა ან მის ატრიბუტთა „მუდმივი თვისებების“ მნიშვნელობით. სოციოლოგიური თვალსაზრისით კი მას „ეთიკური ნორმის“, ანუ სათნოების, ზნეობრივი სრულქმნის მნიშვნელობა ენიჭება. ამანარად, დე არის და ო ს სხეულებრივი გამოვლენა, დე კ წყალობით ვლინდება და ო საგანთა სამყაროში. ორივეს ერთი ძირი ეკვება. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა დაიპყრავს ვნებები: იხილა და ო დაფარულსა. ვინცა დაიპყრა ვნებებმა: იხილა და ო ყოფიერისა. ორივეს დასაბამი ერთია. სხვადასხვა — სახელებია. მათ დასაბამს დაფარული ჰქვია.“ ამ შემთხვევაში ცნება „და ო ყოფიერის“ დე კ სინონიმად უნდა იქნას აღქმული.

„და ო დე ძინში“ ზმირად გვხვდება ისეთი ზნეობრივი თვისებების გამომატველი ცნებები, როგორიცაა: კ ა ც მ ძ ო ყ ვ ა რ ე ბ ო ბ ა, ზ ო მ ი ო რ ე ბ ა, მ ო მ ჭ ი რ ე ბ ო ბ ა, მ ო რ ძ მ ო ლ ე ბ ა. კაცს ყოველ წამს დაღუპვა ემუქრება, თუკი უარყოფს ამ ზნეობრივ თვისებებს. ამიტომ ადამიანის ბუნებაში მოთავრია დე კ, ანუ და ო ს სახიერი გამოცხადება. დე კ, როგორც ადამიანში მყოფი უმაღლესი ეთიკური საწყისი, მართხვის გამუდმებულ სრულქმნას, რისი წყალობითაც ეთიკური კანონები იძენენ ზემოქმედების განსაკუთრებულ ძალას.

და ო და მისი მუდმივი გამოვლინება დე კ მარადიული და უცვლელი არიან თავიანთ მოქმედებაში. მათი წყალობით ხორციელდება ბუნებასა და საზოგადოებაში დაუსრულებელი პროცესები ცვალებადობათა და გარდაქმნათა, საგანთა და მოვლენათა დაუსრულებელი წრებრუნვა.<sup>19</sup> „და ო დე ძინის“ LXXI თავში მოცემულია ზნეობისა და ეთიკის უაღრესად თავისებური ფორმა: „ვინცა ბრძენია და თავი უმეცრად მოაქვს: ზნემაღალია. ვინცა უმეცარია და თავი ბრძნად მოაქვს: სნეულია. უწოდე სნეულებს სნეულებს და გაცეცლება სნეულებს. ყოვლადბრძენი არ არის სნეული. იგი უწოდებს სნეულებას სნეულებას. ამიტომ ამ არის სნეული.“ ამ თავის თვალსაზრისით განმარტებისათვის შეიძლება მივმართოთ ჯუან-ძის ზნეობრივ წარმოდგენებს, რაც უმოკრესად ლაო-ძის ეთიკური მოძღვრების მოდელს ემყარება. ჯუან-ძი ახასიათებს რამდენიმე კერძო პირს, რომელნიც სხეულით ორჯე იყვნენ, მაგრამ მაინც არ თვლიდნენ თავს მახინჯად. ჯუან-ძის თვალსაზრისით, ეს ადამიანები კარგად აღზრდილნი იყვნენ (რადა თქმა უნდა, სულიერად). იგი იზიარებდა ი ა ნ ჯ უ ს აზრს, რომ „სიმახინჯე არსებობს თვისთავად, მაგრამ შე არაფერი ვუწვი ამ

სიმახინჯის შესახებ“. ჯუან-მიმ განაეითარა ეს თვალსაზრისი და აღიარა, რომ სწორედ ასეთი მიმართულებანი უნდა წარმოადგენდეს ზნეობის უმაღლეს კრიტერიუმს. თუკი კაცი მიაღწევს ზნეობრივი სრულქმნის უმაღლეს წერტილს, ის ამავე დროს აუცილებლად მიაღწევს და ო ს მილიონობასაც; იან ობერ-გოს მოჰყავს ასეთი დიალოგი: „ვინ ხეობარ კაცს ჰკითხეს: „შენ დამკარგე დე, და ამან მიგიყვანა იქამდე, რომ შენ არა გაქვს ფეხი. გიფიქრია ამის შესახებ?“ ხეობარმა მიუყო: „მიფიქრა! მაგრამ ამით ვერ დავერბუნებ ფეხს. მე შშაწს, რომ ფეხის დაფარვა გამოუსწორებელი საქმეა და ამიტომ მშვიდად ვარ. ასე იქცევა ყოველი კაცი, ვინც შეინარჩუნა დე“ (36, 251). დეს მფლო-ბული ეს ხეობარი ვერ გრძობდა, უფრო სწორად, არ იმწვედა თავის ხეობრობას. ამ დიალოგიდან, ჩემი აზრით, ასეთი შებრუნებული დაკვანაც შეიძლება გამოვიტანოთ: კაცმა დე იმიტომ კი არ დაკარგა, უფრო რომ არის, არამედ იმიტომ არის უფრო, დე რომ დაკარგა. ვისაც დე არ დაუკარგავს, არც ფეხი დაუკარგავს და არც ხეობარია. ჯუან-მიმ ასეთ დეს უმაღლეს ჭეშმარიტებას უწოდებდა. ლაო-ძი აღიარებს ბედისწერის ძალას; რაც ბედისწერას და ბუნებას უბოძებია კაცისთვის, მისი შეცვლა შეუძლებელია. დაოსური მსოფლმხედველობა ამას უწოდებს თ ვ ი თ კ მ ა რ ო ბ ა ს და ბუნებითობის მორჩილებას, რაც დაღუპვისა და უბედურებისაგან იფარავს კაცს. ასე რომ, თუ ცნება „თვითკმარობას“ ჩვენს წარმოდგენაში მხოლოდ უარყოფითი ნიშანი აქვს, ჩინურ წარმოდგენაში შორდება იგი ჩვეულებრივ ყოფით ზღუდეებს და უმაღლესი რელიგიური თვითშეგნების სინონიმად ჟღერს.

\* \* \*

როგორც უკვე აღინიშნა, ლაო-ძის მოძღვრებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ბუნებობის კანონს უჭირავს. ლაო-ძი ფიქრობდა, რომ ბოროტება, სურსათით რომ ეხვოდა ჩინეთს, კერძოდ კი ჯოუს ეპოქის იმპერიას; ტრადიციული ეთიკისა და ზნეობის აღორძინებაში მდგომარეობდა, ე. წ. „ხეტარ“ ხელმწიფეთა მოძღვრების“ აღიარებაში, რასაც კონფუცი ეფუძნებოდა. ლაო-ძიმ ამიტომ დაისახა მიზნად მიეცა ხალხისათვის ბუნებით ყოფიერებას დაუფრენული მოძღვრება: იგი, კონფუცის საპირისპიროდ, არ ცდილა, ადამიანებისათვის თავს მოეხედა თავისი თვალსაზრისი და ჰკავდებინა მოქმდინა მათზე. ეს დაარღვევდა ბუნებითობის კანონს და მისივე მსოფლმხედველობის საწინააღმდეგო იქნებოდა (გაიხსენეთ კონფუცისა და ლაო-ძის დიალოგი ბუნებითობის შესახებ). ყალბი ქადაგებით

კი არ ცდილა დაეხსნა კაცი დაბნეულობისაგან, არამედ სურდა აღედგინა ადამიანში პირველქმნილი მდგომარეობა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იცნობდა რიტუალს, როცა ჯერ კიდევ არ იყო შეცნობილი მშვენიერება — სიმახინჯის საპირისპიროდ, არ იყო შეცნობილი სიკეთე — ბოროტების საპირისპიროდ. ეს იყო დაივი თანხმობისა და ერთიანობის, ბუნებითობის უშრიკლო მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, ვინ და რა არის ბუნებითი? და ო. და ო ა ბუნებითობის საფუძვლელთა საფუძველი. ოდეს კაცი ბუნების შესახებდა მოქმედებს, და ო და დე ბუნებრივად იფრიან მის სულში, მის ტანში. ამ დროს კაცი და ო ს შესატყვისად მოქმედებს. და ო მშინ მოქმედებს ბუნებითად, ოდეს სულში არც განზრახვა, არც მორტიკები, არც ძალიმორეობა და არც მოქმედება. ბუნება ვერ იტანს რაიმე გარკვეულ ჩარევას. ვინც ცდილობს შეცვალოს საგანთა ბუნებითი სელა, დაუმორჩილოს იგი თავის პირად მიზნებს, აუცილებლად დამარცხდება. ლაო-ძი ამიტომ ამბობს: „ვინცა მძღვარობით ეუფლება სამყაროს: აქედანვე ეჭვრეტ — ვერ მიაღწევს საწადალეს. სამყარო საიღუმლო ჭურჭელს ჰგავს: შეხება მისი არ ეგების. ვინცა შეეხება: ხელყოფს მის თანხმობას. ვინცა დაეუფლება: უმაღლედ დაკარგავს მას“. ადამიანს არ შესწევს ძალა შეცვალოს საგანთა ბუნებითი სელამობრობა, რადგანაც იგი თავად არის ობიექტური სამყაროს ნაწილი და მის კანონებს ემორჩილება. ლაო-ძის ბუნებითობის, როგორც მატერიის თ ვ ი თ მ ო მ ბ ი ხ განსამარტვად პოხნევევას მოჰყავს ლე-ძის სიტყვები: „...საგნები თავად იბადებიან, თავად ვითარებიან, თავად ყალიბდებიან, თავად მშვენიერდებიან, თავად შეიცნობიან, თავად ძლიერდებიან, თავად უძღვრდებიან, თავად ნადგურდებიან“ (5, 9).

ლაო-ძის ბუნებითობის არსი დრმა და ყოვლისმომცველი, შორეულ და უხსოვარ ძირებშია ჩამარხული. ვლადიმერ სოლოვიოვი სტატიოში „ჩინეთი და ევროპა“ ხაზს უსვამს ჩინელების განსაკუთრებულ მიდრეკილებას წარსულისადმი, წინაპრებისადმი, უფიქვლის კულტურისადმი. ჩინელების ამ მიდრეკილებას უარყოფითი მოუღენად თვლის ვ. სოლოვიოვი და ასკვნის „...მაგრამ თვით ეს კონსერვატიზმი, ეს განსაკუთრებული ლტოლვა ცხოვრების ტრადიციული ძირებისაკენ იყო ამოსავალი წერტილი გამოშვრეტელობითი აზროვნების განვითარებისა ჩინეთში, თავისი არსით ჩინური სულის გამოხატველი; მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს ეროვნული ბუნების იხეთ თვითშეცნობას, რის დროსაც საბოლოოდ იკარგება ყოველგვარი პრაქტიკული მოტივეტი ცხოვრებისა და ეველა ადამიანური მიმართება პირველყოფილ განზრჩველობაში შეერწყმის ერთმანეთს. ჩინე-

თიზმი, როგორც ყველა სხვა დასახლდრული დასაბამი, თუკი მას აბსოლუტურ მნიშვნელობას მივანიჭებთ; მივკვივანს უაზრობაზე და თავისივე თავს თვითონვე არღვევს. ჩინური პრინციპის აბსურდისაქენ ასეთი სვლა გამოვლინდა უდიდეს და, შეიძლება, ყვითელი რასის ერთადერთი გონმჭკერტელი ფილოსოფოსის ლაო-ძის მოძღვრებაში.

როგორც გონმჭკერტელი ფილოსოფოსი, ლაო-ძი ეძიებს აბსოლუტურ დასაბამს; როგორც ჭეშმარიტი ჩინელი, ლაო-ძი მას აუცილებლად წარსულში ეძებს, — მაშასადამე, ის ეძიებს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ წ რ ს უ ლ ს, ისეთი, რაც წინაუძღვის ყოველივე არსებულს. არც კერძო კულტის საგანს — ოჯახის გარდაცვლილ წინაპარს, არც სახელმწიფოებრივი კულტის საგანს — ც ა ს ანდა ახ სულს, არ ძალუმს ასეთ აბსოლუტურ მოთხოვნათა დამკაყოფილება: წინაპრებიცა და ცაც მხოლოდ და მხოლოდ პ ი რ ო ბ ი თ წარსულს წარმოადგენენ; იხინი თავისით იშვან, რომელიც უკანა არსებობს კიდევ რაღაც. ასეთი აბსოლუტური ვ ა რ ა უ დ ი ყოველივე არსებულისა და დასახლდრული ყოფიერებისა, არის წმინდა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ო ბ ა, ანდა დაუსახლდრავი პოტენცია ყოფიერებისა, რაც თავისთავად არყოფნის ტოლია“ (29, 118). და მართლაც, ლაო-ძი ყოფიერების ძირად მიიჩნევს არყოფნას, რაც იგივე და ო ა დ რ ისგანაც ყოველივე იშვის და ყოველივე მას უბრუნდება. ვლადიმერ სოლოვიუვი ასე სვამს საკითხს: თუკი ყოველი არსის ჭეშმარიტ დასაბამი აბსოლუტური განურჩევლობაა, მისი წვდომა არ უნდა მოითხოვდეს არავითარ აზროვნებას და შექმნებას, რომელთაც ფლობს ყოვლადბრძენი. იგი წერს: „... ეს ქმედებანი (აზროვნება და შექმნება — ლ. ა.) სწორედ პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოსვლას გვაიძულებენ, ცნობილ განსახლდრებათა და განსხვავებათა დამკვიდრებას. მოაზროვნე და შემქმნებელი ეგონება და ო ს მდგომარეობის საპირისპიროა“ (29, 121). ჩემი თვალსაზრისით, სოლოვიუვი განსხვავებულად ხსნის ლაო-ძის ბუნებთობის პრინციპს, ვიდრე ეს სინამდვილეშია (მისი ტერმინი „მ ი რ ვ ე ყ ო ფ ი ლ ი გ ა ნ უ რ ჩ ე ე ლ ო ბ ა“ სწორედ ბუნებთობის კანონის გულისხმობს). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ლაო-ძი არ ცნობდა „არც კერძო კულტის საგანს — ოჯახის გარდაცვლილ წინაპარს, არც სახელმწიფოებრივი კულტის საგანს — ც ა ს ანდა ახ სულს“, რომ მათი შემუშავება დაუფლებოდა „აუცილებელ წარსულს“, ანუ პირველდასაბამს. ამ კულტების ლაო-ძი კი არა, კონფუციუს ეთავივნებოდა. მეორეც: რა თქმა უნდა, ლაო-ძი მიელტვოდა პირველქმნილ,

განყოფილ სამყაროში, ბუნებით მდგომარეობაში დაბრუნებას; მაგრამ ახლა, კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე, პირველქმნილ მდგომარეობაში გადასვლა უნდა განხორციელდეს სწორედ აზროვნებისა და შემქმნების მეოხებით (ანაჲ აღასტურებს „დაო ლე ძინის“ თავისებური განსოლოვოგური პრინციპები). სწორედ უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ბრძენი ანუ „ყოვლადბრძენი“ თავისი სიბრძნის წყალობით უნდა დაბრუნდეს პირველქმნილ მდგომარეობას და განურჩევლობას, როგორც ჩველი. ლაო-ძი ამბობს: „შე უბრალო ვარ. მე ერთი ვარ შვიდად და უჩინარად. მე არვინ მიხმობს. მე ყრმას ვგავარ, ვინცა ჯერაც არ მოვლენია“. დასაბამში დაბრუნება იერაქიულია, იგივე სრულქმნისაკენ მიმსწარავი გზაა და უსამართარ ძალას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ: „ვიცნა უმაღლეს სიწმინდეს ფლობს: განკიცხულს ჰგავს. ვინცა უმაღლეს ხეობას ფლობს: ბრძვეს ჰგავს“. სწორედ „განკიცხულობა“, „სიბრძნე“, „გული სუფილის“ პირველქმნილობისა და ბუნებთობის სინონიმებად უნდა აღვიქვათ. სამყაროს კოსმოლოგიურ და მეტაფიზიკურ გააზრებაშიც იგივე სურათია: „უდიდეს თითქოხედს კუთხები არ უჩანს. უდიდეს ჭურჭელს დღეხანს ამახდებენ. უუქმლავერესი ხმა — უხმოა. უუდიდესი სახება — უსახიერია“. როცა ლაო-ძი უარყოფს „მეცნიერობას“, იგივე „ცრუმეტყველებას“ (და არა აზროვნებასა და შინაგან ცოდნას, წმინდა სიბრძნეს), მას მხედველობაში აქვს და ო ს აბსოლუტური განურჩევლობის წვდომა წმინდა სულითა და წმინდა, თანხმობადურღვევილი გობების ძალით. ლაო-ძის ლტოლვა ადამიანში პირველადი მდგომარეობის ადგენისაკენ და მთელი მსოფლმხედველობის აგება ბუნებით უმოქმედობა და „ცრუმეტყველების“ უარყოფაზე სოლოვიუვის ესმის როგორც უარყოფა საერთოდ ნივთიერი ყოფნისა, კაცობრიობის მომავალი არსებობისა; თითქოს ლაო-ძი საერთოდ უარყოფდეს ცოდნასა და ხილვადი ყოფიერების შექმნებას, მის არსებობას, სოლოვიუვი სწორედ ამას უწოდებს „ჩინეთნების არს“. ჩემი თვალსაზრისით, ლაო-ძი უარყოფს მხოლოდ არაბუნებით არსებობას და „მეცნიერობას“, როგორც მოქმედების წყაროს, რომელთაც რეგრესის მეტი არაფერი მოაქვთ კაცობრიობასათვის. ასეთია ჩინელი ბრძენის აზრი, სოლოვიუვი კი წერს, თითქოს ლაო-ძი უარყოფდეს „გ ო ე ქ ბ ი ს შ უ ქ ს“ (29, 123). მისი აზრით, ლაო-ძი წინააღმდეგობაშია მოქცეული, რადგან ყოველ დაუმუშავებელი პირველყოფილ, ბარბაროსულ მდგომარეობაში დაბრუნება, რომ პირველყოფილ ადამიანებსაც მჭონდა ის სურვილები, სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი, ვნებები, რასაც ლაო-ძი გამორიცხავს პირველქმნილი მდგომარეობიდან. ლაო-ძი სო-

ციალ-ფორმაციული არსებობით კი არ მიელტვოდა პირველყოფიერების აღდგენას (რისი დაშვებაც წარმოუდგენელია), წმინდა ფიზიკურ და პრაგმატულ სფეროში კი არ ჭერტვდა ამ საკითხს, არამედ ყოველგვარელიოვიურ რწმენასა და სულიერ სფეროში გადაჰქონდა და ადამიანებს მომდგრავდა, რაც შეიძლება სრულად დაეძლიათ თავიანთ თავში ენებები და სურვილები — დასაბამი ბოროტეულ ზრახვათა და საქმეთა; და ამ გზით აღედგინათ საკუთარ თავში ახალშობილის სინორხე და სისათუეთე, ანუ ბუნებითი ბუნებითობა, მდედრის თვინიერება და მორჩილება.

დასისთვის მთავარი იყო არა წინაპართა სიბრძნე თავისი დიდებული ტრადიციებით, არა კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის ქადაგება სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ბუნებითი უბრალოება და სიმარტივე, ენებათა და სურვილთა დათრგუნვა; და ამ გზით სიმშვიდის მოპოვება. დროისხის პირველი აღებებიც სისხადგესა და აზრის სიცხადეს, მორჩილებასა და თანადობას, ბუნებითობასა და უმოქმედობას ქადაგებდნენ. „დაო ღე ძინის“ მიხედვით, ეს არის ყველაზე დიდი სიბრძნეც, კაცთმოყვარეობაცა და სამართლიანობაც; რიტუალი კი, რასაც კონფუცი ქადაგებდა, მხოლოდ ზღუდავს ადამიანის ბუნებით განვითარებას. ლაო-ძისა და კონფუცის სახელებიდან აშკარად ჩანს ბუნებითობის კანონთან მათი განსხვავებული დამოკიდებულება, რაც სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და პიროვნულ სფეროებში თავისებურად ირცელდება. კონფუციის მიზანია, რომ მისი საუკუნისათვის აუცილებელი იყო საგნებისათვის სახელდება დარქმევა. მას სურდა, რომ ადამიანი ყოფილიყო კაცთმოყვარე და ეწოდებინათ ამისთვის კაცთმოყვარება; ადამიანს ადესრულებინათ თავისი მოვალეობა მოძღვრებისადმი და ეწოდებინათ ამისთვის მოვალეობა; ადამიანი ყოფილიყო ერთგული თავისი ხელმწიფისა და ეწოდებინათ ამისთვის ერთგულება. ლაო-ძი სხვანაირად ფიქრობდა: „ოდეს დიალი წესრიგი დამყარდა: ყოველს თავისი სახელი ეწოდა. სახელებმა დასაზღვრეს სავანთა საზღვრები. ვინცა შედგა და შეიცნო სავანთა საზღვრები: საფრთხისაგან დაიხსნა თავი“. ლაო-ძი თვლიდა, რომ თუკი ადამიანებმა უწყიან, ისინი რომ კაცთმოყვარენი, მოწინავედუნნი და ერთგულნი არიან და აღნიშნავენ კიდევ ამას, ეს იმას ნიშნავს, რომ არსი გამქრალა და მხოლოდა მისი ანრდილი დარჩენილა. მტრედი ბანაობისაგან არ არის თეთრი, ყვივიც იმიტომ კი არ არის შავი, რომ იღებება. მტრედმა რომ ბანაობა დაიწყოს, ყვავა კი დებვა, განა ეს არ იქნება ნიშანი იმისა, რომ მათ დაეყარავთ თავიანთი ბუნებითი უფერი და სახე? კაცთა მოდგმაც ასეა. ყველა რომ ნამდივლად კაცთ-

მოყვარე, მოწინავედუნი და ერთგული იყოს, არაიენ განსჯიდა ამ ცნებათა შინაარსს და არც არავის დასჭირდებოდა მათი ხსენება. ყველა რომ სათნო იყოს, მანკიერებათა სახელწოდებებიც არ ამოტვიცილებოდა ადამიანის გონებაში (6, 107). დუგლასი წერს: „ლაო-ძი თავის გამოთქმებში ისევე მალდა დგას კონფუციუს, როგორც ქრისტეს მცნებანი მოსეს კანონებზე. კონფუცი მიელტვოდა ჭურჭლის გარეგნულ განწმენდას; რიტუალისა და ცერემონიის უცვლელ აღსრულებას როგორც სამეფო კარზე, ისე სამსახურში თუ ოჯახში, სადილობის დროსა და საწოლში წოდის პოხის წესების დაცემა. მაგრამ ლაო-ძი შორს წავიდა და, ბუნების უცვლელი კანონებიდან რომ ამდილიდა, რისი უფლებობაც მთელ სამყაროში თანაბრდგრობით იმას ეძღა, ისე უწოდებდა და ძლიერად ძალები, — ქადაგებდა: „კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლებიან. და მდაბლებიან, ოდეს დიადობენ“ (6, 112).

„დაო ღე ძინში“ ბუნებითობის უდიდესი აზრია: „ოდეს შეიცნეს შექმნების ლაო-ძისეულ კანონებთან. იგი ამბობს: „ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში: მშვენიერი რომ მშვენიერია: იშვა სიმახინჯე. ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში: სიკეთე რომ სიკეთეა: იშვა სიბოროტე“. ეს აზრი რომ დავშალოთ, შედგეს მივედვით: ადამიანი ბუნებასთან უშუალო, თანხმირ კავშირში უნდა იმყოფებოდეს. იგი არ უნდა ცვალებდეს, არ უნდა გამოყოფდეს სიკეთესა და მშვენიერებას, როგორც ჭეშმარიტი ძე ბუნებისა. უკეთუ ეს ბუნებითი კავშირი არ იქნა დაცული, დარღვევა სამყაროს დიადი თანხმობა და წესრიგი, კერძოდ, სიკეთე და მშვენიერება. ამ ცნებათა გამოყოფით კი წარმოიშობა მათი საბირისპირო ცნებანი: ბოროტება და სიმახინჯე. ეს კი ეწინააღმდეგება ბუნებითობის დიად კანონს, ბუნება ისევე ერთიანია და განუყოფელი, როგორც მისი დამაბლებელი — და ო ა ერთიანი და განუყოფელი. ლაო-ძი ადამიანთა ზნეობრივ კანონებს, ისევე როგორც და ო ს კანონებს, განიხილავს აუცილებელ და უცვლელ ბუნებით სიკეთედ ვინც მორჩილებს და ო ს კანონებს, სწორედ ის არის უმაღლესი, სრულქმნილი ზნეობის მფლობელი. იგი ამბობს: „დიადი“ დე და ო დ ა ამოვლინდება“.

\* \* \*

თ ვ ი თ ბ უ ნ ე ბ ი თ ო ბ ა ყველა წინააღმდეგობას ზსნის და ყოველივე ერთ აბსოლუტურ ერთიანობაში იკრებს თავს. ამას შოაკეს სიმშვიდე და მშვიდობა ქვეყნად. ვან ბი ასე განსაზღვრავს ამ ცნებას: „თვითბუნებითობის მორჩილება ნიშნავს იყო კვადრატში და მორჩილებდე კვადრატს, იყო წრეში და მორჩილებდე წრეს“ (26, 44). ოდეს სრულ თვითბუნებითობა მივაღწეო, მოისხენება ურთიერთწინააღმ-

დეგობა ჭეშმარიტსა და ცრუს, სიყვარულსა და სიძულვილს, სინათლესა და სიბნელეს, დაბადებასა და სიკვდილს, კეთილსა და ბოროტს შორის. თვითბუნებითობის ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლენება უმთქმედობა („უ-ვეი“). უმოქმედობის პრინციპმა განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ჩინური ფილოსოფიური აზრის (და არა მხოლოდ ფილოსოფიური) შემდგომ განვითარებაზე. ეს პრინციპი „დაო დე ძინში“ იღებს თავის კანონზოცრულ დასაბამს. „უმოქმედობა, როგორც ეთიკური პრინციპი, არის ანარქული დაოსური მეტაფიზიკური არყოფნისა, რის უმოძვრეს ატრიბუტს თვითბუნებითობა წარმოადგენს“ (27, 43). უმოქმედობა ბუნებაშივე ძვეს და მისი გამოვლინებაა. კაცია, თუკი სურს არ გაუბედურდეს, მოვალეა დაიცვას უმოქმედობა, რადგანაც დაო ვერ ითმებს ვერაფერს არაბუნებითი ჩარევას. სწორედ ამიტომ არის, რომ ლაო-ძის უმოქმედობა სრულ პასიურობასა და „არ ქმნას“ კი არ ნიშნავს, არამედ მოქმედებას ბუნებითი კანონების მიხედვით, საგანთა ბუნებითი არსისადმი მორჩილებას და დაო ს კანონებთან თანხმერ ქმედებას. ასეთ დროს ყოველი არსი თვითშობიარობაში ბრუნავს. ძველად, ვინც დაოს ფლობდა, იმას კი არ მიეღებოდა, ხალხი რომ განსწავლული გაეხადა, არამედ იმას, რომ კაცნი უბრალონი ყოფილიყვნენ. ხალხში პირმოთხოვასა და სიყალბეს კი არ აღვივებდნენ, არამედ ჭეშმარიტ სათნოებას, გულწრფელობასა და უანგარობას. ეს იყო უმოქმედობა. მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, ოდეს ქვეყნად სიმშვიდე სუფევს და მოქმედება დაოს ბუნებითი კანონების მიხედვით ხორციელდება. ლაო-ძი უმოქმედობაში გულისხმობდა ადამიანის ბუნებითი მდგომარეობის დაურღვევლობას ვნებებითა და გრძნობებით; ამას მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანისათვის. „თუ მდიდარნი და დიდებულნი შევიდურობენ: თავად იუბედურებენ თავს“.

ადამიანის ზნეობრივი სრულქმობის, უმაღლესი სათნოების მიღწევა შეუძლებელია უმოქმედობის გარეშე. ლაო-ძი ამბობს: „კაჲს, რაჲსს საქმეს განასრულებს: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს. კაცია, საქმეს რომ აღასრულებს: სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს“. ეს არის მოქმედებით უმოქმედობა, ანუ პირიქით — უმოქმედობით მოქმედება. ლაო-ძიმ თავისი პირადი ცხოვრებით შეასრულა ეს. როგორც ვად-მოგვცემენ, ლაო-ძიმ, საზოგადოებრივი თუ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით უმაყოფილომ, დატოვა სახელმწიფო სამსახური და განმარტოვდა. ეს იყო, როგორც სინოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, უპრეცედენტო შემთხვევა იმპატიმრული ჩინეთის ისტორიაში. ლაო-ძიმ მთელი თავისი ცხოვრება ჭკრეტასა და შინაგან განსჯას

მიუძღვნა, შექმნა „დაო დე ძინი“ და გაუჩინარდა. ნ. ი. კონრადი ხაზგასმით აღნიშნავს: „უმოქმედობა“ (უ-ვეი) სულაც არ არის „უმოქმედობა“, პირიქით, ის ქმნადობა... რისა? „უმოქმედობისა“. და სწორედ ამდაგვარ „ქმნადობას“ მივეყვართ უმაღლეს შედეგამდე, ადამიანისა და საზოგადოების ერთიანობის თანხმერებამდე ბუნებასთან, მიუღ ყოფიერებასთან. სწორედ ამ ერთიანობაში ძვეს ნამდვილი ცხოვრებისა და ადამიანის, საზოგადოების საფუძვლები“ (21, 434).

უმოქმედობის ცნებას რომ მნიშვნელობა ჰქონდა დაოსურ მოძღვრებაში. პირველი: აბსოლუტური უმოქმედობა, სურვილთა დათრგუნვა აქტიური და მოხივებ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. მათი აზრით, ყოველივეს თავისი ბუნებითი გზა აქვს, მისი მწარტების თავიანთი შინაგანი კანონზოცრება წარმართავს. მეორე: მმართველობის სწორი ორგანიზაციისათვის ლეგისტივის წამოყენებული პრინციპი — უმოქმედობა, როგორც სრულქმობი მმართველობისადმი დიდილება. ლაო-ძიმ არა მხოლოდ ზნეობრივ-ეთიკური იდეალების განხორციელების საფუძვლად აღიარა უმოქმედობის პრინციპი, არამედ სოციალურ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წესრიგის საფუძვლადაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმწიფებისას მეფეს უნდა დაეცვა დაოს ბუნებითი კანონები და არ უქმნა ისეთი რამ, რაც დაარღვევდა ბუნებითი არსებობის პრინციპებს; ყოვლად გაუმართლებელია, სახელმწიფოთ შეიმუშაოს ისეთი კანონები, რაც უპირისპირდება ადამიანის შინაგან ბუნებას, მის პირველ არსს, მის პირველქმობა სუბსტანციურ კანონზომიერებებს. ლაო-ძი ამბობს: „რაც მეტია აკრძალვა: მით მეტია სიღარიბე. რაც მეტია იარაღი: მით მეტია ამბოხი. რაც მეტია უმჯერებელი: მით მეტია სისარბე. რაც მეტია კანონი და ბრძანება: მით მეტია ქურდი და ავაზაკი“<sup>20</sup>. ეს უკონსისტენტო შემდეგს: როგორც კი აუკრძალავ ადამიანს თავისი ბუნების შესაბამისად მოქმედებას, მაშინვე ეცდება სურვილთა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დამახინჯებულად, გადაგვარებული ფორმით, არაბუნებრივი გზებით. სწორედ ამ დროს ირვევა ადამიანისა და ბუნების თანაკავშირი, ბუნებითი თანხმერება. სახელმწიფოში მაშინვე შიშშილი, სიღატაკე და შფოთი აღმოცენდება. ლაო-ძისთვის წარსულის სანაკადოთო მეფენი ბრძენი მეფენი იყვნენ, უმთქმედობი და ობი, ანუ დაოს მორჩილებით რომ უქმნიდნენ ხალხს კეთილდღეობას და შვიდობას, ამყარებდნენ წესრიგს ქვეყნად.

უმოქმედობის კონცეფციას ბუნებრივად უკავშირდება დუმილის ცნება. „ბრძენი დუმი. უმეცარი ქადაგებს“ — გემოდლარავს ლაო-ძი. დუმილი იგივე უმოქმედობაა, ანუ ქმნადობა ჭრეტასა და

შინაგან განსჯაში. ჯუან-ძი თავის თხზულების ოცდამეორე თავში, რომელსაც „ცოდნის ჩრდილოური მოგზაურობა“ ეწოდება, იგავის ფორმით, პოეტურად ავაციურს უმოქმედობის არსსა და მნიშვნელობას. აი, ისიც: „ცოდნა, ჩრდილოეთში მდინარე შავი წყლის აღმა მგზავრობისას იღუძალი ი ბორცვის მთას რომ ააღწია, იქ მდუმარე უმოქმედობას გადაყვარა. პირისპირ წარუდგა და ჰკითხა: „შე მსურდა გამოვე შეგან“ რანაირად ვიპოვებო, რანაირად ვიფიქრო, რომ შევიტყუო და ო? სად არის მისი ძირი, რანაირად ირამოქმედო, რომ უშფოთვლად მივწვდეთ და ოს? რას მივყვები, რა გზას დავადგე, რომ დაეუფლო და ოს?“

ცოდნაში სამი შვითხვა დასვა, მდუმარე უმოქმედობას ანც ერთ მათგანზე არ უპასუხნია. არათუ არ უპასუხნია, ანც კი უწყოდა, რა უპასუხნა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, ცოდნა მდინარე თეთრი წყლის სამხრეთ სანაპიროს აუგუა, იჭვივდა დასასრული მის ბორცვის აღწია და იქ აღმაშავალ შექმლილს შექნება. ცოდნა მასაც იმავე კითხვებით მიმართა, რაზეც აღმაშავალმა შექმლილმა ბრძანა: „ო! ეს შე ვიცო და ყოველივეს ახლავე მოგახსენებ!“ ის იყო თქმა დააბირა, რომ დააიწყება, რა უნდა ეთქვა.

ვერაფერი რომ ვერ შეიტყო, ცოდნა ხელმოწიფთა სასახლეს დაუბრუნდა, ხუან-დის წარუდგა და მასაც იმავე კითხვებით მიმართა. „არც იპოვებო და არც იფიქრო — აი, დასაბამი და ოს შეგნობისა. ნურც ნურსად იქნები და ნურც ნურაფერი იგულოდვინებ — ეს არის დასაბამი და ოს უშფოთველი წვდომისა. არაფერს მისილო და არც ერთ გზას არ დაადგე — ეს არის დასაბამი და ოს უღობისა.“

მაშინ ცოდნა მკითხა ხუან-დის: „შე და შენ ვუწიეთ ეს, მხოლოდ მათ ორმა არ უწიან. მას ვინ არის მართალი?“

„ჭეშმარიტად მართალია მდუმარე უმოქმედობა, აღმაშავალ ი შექმლილი უახლოვდება ჭეშმარიტებას, — მიუგო ხუან-დომ, — ხოლო შე და შენ ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას, რამეთუ „ბრძენნი დუმს, უმცირეი ქდავებს“. ამიტომ ახორციელებს ყოვლადბრძენი დუმლის ხელოვნებას. და ოს წვდომა შეუძლებელია მჭკვერთვით, სათანოება ვერ მიადრწევს სრულმანს განმარტებებით; გულომწყალებს მივერძობა ძალუმს, სამართლიანობას — ზარალს; ცერკმონებით ერთმეორეს ვატყუებთ. ამიტომ თქმულა: „ვინც და ოს კარგავს: დეს იძენს. ვინცა დეს კარგავს კაცთმოყვარეობას იძენს. ვინცა კაცთმოყვარეობას კარგავს: სამართ-

ლიანობას იძენს. ვინცა სამართლიანობას კარგავს: თავყინიცემას იძენს. თავყინიცემა შედგება: რწმენისა და ერთგულების დაცემისა. დიადი თანხმობის დამხობისა.“ სწორედ ამიტომ თქმულა: „ვინცა ეძიებს ცოდნას: დღითი დღე იძიდირებს ცოდნას. ვინცა მორჩილებს და ოს: დღითი დღე იძვირებს ვნებებს. ვინცა ნიადავ იძვირებს ვნებებს: დიად უმოქმედობას აღწევს. ისეთი არაფერია ქვეყნად: უმოქმედობა რომ არ იქმოდეს“ (16,277).

უმოქმედობა ჭეშმარიტი მიზანია ბრძენკაცისა; მას შეუცენია, რომ ვნებების უქონლობას უმაღლესი სიმშველე მოაქვს და ქვეყნად სამართლიანობა მყარდება. ყოველნარი მოქმედება ძირითადი ტანჯვისა და მწუხარებისა. როგორც ყოველივე არის აბსოლუტური დასაბამად, ისეთივეა მისი სასრულიც, ადამიანის მიწური იდეალი. თუ და ოს ცნებაში ხილვადი ყოფიერების არსებობის აზრსაც ნაწვდომ, მაშინ, ლაო-ძის მოძღვრების მიხედვით, კაცთათვის არაფერია უმჯობესია, ვინც ყოფიერება. ამიტომ ამბობს ლაო-ძი: „ხალხს იძიდ არ აკრთობს სიკვდილი: სიცოცხლეს რომ მორჩილად მიეღვრის. ამაღარ აკრთობს სიკვდილი. ამაღარის სიცოცხლის მორჩილი: ბრძენი. ხოლო სიცოცხლეზე აღწევს უმცირა“. ამიტომ: ვისაც შეუცენო და ოს — დუმს, ვისაც არ შეუცენია და ოს — ქადავებს. ვინცა შეიცენო და ოს: მდუმარეა, ყურდაზშულია, თვალდახუჭულია, უმოქმედოა; გაწვეტილი აქვს ყოფთი კავშირები, ბრწინვალება მიცხრალი აქვს და ბრძივს ემგავსება. მხოლოდ ამ დროს ჰგავს კაცი და ოს — ბუნებთისა და უმოქმედოს.

\* \* \*

„და ო დე ძინში“ ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მოიწილეს ბი ს მოძღვრებას უჭირავს. მორჩილებს უღიდესი გამოვლენა თვით და ოს სახეშია მოცემული. და ო ყველაზე დიდ საქმეებს იქმს, მაგრამ ყოველთვის დაფარულია და უჩინარი. ყოველნარი აღწევება წინააღმდეგება და ოს. აღწევებასა და მედიდობაში არსისეული არაფერია, იგი წარმატებაა და არამდგრადი. კაცისთვის ჭეშმარიტი დიდება და პატივი თვემდაბლობა და მორჩილებაა. ყოველი არსი იშვის და ძალდაუტანებლად მიეღვრის არსებობას, აღწევს განვითარების სრულმანს, მაგრამ არასოდეს ქედმაღლობს. კაციც ასე უნდა იყოს: უსახლერო მორჩილებით უნდა თრგუნავდეს თავის თავში ძალმორბეობას. ლაო-ძი სათნოებება და მორჩილების ნიშნულად წყაღს ასახელებს: „უმაღლესი სათნოება წყაღს ჰგავს. წყაღს წყაღობა მოაქვს ყოველი არსისთვის... უმაღლესი სათნოება — მორჩილებას



მიღებებს". დასოი გაურბოდა ერთფეროვან და მიმე ცხოვრებას, იტყვოდა ნიეთიერი ყოფის სახეურების იქით ვასვლას და დაოსური სიმშვიდით აღსავსე მიღმა სამყაროებთან შერწყმას; და ამას ისევ დვითური მიწიური ცხოვრებით, ანუ ბედისწყლის მორჩილებით აღწევდა. ვისაც სურს დაფულოს დეს, ანუ ზნეობრივ სრულქმანს, უნდა იყოს მორჩილი, როგორც მღვდრი. „და ო დე ძინში“ გვითხულობთ: „მღვდრი თვინიერებით იმორჩილებს მამრს... მღვდრი თვინიერებითე მორჩილებს მამრს... მორჩილება მოკრძალებას ბადებს და კრძალულნი მორჩილებენ ერთურის“. მორჩილება ერთ-ერთი მთავარი სათნოებათაგანია და უშუალოდ უკავშირდება ზომიერების კატეგორიებს; მორჩილება გვაზიარებს ცხოვრების მარადიულ მდინარებას, რადგანაც მარადიული უფრო მაღლა დგას კერძოსა და წარმოვალზე: უნდა ვმონაწილეობდეთ სიცოცხლის მოძრაობის საერთო პრინციპში, რათა არ დაირღვეს სიცოცხლის საერთო და ერთიანი თანხმობა, არ დაუშუათ უწყსრებობა და ქაოსი. სულის სიმშვიდე, მოხლევაგებულ ვნებათა დაორგუნვა — აი, ზნეობრივი სრულქმნის საფუძველი, რაც თავისთავად მორჩილების საწინდარია.

ლაო-ძი მორჩილებისა და მოწიწების საუკეთესო ნიმუშად ოჯახური ცხოვრების წესსა და კანონს აღიარებს<sup>21</sup>. მაგრამ, კონფუციისაგან განსხვავებით, ეს მორჩილება რიტუალზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ ჭეშმარიტ პატივისცემასა და სიყვარულზე, ბუნებით ერთგულებაზე. ძველ ჩინეთში წინაპრებისა და მშობლების პატივისცემა ერთ-ერთი უმთავრესი სათნოება იყო. ოჯახის წევრებს შორის განსხვავებული იყო განსაკუთრებული ურთიერთმორჩილება და მღუპარე პატივისცემა. ჩინელთათვის ყველაზე საპატივეკელი მშობლები იყვნენ. ოჯახებს შორის გავრცელებული და ნათესაური კავშირი სხუვცდა და ეს კავშირი აღიარებული იყო სიყვარულის უმაღლეს ხსევე. ჩინური წარმოდგენის მიხედვით, ოჯახი სამყაროს შემცირებული გამოვლენაა, ცისა და მიწის დასაბამია ურთიერთხვავადების შედეგია. დედა და მამა ჩინური ოჯახისათვის იგივეს ნიშნავდა, რასაც ცა და მიწა ყოველი არსისთვის. ოჯახი მათთვის იყო აბარველი, ყველაზე მტკიცე კავშირი. ეს საგვარეულო კავშირი აღიარებული იყო უმთავრეს კავშირად ყველა კავშირს შორის. აქედან გამომდინარე, ლაო-ძი უსკვრივად კონფუციანულს დაედგინო რიტუალს და ოჯახის ერთიანობის ძალად, როგორც ითქვა, ბუნებით სიყვარულს აღიარებდა. იგი ამბობდა: „ადიკვიეთ ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება და ასეზის ბედნიერი იქნება ხალხი. ადიკვიეთ „კაცთმრეკერეობა“ და „სამართლიანობა“ და აღსდგება მთა მოწიწება და მამური სიყვარული“. ლაო-

ძის ასეთი ჭეშმარიტი, შინაგანი დამოკიდებულება მიახნდა ყოფიერების იერარქიული გამოვლინების ბუნებრივ წესრიგად. როგორც კი დაიწვებთ იმის ქადაგებას, რაც ბუნებითია და მარადიულ კანონზომიერებებს ეფუძნება (როგორც კონფუციის „კაცთმრეკერეობა“ და „სამართლიანობა“), მაშინვე შუთით და რღვევა დაიწყება. ნ. ი. კონრადი ლაო-ძისა და კონფუციის ამ თვალსაზრისის ასე განმარტავს: „კონფუცი იცავდა იმ აზრს, რომ ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს ორგანიზებულ ერთობაში — საზოგადოებაში, სახელმწიფოში. ეს ორგანიზებულობა მიიღწევა საზოგადოების ყოველი წევრის მორჩილებით განსახდერული „წყესებისადმი“ — საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებისადმი, შეუმუქველულს თვით კაცობრიობის მიერ ცივილიზაციის განვითარების პროცესში. ლაო-ძი სხვა კონცეფციის ავითარებდა: კაცობრიობის ყველა უბედურება, ყველა მანკიერება — პიროვნულიცა და საზოგადოებრივიც, სწორედ ამ „წყესებიდან“ გამომდინარეობს. იდეალური თანხმობა და წესრიგი ყოველგვარი წესების ურყეოთი მიიღწევა. აღმაიანმა ეს „წყესები“ „ბუნებითი ბუნებრიობით“ უნდა შეცვალოს. „წყისი“ (ანუ იგივე კანონი) არის მდგომარეობა, მიმართული ადამიანური არსებობისაკენ“ (7, 183). უფრო მარტივად ეს თვალსაზრისი ასე შეიძლება განიმარტოს: კანონი, რომელიც კრძალავს ადამიანის ბუნებით მოთხოვნილებებს, არაბუნებითი კანონია. ამ კანონის დაცვას, რაღა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ადამიანი. ამისთვის მან უნდა უარყოს საკუთარი თავი, თავისი მოდგმა და ბუნება. ეს კი შეუძლებელია. იმ არაბუნებრივი კანონის დარღვევისათვის, სახელმწიფომ რომ დააკანონა, თავადვე სჯის ადამიანს. ეს, ლაო-ძის მომდევნების მიხედვით, უსამართლობა და დანაშაულია. ამიტომ იგი თავის თანამედროვე ეპოქას სთავაზობდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებისა და კანონების ბუნებითი კანონებით შეცვლას. რაც ბუნებრივია, მას კანონი არ ესაჭიროება, როგორც კი აღიკვეთება ადამიანის ბუნებითი მოთხოვნილებანი და ამ მოთხოვნილებათა დაცვა უზნეობად და დანაშაულად ჩაითვლება, მაშინვე ნამდვილი უზნეობა და დანაშაული ვაბარველება მთელ სახელმწიფოში.

ლაო-ძი, სამყაროს იერარქიული თანხმობის კანონის თანახმად, აზიარებს იერარქიის კანონის სახელმწიფო წყობილებაშიც, დიად თანხმობას კაცთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მორჩილებაში. ყოველივე ამას და ო განაკებს. ამიტომ გვმართებს და ო ს მორჩილება, რის დარღვევასაც უბედურება მოაქვს. მას შემდეგ, რაც დასავლეთ ჯოუს დინასტიის ერთ-ერთმა იმპერატორმა სახელი სამად გაჰყო, შედგე კი — ოთხად, ძალაუნებურად შეიცვალა ძველთაგანვე

არსებული ურთიერთობანი. ამან თავისთავად გამოიწვია უარყოფითი ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც. ამ უარყოფითი ცვლილებების მიწვევრივებასა და მათ ურთიერთმორჩილებებაში მოყვანას საუკუნებში დასჭირდა. ხშირად ის კი არ არის უბედურება, საზოგადოების რომელიმე ფენა ანდა მთელი საზოგადოება უხელოდ რომ ცხოვრობს, — ამის აღკვეთა ოდესმე მოხერხდება; უბედურება ის არის, (ამ უხელო ცხოვრებიდან მომდინარე მანკიერებათა აღმოფხვრება (რაც საყოველთაო ზნეობრივი კანონის ძალას იძებს ხოლმე), ათეული და ასეული წლები სჭირდება. ბებური ხე ფსევდოდან ხმება, მაგრამ ინერციით მაინც დიდხანს ინარჩუნებს ძალასა და სიცოცხლის უნარს და მანამ არ წაიქცევა, ვიდრე მთლიანად არ დაღუპება და არ გაიხრწნება. ამიტომ ადამიანი, როგორც დანარჩენი ყოველი არსი, და ოს ბუნებით კანონს უნდა მორჩილებდეს; ამ კანონთა მორჩილი კაცი უძვეველ ძალას იძებს. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა ზიდაიღეს მიეღტვის: მას მორჩილება მართებს“. „ვინცა მორჩილებით გასცემს: დაეუფლება“, „დამომქნალა ძირია მორჩილებისა. ხილო მორჩილება — დეკ სრულქმნა“; „ვინცა არ მორჩილებს და ოს ხე: ვამოკლება მისი არსებობა“.

\* \* \*

ლაო-ძი ბუნებითობის, უმოქმედობის, მორჩილების წინაპირობად ისეთ ზნეობრივ-სულიერ კატეგორიებს აღიარებს, როგორცაა და მთქმელობა, ზოშიერება, თვითუარყოფა, სიწველი და ლაო-ძი აცხადებს: „კაცი, ვინცა დაეუფლა დამომქნლობას: ხელში ფებს ხალხს და მსახურებს ცას“, დამომქნლობის მისაღწევად აუცილებელია ვნებათა დათრგუნვა, რაც წყაროა ყოველნაირი ბოროტებისა და უბნელებს ადამიანს გონების თვალს. ზნეობრივი სრულქმნის კიბეს იერარქიული განვითარების საფეხურები აქვს — ქვეყნადნ ზვიით. ყველაზე ქვედა საფეხური არის დამომქნლობა, ბრძენი კაცი უკუაგდებს ვნებებს და ეუფლება და ოს უმაღლეს არსს. იგი გულისყურით იცავს თავის თავში „შინაგან კაცს“ და უბიწო ბრუნდება იქ, საიდანაც იშვა, უბრუნდება არყოფნას, ანუ და ოს. იგი ეუფლება მხოლოდ სიბართლეს, უკუაგდებს ყოველივე მოჩვენებითსა და ყალბს. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი თვისტომისთვის ცოდვათა პატება და მისი შეფარება, სიკეთის უმურველი ქმნა. ბრძენი კაცი მიეღვრის თვითფლობასა და დამომქნლობას, რასაც ყოველნაირი ნეტარებისა და ფუფუნების უარყოფით აღწევს. ლაო-ძი ამბობს: „ყოვლადბრძენი, შეუსვენებლად მავალი: ნიადგ თან ახლავს უძძიმეს ეტლს. არ აკლია

დიდება და ბრწყინვალება: მაგრამ არ ინთქმება დიდებაში. მან წყის წარმაგებლობა სოფლისა“. დამომქნლობა საუბეკელია თვადლებული კაცთმოყვარობისა, ხოლო მათი ძირთაძირი და ოს. მხოლოდ ვნებათა დათრგუნვა და დამომქნლობა მიგვიყვანს და ოს სიმაღლემდენებით შეპყრობილი ვერ მიღწევს ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებასაც კი, ვერ შესძლებს კეთილ საქმეთა ქმნას. „ვინცა წაიპყრა ვნებები: იხილა და ოს დაფარულისა. ვინცა დაიპყრა ვნებებმა: იხილა და ოს ყოფიერისა“ — აი, რა დიდი განსხვავებაა მათ შორის, ვინცა დაითმინა და ვინცა ვერ დაითმინა. მხოლოდ დამომქნლობითა და სიმშვიდით მიიღწევა ზნეობრივი სრულქმნა, დაძვარება საყოველთაო მშვიდობა და წესრიგი. ყოველივე ეს კი საწინდარია საყოველთაო სიყვარულითა, რისი უმაღლესი განსახიერებაც არის და ოს. ლაო-ძი მიხედვით, კაცთმოყვარება და სიყვარული ბოროტობით არ არის, არამედ აბსოლუტური თავისუფლებაა, ბუნებითობაა, უმაღლესი დამოუკიდებლობაა, განურჩევლობაა. „და ო დე ძინში“ კვითხულობთ: „ცა და ძიწა; არ ფლობს კაცთმოყვარებას. ერთია მათთვის: ყოველი არსი თუ ჩალის კალი. ყოვლადბრძენი არ ფლობს კაცთმოყვარებას. ერთია მისთვის: კაცი თუ ქალი თუ ჩალის ძალი“. ლაო-ძი სიყვარულის ყველაზე უმაღლეს თვისებად მტრებისადმი სიყვარულს აღიარებს: „სიკეთე მიაგე მოშუღეს შენას“. „კეთილთაც სიკეთეს მიაგებ და უკეთერთაც სიკეთეს მიაგებ“. ამ სიკეთის შექმნა უმაღლეს სათნოებას. „ერთგულთაც ვერთგულეს და ორგულთაც ვერთგულეს. ამ ერთგულებით შეიქმნ უმაღლეს სათნოებას“. „უფრო დიდი უბედურება არაფერია: გბუღლეს მტერი შენი. მტრის სიძულვილი ვნებს და ოს“. ამის გამო დღვლასი წერს: „ლაო-ძიმ შექმნა ამაღლებული და წმინდა სისტემა; ზნეობრივი კანონებში ის არათუ ჩამორჩება და სხვა წარმართ ფილოსოფოსებს, მნიშვნელოვნად გადაჭარბა კიდევ ყველას, იქადაგა რა ყველაზე ულისრეზანისრეზანის მცნება ქრისტიანობისა: სიკეთე მიაგე ბოროტებას“ (6, 127). ამავე იმდროს: „და ო დე ძინის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი დ. კონსინი. იგი წერს: „...არც გადავაჭარბებ თუ ვიტყვ, რომ ქრისტიანობის გამოჩენამდე არ ყოფილა ისეთი ამაღლებული და მწყობრივი ზნეობრივი მოძღვრება, როგორც იყო ლაო-ძის სისტემა. მართალია, შაკია მუნოც ქადაგებდა ამაღლებულ ზნეობრივ მოძღვრებას, მაგრამ მასში ბევრი წინადაღმდგობა და გადაჭარბებაა, რაც ლაო-ძის სისტემაში თითქმის არ არის. თუცა ებრაული მორალი ბუღისტურ მორალზე მაღლა იდგა, იგი ქადაგებდა: „თუაღბ თუაღისა წილ და კბილი კბილისა წილ“ რაც ლაო-ძისთვის უცხო იყო; იგი ქადაგებდა თავგანწირულ კაცთ-

მოყვარობასა და მტრებისადმი სიყვარულს" (23, 13).

ლაო-ძი ხო მი ერებს მღვდელის სიერით  
ზნეობრივ კანონად. ზომიერება აწესრიგებს და აწონასწორებს დაძმია-  
ნის ყოველნიერ გამოვლინებას. ზომიერების დამცველი კაცი ბრძანა,  
სათნოების უმაღლესი განსახიერებაა. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა ბევრს  
დადალებს — მარცხდება. ზომიერება ყოველივეს ძირი და ფუძე“.  
მაგრამ ლაო-ძი ზომიერებას აღიარებს სამყაროულ მოვლენათა და  
მობრძაობის დიად საწყისად. ზომიერების მეოხებით არსებობს ცის-  
ქვეშეთი მარადიულად. ამიტომ ვისაც სურს ვამტრებლობა, ზომიერე-  
ბას უნდა დაეუფლოს. ზომიერება, ისევე როგორც დამთმენლობა,  
ზნეობრივი სრულქმნის საფუძველია. ზომიერებას მოჰყავს ცა და მიწა  
დიად თანხმობასა და წესრიგს, ყოველი არსი ზომიერებით საზრდო-  
ობს და ცოცხლობს. ლაო-ძის მიხედვით, ზომიერება შინაგან თანხმო-  
ბის ნიშნავს, თანხმობას სამყაროული სიცოცხლის მოძრაობასთან,  
რაც მარადიულია და უცვლელი, ამიტომ, ზომიერებაც მარადიულია  
და უცვლელი კანონია ყოფიერებისა; მას ჩინელები „მარადრულ ზო-  
მიერებას“ („ჯუნ-იუნ“) უწოდებენ. კაცი, მოქცეული ცასა და მიწას  
შუა და მატარებელი მათი უცვლელი კანონებისა, მოქმედებაში წო-  
ნასწორობისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, წონასწორობისაკენ სწრაფვა  
კი იგივე ზომიერების ცოდნას ნიშნავს. ზომიერება უდიდურესობებს  
გარიდებული არსებობს. ზომიერება მუდამ იქ არის, სადაც ნიადვ  
იგივეობითობა და უცვლელობა მყოფობს. ზომიერება გონებით შეიმეც-  
ნება და თავად არის გონების გამოვლინება, მისი სახესხვაობა. ზომიერ-  
ება და დამთმენლობა სიმშვიდის, უშფოთვლობის, წინაღუდგომლო-  
ბის შედეგია.

ლაო-ძი სათნოების ერთ-ერთ უმაღლეს სახედ სიწრფულეს მიიჩ-  
ნებს, როგორც სიბრძნისა და სიკეთის უმოთაგრეს მახასიათებელს.  
სიწრფულე წყაროა მშვიდობისა და დასახამი უწესრიგობის აღკვე-  
თისა. იგი ცის გზაა, ამიტომ არის კაცის გზაც. სიწრფულე და გულის  
უბრალოება ზნეობრივი კატეგორიებისა და იმითურ არის უმაღლესი  
სათნოება, რომ დაო ს და ბუნებითობის წილხვედრია. ამის გარეშე  
შეუძლებელია ზნეობრივი სრულქმნის მიღწევა. „დაო ძე ძინში“  
კვითხულობთ: „ვინცა ველია სამყაროსი: მარადიულ დე უუვლება  
და ჩეილის მღვთმარეობას უბრუნდება... ვინცა ხატია სამყაროსი:  
მარადიულ დე უუვლება და პირველდასახამს უბრუნდება... ვინცა  
შესაკრებელია სამყაროსი: უმაღლეს დე უუვლება და ბუნებითო-  
ბას უბრუნდება“. სიწრფულე და გულის უბრალოება უხეში უმეცრებო-  
ბისა, — დეთაბრივი და უმანკო უბრალოებაა. „ვინცა ავსილია

უწმინდესი სულით და ფლობს უხილავ ძალებს: მორჩილია, ვითარცა  
ჩვილი. ვინცა ავსილია უწმინდესი სულით და ფლობს დაფარულ  
საიდუმლოს: უცთომელია და ჭაბჭაბული“. ასეთი კაცი არათუ ეგვიპ-  
ნება ახალშობილს, უბრუნდება კიდევ ჩვილის მდგომარეობას. ლაო-  
ძის მოძღვრების თანახმად კი — ეს არის ყველაზე დიდი სიძლიერე  
და სწორედ ამ მდგომარეობაში მტრფი ფლობს დაო ს და დე ს.  
ლაო-ძისთვის ზნეობაც ისეთივე ამაღლებული და სულიერების განმ-  
სახლერელი ფაქტორია, როგორც დაო, და ზნეობაც ისევე უხილვე-  
ლია და არანოვითიერი, როგორც დაო. ლაო-ძი ამბობს „ვინცა შორ-  
ჩილებს დაოს: დაო ს თანაარსია. ვინცა მორჩილებს დე ს: დე ს  
თანაარსია. ვინცა მორჩილებს წარმავალს: წარმავლის თანაარსია“;  
„ო, რა დამა და მიუწვეომელი: უმაღლესი დე. იგი აჩავის ჰავას  
სამყაროში. მაგრამ შესაკრებელია ყოველივესი და შემოქმედი დიადი  
თანხმობისა“.

ლაო-ძი თვით უარყოფს ა ერთ-ერთ უმოთაგრეს ვითაურ კა-  
ნონად განიხილავდა. თვითუარყოფა დაო ს სრული მორჩილება და  
ბუნებითობის მიხედვით მოქმედებაა. იგი ამბობს: „ყოვლანდობრძენი  
ყოველივეს მორჩილია. მორჩილია და გაწინამდგერებულია. უარყოფს  
ხორციელ ტანს და სოფლიურ მარადისობას ერთვის“. ლაო-ძის გა-  
მოთქმა: „ვინცა დაო ს სოფლიურ მარადისობას ერთვის: არ იპყრობს  
ლაშქრით ქვეყნებს“ — XIX საუკუნის ჩინელი ფილოსოფოსის იუე-იუეს  
ცნობით, ტანის დინასტიის იმპერატორის ძინ ლუსის (VIII ს.) საფ-  
ლავის დღებზე ყოფილა ამოკვეთილი. ლაო-ძი თვითუარყოფის იდეა-  
ლურ არსებად წყალს ასახელებს, რომელიც სიდაბლეს მიეღტვის და  
იქ არსებობს, სადაც აღმართს არ ძალუძს არსებობა. სწორედ ამიტომ  
„მეუფებენ ველთა და მინდროთა“ ვისაც სურს იხელმწიფოს და კე-  
თილად უწინამდგეროს ხალხს, იგი მათზე დაბლა უნდა დგებოდეს.  
ასეთ დროს, თუმც ხელმწიფე წინამდგერობს ხალხს, მაგრამ ხალხი  
ვერ გრძნობს მის ხელმწიფებას. ლაო-ძი ამბობს: „კეთილია ხელმწიფე:  
ვინცა დუმს და არას ითხოვს ხალხისგან“. ასეთ ხელმწიფეს ძიელი  
ცისქვეშეთი ადიდებს და მორჩილებენ მას, როგორც თვით მორჩილებს  
დაო ს. ბრძენს ძალუძს გაწინამდგერდეს, თუკი მოწიყებით მოიდრკეს  
მუხლს ხალხის წინაშე. „ვინცა ვახელმწიფებას მიეღტვის: მოკრძა-  
ბის ხალხს მათებს“. აქ „მოკრძაბება“ და „მოწიყება“ თვითუარყოფის  
კატეგორიებად აღიქმება.

„დაო ძე ძინში“ საუბარია მამაცსა და თავმდაბალზე ერთდრო-  
ულად, რაც გვიხსნის ლაო-ძის პარადოქსულ დიალექტიკას მაგარსა  
და რბილზე, ზეიმურსა და არაზეიმურზე, დიდებასა და უწინარობაზე.

თუ სიძლიერეს და სისადავეს თან თავმდაბლობა არ ახლავს, არაერთი ეთიკური ღირებულება მათ არ აქვთ. და ო იმიტომ არის დიადი, რომ იგი არ დაიღვს. ეს არის თვითურყოფის უღიადესი კანონი, სამოცდამეთექვსმეტე თავში მაგარისა და ძლიერის კატეგორიები უპირისპირდება რბილისა და სუსტის კატეგორიებს. კაცს, ვისაც სიღობა და სისუსტე დაუფლება, შესწევს უნარი შეიცნოს მაგარისა და ძლიერის გადასვლა რბილსა და სუსტში, თუკი ამ ორივე მდგომარეობას დრმად შეიცნობს კაცი, ძალუს დეუფლოს სიფაქიხესა და სისუსტესა და გაუწინამძღვრდეს ხალხს. „რბილი“ და „სუსტი“ თვითურყოფის კატეგორიებია, რაც უდიდეს ენერჯიათა დაგროვებას და ამ ენერჯიის ძალით და ო ს წედრმას მოახწყავებს. როცა კაცი ერთდროულად ეუფლება რბილსა და სუსტს, ეს იმ მდგომარეობაა, როცა მას ძალუს შეიცნოს „დედა“ ანუ და ო. როცა მაგარი და ძლიერი ილტვის რბილისა და სუსტისაკენ, ეს იმ მდგომარეობის მიღწევას ნიშნავს, როცა ძალკვიძს შვეიცივით „ქე“, ანუ ყოველი არსი. დედა და ო ა, ხოლო ქე — და ო მერ წარმოშობილი ყოველი არსი. ლაო-ძის ყველა დებულება ეს და ოს დაუფლებას ქადაგებს. აფორიზმი: „ვინცა შეიცნო დედა: მან ქედ შეიცნო თავი. ვინცა ქედ შეიცნო თავი: მან შეიცნო დედა. ხორცი მისი ცვლება: სული კი უკვდავია“ — ნიშნავს და ოს მერ წარმოშობილი ცალკეული საგნის თვით კმაყოფილებას. ეს ცნება, თუ მას დავშლით და დრმად გავიხარებთ, თვითურყოფის ცნებასთან მივივყენს. ამ ცნებას ფილოსოფოსი მენ-ძი ასე განმარტავს: „წერთან თავი შენი და მიადწევ სიწრფელეს. ეს კი მოვანიჭებს უდიდეს თვითკმაყოფილებას“ (მისივე აზრით, „გრძნობა შეგრძალებისა“ არის „კაცთმრეფარეობის საფუძველი“). ამ ცნებით დეც ცნებაც განიმარტება. თუ დე არის და ოს წარმოქმნილი ცალკეული საგნის უმადლესი კატეგორიის თვისება, რბილისა და სუსტის დაუფლება ნიშნავს და ოს დაუფლებას. ხოლო სწრაფვა მაგარისა და ძლიერისა რბილისა და სუსტისაკენ ნიშნავს დეც ფლობას. და ო რბილსა და სუსტს ნიშნავს, ხოლო დე — მაგარისა და ძლიერის სწრაფვას რბილისა და სუსტისაკენ. და ო როცა ქუქმაცდება, იმად გარდიცვლება, რისი თვითგანეთარებაც რბილსა და სუსტს ეუფნება. სიტყვები: „გაცოდვილება“, „დატანჯვა“ — რბილისა და სუსტის კატეგორიებია. ამ გამოთქმებს თუ ცალკეულ ცნებად დავაქმაცებთ, შემდეგს მივიღებთ: „არასრული“, „მრული“, „ცარიელი“, „ძველი“, „მცირე“, „მოკრძალება“, „უწინარობა“, „თავმდაბლობა“, „უღირსობა“, „ათვინაღმრეაება“. ყველა ეს ცნება თვით თუ არა ყოფილს სინონიმებად ჯდერს.

ჯუან-ძი თავისი თხზულების ოცდამეცამეტე თავში („ცისქვეშეთი“) ასეთნაირად ახასიათებს ლაო-ძის პიროვნულსა და ზნეობრივ-ეთიკურ თვალსაზრისებს: „სასახტერო საგუშაგოს უფროსმა და ლაო დანმა შეისმინეს ეს მცნებანი და ფრიად გაიხარეს. მათ ავჯეს თავიანთი მოძღვრება სამ მთავარ პრინციპზე: უცვლელობასა, არყოფასა და ყოფიერებაზე, სადაც უმთავრესად აღიარეს დიადი თვითანობა. თავიანთი მოძღვრების გარკვეულ გამოვლინებად მათ სიღობა, სისუსტე, მოკრძალება და თავმდაბლობა მიიჩნიეს; მის შინაგან არხად თვლიდნენ დებულებას, რომ სიცარიელე არ არღვევს არსთა სიწყვდიადეს. საგუშაგოს უფროსი ამბობდა: „მისთვის, ვინც არ იტყება თავის თავში, ფორმა და არსნი თავითა შეიცნობიან. მოძრიაბა ასეთი კაცისა ბუნებრივია, ვითარცა მდინარება წყლისა; მისი სიმშვიდე წმინდაა, ვითარცა ზედაპირი ტბისა; პასუხი მისი მალაია, ვითარცა ექო; ასეთი კაცი უხორცოა, ვითარცა არარსებული; წმინდაა, ვითარცა სიმჭვირვალე, საგანთა სიწყვდიადეს ერწყმის და თანხმობაში არსებობს; შექნილს უმაღლე კარავს; არასოდეს წინაუსწრებს სხვებს, მაგრამ მათ მიჰყვება უკან.“

ლაო-ძანი ამბობდა: „ვინცა შეიცნო მამრობა თვისი: მანვე შეიცნო მდედრობა თვისი. იგი კვლია საშფაროსი... ვინცა შეიცნო ნათელი თვისი: მანვე შეიცნო წვეციდი თვისი. იგი ხატია საშფაროსი“. ყველანი პირველობას მიეღვიან, მხოლოდ ის ერთი ამაჯობინება უკან დგამს და ამბობდა: „ჩემშია“ დაცვამ ცისქვეშეთისა“. ყველანი სისავსეს მიეღვიან. მხოლოდ ის ერთი ამაჯობინება სიცარიელეს. არ მონარობდა, ამიტომ ფლობდა სიუხვეს; ყველა მოთხოვნილებას ცხყოფილებად და მინც სიუხვეს ფლობდა, არ მიეღვივდა თავისი გიჟერების უზრუნველყოფას, მინც არ ზარალობდა, უმოქმედოდ ცხოვრობდა და დასცინოდა სხვათა სიპარჯვეს; ყველანი ბედნიერებას მიეღვივდნენ, მხოლოდ ის ერთი, თავისთვის რომ სიმშვიდე უზრუნველყო, ეთვისებდა გარემოებათ და ამბობდა: „ოღონდაც უტეფრება არ შემემთხვას“. დაფარულის ზღირმეს და ოს გარდასახვის საფუძვლად რომ მიიჩნედა, ხოლო ზომიერებას — მოქმედების ძირითად კანონად, ამბობდა: „მაგარ იმხურევა, პასრი ზბავდება“. ის მულად სულგრძელი იყო არსთა სიწყვდიადისადმი და არავის არაფერს ართმევდა. აი, რას შეიძლება ეწოდოს სრულქმნის ზღვარი. ო, საგუშაგოს უფროსო და ლაო დან! ისინი ქუქმარიად დიდი კაცები იყვნენ წარსულისა, — დაიადი და ნათელმხილვითი.

ბუნდოვანება, უსახტეროება და უქონლობა ფორმისა; ცვალებალობა და უმდგარალობა; უთითებრობა ცვლელობა სიკვდილისა და

სიცოცხლისა; ცისა და მიწის ერთიანობა; მოგზაურობა სულებით; საით წავიდეთ? — ბუნდოვანია. თითქოს არსთა მივლი სიწველიადე ერთი ბადით იყოს გარსმოცული და აღარ რჩებოდეს აღარაფერი, რის-კენაც მიბრუნება შეეკედლებოდა; — ყოველივე ამას ძველად ფლობდნენ და ოს დაფარულ მცნობლობაში“ (16, 290—291). „ჯუან-ძის“ ამ ეპიზოდში შეუძლებელია არ დაინახოთ თ ვ ი თ უ ა რ ყ თ ი ს პრინციპი.

\* \* \*

ვინ არის ამ უმაღლესი ზნეობრივი პრინციპების განმახორციელებელი, რასაც ლაო-ძი ქადაგებს? ყოვლად ბრძენი. ლაო-ძის ზნეობრივ-ეთიკური კატეგორიების თავის თავში დამტკევი და გარს-ნომცველი არის ყოვლადბრძენი. და ოს თ ა ნ მიახლებული კაცი არის მუფუე ქვეყნიერებისა; მან უწყის ცვალებადი კანონები ბუნებისა, მაგრამ არ ახორციელებს მათ, რადგანაც მათზე მაღლა დგას და ძალუმს დამორჩილდეს მათ; დამორჩილდეს, რათა გამოიწვიოს ბუნების ძალები ბუნებრივად და წარმატოს ისინი თავისი დიადი მიზნების შესაბამისად. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ლაო-ძი ავლენს თავისებურ მსოფლმხედველობას უკვდავების ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჟამგრძელობის“ შესახებ; „წმინდანის“ ანუ „ყოვლადბრძენის“ დამოკიდებულებას ბუნებასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან. კაცი, ვინც მისწვდა და ოს, მას სიკვდილის დამარცხებაც ძალუმს. იგი ამბობს: „ვისაც 'სიცოცხლე შეუცვცია და დაუთმენია: მისთვის ვეფხსა და მარტორქას არა უწინა. აბჯარაუსმედი და უიარაღო: ვერ შეუკრთია ხმადაკვეთებას... ვინცა შეიცნო სიცოცხლე და დაითმინა: მისთვის არ არსებობს სიკვდილი“, ადამიანი გაუკვდავდება იმითურ და იმ დროს, ოდეს შეითვისებს თავის წიადში დღეობრივ ძალას, ოდეს „უკვდავების წყალს“ დაღვეს სიცივისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარსმოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს. სიბრძნე, ანუ იგივე სიწმინდე, ანიჭებს კაცს წყალობას ი ც ო ც ხ ო ს ს ხ ე უ ლ ი ს კ ე დ ო მ ი თ და იარსებობს, დაჰყოს ყოფიერებაში მარად — ანუ უბერებელი და უბრუნადი ტანის (სამწმინდის) სახით, ან რომელიმე ცოცხალი არსების სახით (ამ იდეას თავისთავად უკავშირდება სულთა მარადიული გადასახლების მოძღვრება). რაკ მიწიური სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდულია, ბოლოს და ბოლოს დგება წამი და ოს თ ა ნ ანუ განურევლობასთან, — უთვისებო და გამოუვლენად ყოფიერებაში, ანუ ა რ ყ თ უ ა შ ი, — შერწყმისა. ყოვლადბრძენი არ საჭიროებს ემიპირიული მონაცემების

ცოდნას. იგი სამყაროსა და ბუნების კანონებს შეიმეცნებს გონებით, ჰერეტი, ანუ გონმეჭვრეტელობით. ბრძენი სახლიდან გაუსვლელად იმეცნებს სამყაროს, სარკმიდან გაუხედავად ჰერეტს ცთომილთა მოძრაობის კანონებს. მისთვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ უკვირდებოდეს საგნებს და მოვლენებს; მას ისედაც ძალუმს მათი შინაგანი, იმანენტური ხილვა და ახსნა. ყოვლადბრძენის შემეცნების პროცესი, ლაო-ძის მიხედვით, უმთავრესად ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი ვება: „შეიცან თავი შენი და შეიცნობ სხვებს. შეიცან სახლეული შენი და შეიცნობ სხვი-სას. შეიცან სოფელი შენი და შეიცნობ სოფლებს. შეიცან ქვეყანა შენი და შეიცნობ ქვეყნებს. შეიცან სამყარო და შეიცნობ სამყაროს“.

„დაო ღე ძინის“ მიხედვით, ქვეყნად არსებობს ორი კატეგორიის ბრძენი. ერთმა უწყის უღრმესი და დაფარული ხარისხის ბრძენი ბითი და ოს ი“ და უმოქმედობის კანონებით მოქმედებს და იღწვის; ის ფლობს და ოს ყველა უმთავრეს თვისებას. ლაო-ძი ასეთ ბრძენს „უმაღლეს დ ე ს მქონეს ანუ „ყოვლადბრძენს“ უწოდებს. ყოვლადბრძენი მორჩილებს და ახორციელებს და ოს უღიადეს კანონებს. მეორეა მოჩვენებითი, ანუ ცრუბრძენი, რომელიც „მოქმედებს მძლავრობით“, და ოს კანონების საპირისპიროდ. ლაო-ძი მათ ახასიათებს, როგორც „უდაბლეს დ ე ს“ მქონეთ. ასეთი არღვევენ ბუნებით არსებობას და ბოროტებას თვებენ ქვეყნად. თუმცა ისინი მძლავრობენ, მაინც არავენ მორჩილებს მათ. მაშინ ისინი „თავად აიძულებენ ყოველს სათავყვარო“ და ამ მიზნით სხვადასხვა ზნეობრივ ცნებებს იგონებენ. ასეთებია: კაცთმიჯვარეობა, თავყანისცემა, რიტუალი. ყოველივე ეს, „დაო ღე ძინის“ მიხედვით, ცრუ შინაარსის შემცველი ცნებებია და დასაბამია უმეცრებისა. ისინი მაშინ ვლდნიან ბრძენებს, ოდეს და ოს უარყოფისა და ვერშეცნობის ფაზა დგება. უდაბლესი დ ე ს მფლობელი კაცი ყოველნაირი პირმოთნეობით ვაღბ ზნეობრივ ცნებებს იგონებს, თანაც არ იკლებს არავითარ ამქვეყნიურ კეთილდღეობას და ბრწყინვალე სასახლეში ცხოვრობს. ლაო-ძი ამბობს: „დიდებულნი თუ ძვირფასეული შემოსილან, ბრწყინვალე საჭურველი შეჭურვილან, უკადრისობენ მდაბიურ სუფრას და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან: ეს ავანჯიობაა და ზვიადობა, ნთუუ ესაა და ო ა“. მათ მიერ შეთხზულ ცნებებში მხოლოდ ფარისევლობა და პირმოთნეობა ინიღბება. ლაო-ძი ფაქტობრივად უპირისპიროდობდა კონფუციურ თვალსაზრისს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლაო-ძის ასე უთქვამს კონფუცისთვის: უარყავი შენ შენი სიბრძნე და კეთილგონიერება; მაშინ ხალხი ასგზის ბედნიერი იქნება. უარი თქვი შენს

კაცობიერებაზე და განუღვივე შენს საძირკვლიანობას; მაშინ ხალხი დაბრუნდება ძეოა მოწინებებს და მამათა სიყვარულს. დაიფიქვე შენი ხელთნება და დათმე შენი შემოსავალი; მაშინ ქურდობაც მოისპობა. წარმოაჩინე შენი სახე შეუღამაზებლად, დაიცავი სიწმინდე, დათრგუნე საკუთარი თავის სიყვარული და ალაგმე შენი პატივმოყვარული სურვილები. დაუკვირდით, როგორ ჰკავს ეს სიტყვები „დაო ღმრის“ ერთ-ერთ დამძღვრას: „მე არას ვიქმ და: ხალხს თავად უუფლება სრულქმბა. მე შვიდად ვარ და: ხალხს თავად უუფლება კეთილშობილება“. მე ვნებადამცხრალი ვარ და: ხალხს თავად უუფლება უბრლოება“. სავსებით დასაშუება, ეს შეხვედრა კიდევ ერთი ლამაზი გამოწვანი იყო დასუელთა, მაგრამ მასში რომ ლაო-ძის მოძღვრების ჭეშმარიტი არსი ჭვივის, უცხადესია; და მართლაც, კულტურა, რაც მხოლოდ პირმოთხოვისათვის იღწვის, რყვის თვითმოყოფილობას და ხალხის ცხოვრების სიმარტყვეს, ადამიანში „ღამაზს და იშვიათი ნიუთების“ შექმნის ცხოველ სურვილს ბადებს, და „წყარობ იშვიათისა და უბრლოებისა“. ეს კი და ო ს საბირისბიროდ სვლას მოასწავებს, რასაც მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანთა მოღვმისათვის. ლაო-ძის მიზანი იყო დაბრუნებობა, უფრო სწორად, აღედგინა ადამიანის პირველყოფილი ცხოვრების შინაგანი მდგომარეობა. ეს მოიტანდა საყოველთაო სიმშვიდესა და მშვიდობას. იგი ამბობს: „ვინცა აღივსო სიცარიელით: აღივსო უღიაღესი სიმშვიდით: ვინცა აღივსო უღიაღესი სიმშვიდით: აღივსო სიცარიელეში არსთა წრებრუნეთ... დასაზამში დაბრუნებას სიმშვიდე ჰქვია. სიმშვიდეს — არსში დაბრუნება ჰქვია. არსში დაბრუნება — მარადისობა ჰქვია“.

ყოვლადბრძენს არა აქვს სურვილები ვინმეს ან რაიმეს ბრძოლის, რადგანაც მას არ სურს ჰქონდეს რაიმე განსახლვრული შეხედულებანი, გრძობებიც კი. იგი მხოლოდ ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს. „დაო ღმრის“ ვკითხვლობთ: „ყოვლადბრძენის გული ცარიელია. მისი გული ხალხის გულის შესაკრებელია. მას შესწევს ძალი: ვაიბუთების ერის აზრი“. კაცი, ვინც იცის დიადობისა და ბრწყინვალეების უფის და მაინც უწინრად ცხოვრობს, ყველასთვის სამაგალითოა. ყველასთვის სამაგალითო სათნოებით არის ავსილი და ახალშობილის სინორჩესა და სისუსტეს ფლობს; სწორედ ამით უბრუნდება თავის უხსოვარ პირველარსს. ვინც იცის, რა არის დიდება და მაინც წყნად ცხოვრობს, ხილული ველია სამყაროსი, ცისქვეშეთის ამბრავი ძალაა. ვინც ცისქვეშეთის ხილული ველია, იგი მარადიული სათნოებით არის ავსილი და და ო ს დაუსაბამობას შეერთვის. დიდება და გამოჩინება, „დაო ღმრის“ მიხედვით, არ არის ნამდვილი

გამომხატველი დიადობისა და ბრწყინვალეებისა, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება და ო ს ძირეულ კანონებს. ნამდვილი დიდება უწინარობა და უმოქმედო მოქმედებაა, ანუ სიწრფელება, ქმნა სიკეთისა ქვედადლობისა და მადიდებლობის გარეშე. ამა სოფლის დიდება და პატივი არამდგრადია და ცვალებადი, ხრწნადია და მსწრაფლწარმატებალი. მათში არაფერია არსისეული. ლაო-ძი ამბობს: „ვინცა დიდებას მიეღობს: ვერ ედრისება დიდებას ქვეყნად. ვინცა განდიდებას მიეღობს: ვერ განწინამდგრდება ქვეყნად. თუ და ო ს დავიმოდვრავთ: ყოველივე ეს — ფუჭია და ამაოება. ასეთი სძაგს ყოველ არსს“. უწინარობა და ჩრდილში დგომა არის ჭეშმარიტი პატივი და დიდება კაცისა; განდიდებასკენ წრფეობა არის მხოლოდ შიში უჩვეს საფუძვლად. ლაო-ძი ამბობს: „კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშითვე კარგავენ მას“. ყოვლადბრძენი „მორჩილებს არსთა ბუნებითობას და დაფარულ წიაღში მათ უუქმცევას“. იგი სიკეთისა და ბოროტების სახობად და ო ს აღიარებს. და ო ს თანხმობა და მორჩილება სიკეთესა, და ო ს უარყოფა ბოროტებას. ჭეშმარიტების ეს გამოძახილი, თუ ქრისტილოგიურ ცნებას ვიხმართ, შინაგანი ადამიანი, ისინი დიად საქმეებს იქმონდენ, მაგრამ არ ქედმაღლობდენ; პირიქით — იღუმალებით იყვნენ გარემოცული და მოკრძალებით ცხოვრობდენ. და ო ს მსვავსად, ყოველივეს სხვათათვის იქმონდენ და არასოდეს არ ეუფლებოდნენ იმას, რასაც თავად ქმნიდენ. მორჩილებდენ და ო ს და: კმარობდენ მცირებს... სისავსეს არ მიეღობდენ და: განახლება არ სურდათ. განახლება არ სურდათ და: კმარობდენ ძველს. კმარობდენ ძველს და: სრულქმნას ფლობდენ“; „ყოვლადბრძენი არ იხვეჭს. ყოველივეს ხალხისთვის იქმს და ყოველივეს გასცემს. რაც უფრო მეტს გასცემს: მეტს იმის კვლავგახაცმება“. ისინი ნიადაგ იმას უფრობოდნენ, ცხოვრების ბუნებითი მდინარება რომ არ დაერღვიოთ; იმით ისახლვოდნენ, რაც ერთხელვე იყო მოცემული. ბუნებაში და არ მიეღობდენ ახლის შექმნას. ყოვლადბრძენს არ აქვს საკუთარი მიზნები, მთელი მისი გულისყური, მისი ხვედრი ხალხის ხვედრისკენაა მიყრდობილი. მისი მიზანი ერთია: უბოძოს ხალხს „საზრდელი — გემრდელი. სამოსელი — მშვიდნიერი. სახლ-კარი — მყუდრო. ხოლო ცხოვრება — მშვიდობიანი“. ეს ანიჭებს ყოვლადბრძენს უძლეველობას და ამ სათნო ძლიერებით უმორჩილებს თავის საკუთარ და ხალხის ცხოვრებას და ო ს კანონებს. ამტკობა: „ყოვლადბრძენი მფარველია და თანამდებელი ხალხისა.

ხალხი ამიტომ არ არის უთვისტომოდ. ყოვლადბრძენი მფარველია და მსხნელი ყოველი არსისა. ყოვლადბრძენი ამიტომ არ არის უთვისტომოდ. „ყოვლადბრძენი არ მიღავრობს და უძღვევლია ცისქვეშეთში“.

\* \* \*

ლაო-ში ხნეობრივი სრულქმნის მიღწევის ერთ-ერთ გზად ცრუ-ბრძნობისა და მეცნიერობის, ანუ ცრუმეტყველების აღკვეთას ვვითავაზობს. ლაო-ში ებრძვის ყოველივე ცრუს და არაჰემპარიტ ცოდნას, რაც მისთვის სიწმინდისა და სიბრძნის ტოლფასია და მხოლოდ თვითჭვრეტისა და თვითდაზღუების გზით მიიღწევა. მეცნიერობა მეტიანია უბრალოებისა და უბრალოების, რაც ადამიანის ნამდვილ სამკაულს წარმოადგენს. ძველი ხელწიფენი, და ო ს რომ მორჩილებდნენ, ხალხს მეცნიერობისადმი მიდრეკილებას კი არ უღვივებდნენ, არამედ უბრალოდ იმას მიეღვრებდნენ, ხალხი რომ ცოდნას და ვნებებს არ დაჰმეწურებინა, მათ რომ უბრალოდ და მარტივად ეცხოვრათ. ეს ხელწიფენი თვლიდნენ, რომ ბევრის ცოდნას (რაც შეიძლება დღეს იმფორმაციული განათლების სინონიმად მივიჩნიოთ) ზიანი მოჰქონდა ხალხისათვის, რადგანაც ესინი ბოროტისა და კეთილის გარჩევას ისწავლიდნენ და ეს; განსხვავება ურთიერთდაპირისპირებას გამოიწვევდა, რაც შუღლისა და რღვევის წინასაწყისია: უმაღლესი შემეცნება მხოლოდ საყოფარ წიალში დანთქმით და განმარტობული ცხოვრებით მიიღწევა. მკაცრიობის ადამიანი დაბნეულობაში მიჰყავს და ახშობს მის სულში ბუნებით მიდრეკილებებს. ცრუმეტყველება და ცრუბრძნობა ამაო ხარჯავა ძალისა და დროისა და და ო ს საწინააღმდეგო სვლას მოასწავებს.

უმაღლესი ცოდნის ცნება „დო ღე ძინში“ ორნაირი სახით არის წარმოდგენილი: ერთია ჰემპარიტი სიბრძნე და აქედან წარმომდგარი ყოვლადბრძენი — და ო ს მორჩილი და მისი კანონების დამცველი. მეორეა ცრუბრძნობა და აქედან წარმომდგარი ცრუბრძენი — და ო ს საპირისპიროდ მოქმედი. ლაო-ში მას ყველაზე დაბალ საფეხურზე აყენებს. ჰემპარიტი. სიბრძნე და ცოდნა კი, რასაც მხოლოდ ერთადერთი ფლობენ, არის და ო ს სრული მორჩილება და ცხოვრება და ო ს კანონების თანახმად: ცოდნა მხოლოდ იმ ბრძენთათვის არის საჭირო, რომლებიც იცავენ და ო ს კანონებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელში ეს ცოდნა უბედურების იარაღად გადაიქცევა. სიბრძნით აღჭურვილი ადამიანი იმეცნებენ „და ო ს დაფარულ საიდუმლოს“ და უმოქმედობის დიად პრინციპს ახორციელებენ, მორჩილებენ საგანთა ბუნებით სვლას. ჰემპარიტი ბრძენი, ანუ ყოვლადბრძენი,

ვინც ფლობს უშინაგანეს და უღრმეს ცოდნას, არ ამჟღავნებს თავის სიბრძნეს და „ბრივეს ჰგავს“. იგი „...ჯვალთოთა შემოსილი, შიგნით კი — განძითაა დაგანძული“. ამაშია უმაღლესი სიბრძნე და ჰემპარიტება. ხოლო ჰემპარიტებას არ სჭირდება დაღდი, რადგანაც ჰემპარიტი იტყვევს არ არის ლამაზი. ლამაზი სიტყვა არ არის ჰემპარიტი“. ლაო-ში ამით ჰემპარიტების ერთადერთობას აღიარებდა, რაც მხოლოდ განდგომითა და ტანჯვით მიიღწევა. თუმცა ხშირად სიყალბის მშვენიერი სამოსელივით იმოსება. ამიტომ უნდა შევიგნოთ, რომ ის, რაც ლამაზია და მჭევრმეტყველური — ყალბია; რაც მახინჯია და უცვლელი — ჰემპარიტებაა: ყოვლადბრძენის მოვალეობაა მიაყურდეს უსიამო ხმებს და ჩასწდეს მას, განერიდოს ყოველივე საამოს, რადგანაც „უკეთურობა ხორციელ ნეტარია. სულიერობა ვნებათა დამორჩილება“. ყოვლადბრძენი, თუ იგი ნამდვილ სიბრძნისა და ცოდნას ფლობს, დიდი სიწარფელით უნდა იყოს მიდრეკილი ჰემპარიტების მკაცრი ღაღადისადმი.

ლაო-ში მიეღვრება სიბრძნეებს: ცხოვრების ყოველნაირი გართულება ცრუბრძნობითა და ცრუმეტყველებით მას უბედურების წყაროდ მიიჩნდა. ეს ეწინააღმდეგება ბუნებითობის კანონს, ანუ და ო ს. ლაო-მისთვის ცრუბრძნობა და უმეცრება ტოლფასოვანი ცნებებია; იგი ამბობს: „რაც მეტია უმეცრება; მით მეტია სიხარბე“. ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება აბნელებენ გონების თვალს, აბნევენ ადამიანებს. ლაო-ში ამიტომ მოუწოდებდა ჰემპარის მმართველთ, ბუნებითობას და უბრალოებაში ჰყოლოდით ხალხი. ეს არის და ო ს გზა. „ჯუნან-ძის“ მეთვრამეტე თავში („უმაღლესი სიხარული“) გადმოცემულია ლაო-მისა და კონფუცის საუბარი; სადც „და ო ღე ძინის“ შემოქმედი ორიგინალურად ასაბუთებს თავის თვალსაზრისს ბუნებითობისა და ცოდნის პრინციპს შესახებ. იგი ასეთია:

„ქუნ-ძი“ მიუბრუნდა ლაო-დანს და ბრძანა: „დღეს, როცა თქვენ თავისუფალი დრო გაქვთ, გავცომახდები და გკითხავთ სრულქმნილ და ო ს ე“.

ლაო-დანმა მიუგო: „უშინარესად, მარხვითა და დამთქნელობით განიწმინდე გული შენი; თოვლის სითეთრედ განიწმინდე გონება შენი; უარყავ ცოდნა შენი. და ო ხომ უწიადოა და მისი სიტყვებით ახსნა ფრიად ძნელია. მხოლოდ მის მიახლოებით გარწერილობავ მოგახსენებ.“

ნათელს ბნელი შობს, წესბრძენის მფლობელს არასახიერი შობს, სულიერს და ო შობს, ხორციელს თესლი შობს, ხოლო არსთა სიწყვედიანს ურთიერთგაგზირი შობს ხორციელ სახეთა მემკვიდრით.

ამიტომ ცხოველები, ცხრა ხერხელის მფლობელნი, დედის საშოდან იბადებიან. ხოლო ცხოველები, რვა ხერხელის მფლობელნი, კვერცხიდან იჩეკებიან. სიცოცხლის აღმოცენება კვალს არ ტოვებს; პირისიგან მიწისა მის წარმოცვას არა აქვს სახლერები; არცა ბჭვა სადმე, არცა საცხოვრისი; ამიტომ განეფიება იგი ქვეყნიერების ოთხივ მხარეს.

ყველა მათ, ვინც და ოს მორჩილებს; მტკიცე სხეული აქვთ, ნათლმხილველი გონება, გრძნობათა ფაქიზი ორგანოები. მათი ფიქრი შეუწერებლად იბერის, და ყოველ არსს შეუხლდავად ეთვისებიან. და ოს გარეშე ცას არ ძალუძს უსასრულობა, მიწას — ვრცელულობა. და ოს გარეშე მხესა და მივარებს არ ძალუთ სვლა ცისა თავანზე, ხოლო არსთა სიწყვედიანად — განვითარება. აი, რა არის და ო!

აქვე უნდა ვთქვათ: ბუერის მცოდნე კაცი აუცილებლად არ ფლობს ჭეშმარიტ ცოდნას, ხოლო გამოცდილი მოკამათო აუცილებლად არ ფლობს გამჭირვას გინებებს. ყოვლადბრძენი იმას მიუღტვის, რომ არ აივსოს ადვებისას და რომ არ დაიცვლოს დავებისას. და ო უღრმესია და უწიადო, ვითარცა ზღვა, უზარმაზარია და დიდი თავის მუდმივ ცვალებადობაში; წყდება და ისევ უმაღლე იწყება. შეცვალოს არსთა სიწყვედიანის ბუნებითი თვისებანი და დაუშრეტელი დარჩეს — აი, და ო კეთილშობილი კაცისა; მაგრამ რგი არასრულქმნილია. ხოლო თუ არსთა სიწყვედიანე თავადვე შობს თავისსავე ცვალებადობას და დაუშრეტელი რჩება, — აი, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი და ო.

ქვეყნად არიან კაცნი, რომელნიც არ ემორჩილებიან არც ი ო ს, არც ი ა ნ ი ს საწყისთა ცალმხრივ ზემოქმედებას, ისინი ცასა და მიწას შუა იმყოფებიან, მხოლოდ დროებით აღამიანდებიან და ისევ თავიანთ დანახაბს უბრუნდებიან. თუ ამას შევიცნობთ, გამოძლინარე დანახამიდან, მაშინ სიცოცხლე რაღაც სასიცოცხლო ძალთა შედეგების წარმონაქმნია, და თუმცა სიჭაბუკეში არსებობს ვამერძელობა და სიკვდილი, რა მანძილია მათ შორის? წამი და მეტი არაფერი. განა ეს დრო საკმარისია, რომ დავადგინოთ — ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი: ი ა ო თუ მ ე?

ხეთა ნაყოფებსა და ბალახებს თავიანთი კანონები აქვთ. თუმცა აღამიანთა შორის დამოკიდებულების წესები უფრო რთულია, მაგრამ ისიც განსაზღვრულ წესრიგზეა დაფუძნებული. ყოვლადბრძენი, მხილველი წესრიგისა; არ არღვევს მას; ხოლო მის გვერდით ჩავლილი არ ინარჩუნებს მას. მათ შორის წინააღმდეგობის წაშლა და მორჩილება მათი — აი, ეს არის უმაღლესი სათნოება; მათში განზავება და მორჩილება მათი — აი, ეს არის სრულქმნილი და ო. აი, რისი წყალობით

ვლინდებოდნენ სრულქმნილი ხელმოწივნი და ბრწყინავდნენ დინასტიკითა დამაარსებელინი.

ცასა და მიწას შუა მოქცეული კაცის სიცოცხლე ქარაფზე თეთრი ცხენის უმაღლეს ნახტომს ჰგავს: წამით გაიელვა და გაუჩინარდა. ქვეყნად ყოველივე უცერად, უმაღლესად იშვის; ყოველივე ჩუმად და შეუმჩნეველად უჩინარდება ამა ქვეყნიდან. უმცირესი ცვალებადობა და — სიცოცხლე იწყება; კიდევ უმცირესი ცვალებადობა და — დგება ვამი სიკვდილისა. ასე რად წუხან ცოცხალნი ამას? კაცთა მოდგმად და მწუხარებს ამას? გარდაცვლა ხომ ჩვენი ბუნებითი საფარის გადახსნას ნიშნავს, ბუნებისაგან ნაბოძებ ნივთის დამსხვევკვას, სასიცოცხლო ძალთა ცვალებადობასა და დაქუცმაცებას. სულიერი დანახაბი მიდის, სხეულიც მას მისდევს — აი, ჭეშმარიტად დიდი გარდაცვლა ყოფიერიდან არყოფნაში. არასახიერი გადამის სხეულის მფლობელ სახიერებაში; სახიერი ისევ არასახიერში გადადის — დაბადებისა და სიკვდილის ეს მონაცვლეობა ყველამ უწყის; მაგრამ ამას არად ავლებს ის, ვინაც ახლოა და ო ს წედობასთნ. ამის შესახებ ბუერი მსჯელობს; მაგრამ ის, ვინაც შეიცნო და ო, არ მსჯელობს, რამეთუ განმსჯელი ვერ დაეუფლება და ო ს. მახილ მზერას მნიშვნელობა არა აქვს და ო ს სახილველად; ამიტომ, სჯობს დავიდუმით ბაგე, ვიდრე ვიდაით; და ო ს ვერ მოვისმენთ; ამიტომ სჯობს დავისმით ყურნი, ვიდრე ვაჟურადით. სწოვად ამას ეწოდება უდიდესი სიბრძნე“ (16,280—282).



„ღაო ღე ძინში“ გამოვლენილმა ეთიკურმა მოძღვრებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა არა მხოლოდ ყოფიერებასა და ადამიანის ინდივიდუალურ სფეროში, არამედ სოციალურ სფეროშიც. ღაო-ში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ ეთიკას და ამ ეთიკაში პიროვნული ზნეობის მონაწილეობას. თუკი პიროვნებას საზოგადოების საფუძვლად ვაღიარებ, მაშინ პიროვნული ეთიკა სოციალური ეთიკის საფუძველთა საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, და ოს მოძღვრება თანაბრად განეფიქრება მთელ სამყაროს: შორეული პლანეტებით დაწყებული და დამთავრებული ხელმწიფის ზნეობით. ღაო-ში იცავდა მონარქიული სახელმწიფოს პრინციპებს, სხვათაგანად წარმოუდგენელიც იქნებოდა; იგი არ იცნობდა მმართველობის სხვა ფორმას. მეორეს მხრივ ისიც შეიძლება ითქვას, რომ იქნებ მაქ, თავისი და ოს წყალობით შეუხდუდელე უსასრულობაში რომ დახეტიალებდა, მონარქიული სახელმწიფო თავისუფლების შეზღუდვად მიანდა; მაგრამ რაკი კაცობრიობამ და კაცთა მოდგმამ აღიარა ხელმწიფების ასეთი, — და იქნებ იმ ეტაბზე საუკეთესო ფორმა, — ის ცდილობდა სახელმწიფოს კანონები და შინაგანი წესრიგი და ოს კანონებისა და წესრიგისათვის დაემორჩილებინა. ღაო-ში აღიარებდა მონარქიული სახელმწიფოს არსებობას, მაგრამ არა დესპოტიზმსა და ძალმომრეობაზე აგებულს, არამედ იერარქიულ წესრიგზე დაყრდნულ სახელმწიფოს, სადაც ყოველივეს თავისი ადგილი ექნებოდა მიჩნეულია. ასეთია ბუნების დიდი კანონზომიერება. დაამოწებულა უარყოფა, დატავთა და მდამითონ თანაგრძობა, ღრმა რწმენა იმ სოციალური ინსტიტუტის გაუკეთებებისა, რაც ხალხის დამინებასა და ძარცვას ეფუძნება — აი, უმთავრესი ნიშანი ღაო-ძის სოციალური ეთიკისა. ღაო-ში, როგორც ვთქვით, მონარქიული ინსტიტუტის მომხრეა, ანუ იმ წესრიგისა, რაც ძველთაგან მოდის და რისი შეცვლისა სურვილიც მისივე მოძღვრების საპირისპირო იქნებოდა. ღაო-ში თვლიდა, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა ბუნებით წესრიგს ემყარება, ბუნებით იერარქიას და რომ ხელმწიფისა და სახელმწიფოს გარეშე არც ერთ საზოგადოებას არსებობა არ ძალღობს. მაგრამ ის ცდილობს მის ამაღლებას სათნოების იერარქიული კიბით, ზნეობრივი სრულქმნის საფეხურებით. როგორც ერთიან და განუყოფელ და ოს მოქმედს ყოველი არსი წესრიგში, ასევე სახელმწიფოებრივი ცხოვრებაში მონარქიული ერთმმართველობა აერთიანებს ხალხს და მსოფლიო წესრიგის კანონს ემყარება.

ღაო-ში სახელმწიფოსა და ხელმწიფის მისეული გააზრებისას ჩინელთა ეროვნულ შეგნებასა და უძველეს ტრადიციებს ემყარებოდა. არქ. ქრისანფი წერს: „ჩინეთში სახელმწიფო არის ყველაფერი და ყველაფერი არის სახელმწიფო. სახელმწიფოებრივი ცხოვრება ციური ცხოვრების გამოცხადებაც არის. ცის მეფეება აქ კვლინდება ყველაზე სახიერად. სახელმწიფო არის ცის განსაკუთრებული გამოვლინება, ხოლო წინამძღვარი, ვისი წყალობითაც ცა მუდმივად დაღაღებს, არის ცის ძე — ხელმწიფე. იგი საზოგადოებრივი ცხოვრებაში ციური საწყისის გამოხატულებაა, ხოლო ხალხი — მიწიერი საწყისისა. ხელმწიფე ი ან ძალის მატარებელია, ხოლო ხალხი — ი ძალისა. ამიტომ ის ქურუმი ქურუმიც არის, ბრძენიც, ხალხის წინამძღვარი. მისში, როგორც წერტილში, თავს იყრის ხალხის ცხოვრება. მხოლოდ მას ერთს აქვს უფლება ცა ა მსხვერპლი შესწიროს და ღოცვა დაღვიწიოს, როგორც ხალხის მსახურმა და ცის მორჩილმა. ამიტომ ბედის ცა მის ა, მისი სიციცხველი, მისი სიკვდილი — ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სამყაროულ მოვლენებს შორის. ის მხოლოდ ცის მორჩილია. მისი პიროვნება ხელმწიფეებელია და დვთაებრივი. ამიტომ ღაო-ში ყველგან ამ პრინციპმა აღიარებეს. როგორც კი ეს პრინციპი დაირღვევა (ხელმწიფისა თუ ხალხის მხრიდან), უმაღლე დიადი წესრიგიც ირღვევა და ქვეყნად შფოთი ისაღდურებს. მაგრამ ხელმწიფე, მუუფე ხალხისა, სულაც არ არის დესპოტი (მისი ხელმწიფობა არ გამოდინარეობს დესპოტიზმიდან). იგი ხალხის წინამძღვარია და ცის მიერა მყოვინებულა, ბრძნულ საფუძველზე მღვარი, ისეთივე მაგალითი, როგორც წარსულის ხელმწიფე — კანონმდებელი. იგი „ძაბა ხალხისა“ და მოვალე იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე“. „ისტორია ჩინეთისა — განაგრძობს ხიჩსანფი, — მართლაც, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში თან თვთად, გვაუწყებს სახელმწიფოებრივი სათნოების უამრავ მაგალითს ჩინეთის იმპერატორთა სახით. ჩინეთის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი ცის მეფეების სახელით ხალხს იმის უფლებასაც კი ანიჭებს, გამოაცხადოს თავისი პროტესტი, თავისი უკმაყოფილება სახელმწიფოებრივი უფლებათა მიმართ. თავად სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო კანონები იყო უადრესად მსუბუქი და უწყინარი“ (33,150).

ღაო-ში შფოთიანი ეპოქის შვილი იყო და აღელვებდა ჩინეთის სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა. მის სურდა დაესხნა არა მხოლოდ ჩინელი, არამედ მთელი კაცთა მოდგმა დაცემა-გადგვარებისაგან, რის მიზეზადაც იგი მგრძობელობას, ნებლობის თავაშეკრებულებას, მშფოთვარებას, კაცთმოძულეობას, სიხარტეს, ძალმომრე-

ობას, სიმღიდრისა და განდიდებისაკენ ღრუბლვას აღიარებდა. ლაო-ძი ფიქრობდა, რომ როცა სიმღიდრე აზრს დაკარგავდა, ქურდობაც მოიხსობოდა; როცა დიდება აზრს დაკარგავდა, მძულვარებაც მოიხსობოდა. დიდება შურს ბადებს, შური კი — სიძულვილს. და ო ს უნდა მორჩილებდეს ვეღა და ვეღაფერი. ლაო-ძის მიზანი იყო დაეთრუნა ადამიანის მშფოთვარე ვნებები, რასაც ტირანია და ჩაგვრა კიდევ უფრო მეტად აცხოველებდა, და მიბერუნებინა იგი პრეკლქმნილი სულიერი და ხორციელი მღვთაშრომისაკენ, როცა ცხოვრების კანონად „დიადი“ დო“ იყო აღიარებული და როცა „კატომრფვარობასა“ და „სამართლიანობას“ ჯერ კიდევ არ ერქვათ თავიანთი სახელები. როცა უნდა ეს ამ ცნებებს თავიანთი სახელები და კაცთა შგნებაში გამოაცალკევის ისინი, წარმოიშვა მათი საპირისპირო ცნებებიც: „კატომრძულვობა“ და „უსამართლობა“. როცა დიდ საკვრეულო ოჯახებში ჯერ კიდევ სრული თანხმობა და მორჩილება სუვევდა, „მეთა მოწონება“ და „მამათა სიყვარული“ არ ყოფილა არანვეულებრივი მოვლენა; როცა სახელმწიფოში სრული წესრიგი სუვევდა, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი სიყვარული და სამშობლოსადმი ერთგულება. ლაო-ძი უარყოფდა ისეთ მოძღვრებას, რასაც მხოლოდ სიყალბე ედო საფუძვლად და ბოროტებას თესდა ხალხში. იგი თავისი მოძღვრებით ცდილობდა, შთავეონებინა გზაჯვარედინზე მოქცეულ კაცთათვის, მუდამ რომ თავიანთ უკეთესობასა და სხვათა უწინდრობას ამტკიცებენ, მჭკვერტეველება და ღამაზსიტყვაობა რომ უმცერება, უსახნო ყბედობა, ხოლო სიბრძნე — დუმილია და უტყვი მოკრძალება. გაუთავებელი ყბედობა კი ყოველთვის ართულებს სახელმწიფო საქმეებს; პოლიტიკას თავმდაბლობა და თვითუარყოფა შვენის. ვეღამ რომ მაცრად შეაფასოს თავისი ღირსებები, არ აღხვევდეს სხვებზე; დაცხროს ვნებები და უარყოს ბოროტეული სურვილები — ქვეყნად სიმშვიდე და მშვიდობა გაამუფდება.

„დაო ღე ძინში“ განსაკუთრებით წამოწეულია ხელმწიფის ანუ იმპერატორის ზნობრივ-ეთიკური სახე და მისი სახელმწიფოებრივი ღანიშულება. ზოგად ხაზებში იგი ასეთია: ხელმწიფეს ცა ნიშნავს და ყოველივე ამას ხალხის ნება აღასტურებს. იმ კანონთა დაცვა, არ დაკანონებულია სახელმწიფოში, ვეღლება იმპერატორსაც, ვეღლება მას უბირველეს ყოვლისა, ვეღლება როგორც ცი ს ძეს (ტიან-ძი), რომელიც მოიცავს ერთიან საზომაო ერთობლიობას. იმპერატორი უმორჩილება მხოლოდ ცის კანონებს, ცის კანონთა ძალას; ხოლო მისი ქვეშევრდომნი ისვე ემორჩილებიან მას, როგორც თავად იგი — ცის კანონებს (12,471). ვიდრე ხელმწიფე ამართლებს ხალხის ნდობას და

მორჩილებს თავის იდეალურ ბუნებას, ტახტი მას ეკუთვნის. მაგრამ იგივე ძალას, რამაც იგი ტახტზე აიყვანა, ძალუძს დაამხოს ხელმწიფის ძალაუფლება, თუკი გადაუხვევს და ო ს გზას. ცა აღარ მფარველობს მას და ხალხიც არდვევს თავის ფიცს: აღარ ემორჩილება იმპერატორს და იწყება საყოველთაო აღრეულობა. „...ხელმწიფე არის არა მხოლოდ ღმერთის ნაცვალი მიწაზე, არამედ მისი ჭეშმარიტი მიწური გარდასახვა. ამიტომ ხელმწიფე მიწური დეათების სახით „ცის ძედ“ იწოდებოდა, ხოლო მისი ხელმწიფობა — „ღვთაებრივ ძალად“. ხელმწიფე „ცის მრადგილის“ ხარისხით შუამავლად ითვლებოდა ხალხსა და ბუნების ძალთა შორის. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მეფეს უნდა ემოგზაურა თავის ქვეყანაში და პირადად შეეწარა მსხვერპლი ღმერთების წმინდა მიტებში, რაც ხაზს უსვამდა ძველ-ჩინური სახელმწიფოს თეოკრატიულ ხასიათს“ (3,653). თუკი ხელმწიფე მშვიდობიანი და თავისუფალია ვნებებისაგან, ხალხი სამართლიანობის გზით ივლის და თავადვე გამოძენის მარტივად ცხოვრებას გზას. ბრძენი ხელმწიფე მწუხარების ვარეშე მართავს სახელმწიფოს, რადგანაც მან უწყის ზომიერების ფასი. „დაო ღე ძინში“ კეთილუცობთ: „ყოვლანდბრძენი არ ამძიმებს ხალხს: ოდეს გახელმწიფდება ცისქვეშეთში. ყოვლანდბრძენი არ ბატონობს ხალხს: ოდეს გაწინამძღვრდება ცისქვეშეთში“; „ხელმწიფე თუ უხვია და მშვიდად ხელმწიფებს: ხალხი კეთილია და ბედნიერი. ხელმწიფე თუ შლეგია და მრისხანედ ხელმწიფებს: ხალხი უკეთურია და უბედური“. ნამდვილი ხელმწიფე მორჩილად ცხოვრობს, სიხარბის ვარეშე; მიუღტვის არა ცრუმტკვევლებას, არამედ სიმშვიდესა და უმოქმედობას. უკეთუ ხელმწიფე ფლობს და ო ს ამ კატეგორიებს, მას ძალუძს იყოს დამთმენი და განცდიანი, ძალუძს ხალხთან ერთად განახორციელოს მოძღვრება ინდივიდუალური ზნობისა. ხელმწიფე უმაღლესი წესრიგია იერარქიულ სახელმწიფოში; ამიტომ იგი იცავს უმოქმედობის კანონს, ანუ არ მძლავრობს და ხწორედ ამით და ამინარად მოქმედებს. მისი დაწვლილ განუხომელია. ლაო-ძი ამბობს: „თუ მას (და ო ს) დაიმოძღვრენ მეფენი და დიდებულნი: ყოველი არსი თავისით მოიპოვებს სიმშვიდეს. ცა და მიწა მწუხობად შეერწყმის და ცის ნამი მიწას მოეფენება. ქვეყნად ბედნიერება და კეთილდევობა გაამუფდება. ხალხი ბრძანების ვარეშე და მშვიდდება“.

იმპერატორი არის უზენაესი მმართველი, მასში იკრებს თავს მთელი ძალაუფლება და მოღვაწეობათა ერთობლიობისა (12, 472). ეს ძალები საჩინოვებობა ავრთვეუ ხალხთა სფეროშიც, განსაკუთრებით გარდაცვლილ წინაპართა სახეში, რადგან მიწ-

ნულია, რომ ადამიანი სიკვდილის მერე იქნის უმალეს მე ს, ანუ როცა იგი განთავისუფლებულია ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებისაგან. იმპერატორი განავებს როგორც ცოცხალთა, ისე მკვდართა საუფლოს, მკვდართა სულსაც იმპერატორი აუთუნებს თავიანთ განსახლებულ თანამდებობებს და მათს იქით-აქით გადაინაცვლებასაც იგი აწესრიგებს. ამის ისტორიულ ნიმუშად ჰქვევს მოჰყავს აღმოსავლეთი ჯოუს დინასტიის პირველი იმპერატორი უ-ვანის მოღვაწეობა. ეს დაბნელებით ძვ. წ. 1122 წელს განეკუთვნება. ახალი დინასტიის დამკვიდრებისას ყველაფერი უნდა შეცვლილიყო როგორც მიწაზე, ისე ზეცაში; წინა დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი დი ს ი ნ ი ც ვლად მარბოტი გენია და ეს ბოროტი გენია მართავს ქვეყანას. ახალმა იმპერატორმა ახალი კანონები შემოიღო, ახალი მუსიკა, ახალი ცეკვები, ყველგან ახალი მოხელე დასვა. ცოცხლებსაც და მკვდრებსაც ახალი განმეგებლები დაუნიშნა იმპერატორმა. შიავარი ამოვიანა იყო წინა დინასტიის სამარხების განადგურება, ანუ წინაპართა კულტის მოსპობა, რაც აქამდე ახახიერებდა გაბატონებულ ძალაუფლებას ოჯახებსა და ბუნებაზე, რადგანაც ახალ სამეფოში შემოინარა ოჯახები, რომელნიც ძველ დინასტიას ემსახურებოდნენ, და ამ ოჯახების მთელ რიგ წარმომადგენლებს დიდი თანამდებობა ეკავათ, განსაკუთრებით არმიოში, ხოლო მათი შეურაცხყოფა ახალ იმპერატორს გაუფრთხილებლობაში ჩამორთმეოდა და მის დირსებასაც შეღახავდა, უნდა გამოძებნილიყო რაღაც ხერხი, რაც ამ პირთა გარდაცვლილი წინაპრებისა თუ ნათესავების დირსებას არ შეღახავდა. უ-ვანმა თავი დალაწია ამ მდგომარეობას შემდგენიარად: მას შემდეგ, რაც დღეაქამდე ქაქუჩი ჩაქურეს ხანძარი, გაჩაღდებოდა იმპერატორ ს ი ნ ი ც ბრძანებით, — სამიპერატორო სასახლე რომ გაენადგურებინა მთელი თავისი განმეგობით, — იმპერია და ძალაუფლება გადავიდა უ-ვანის ხელში. დღეა წუთი, როცა იგი იმპერატორის ტიტულით უნდა წარმდგარიყო დღეაქამდე, უნდა წარმდგარიყო ხალხის პირისპირ და მიეცა მისთვის კანონები. ვიდრე ამას მოიძოქმედებდა, მან ხალხს აუწყა, რომ არ შესწევს ამის თანხა მანამდე, ვიდრე არ მოიყვანს შწყობრსა და წესრიგში ც ა ს თ ა ს თავის დამოკიდებულებას. მის მიერ შედგენილი სახელმწიფო კანონები ორ წიგნს მოიცავდა: ერთში იყო ახალი კანონები, ხოლო მეორეში — სახელები და თანამდებობანი გენიებისა (გარდაცვლილთა სულებისა). შე ნ ი ე ბ ა დ წოდებულნი; ისინი უნდა ყოფილიყვნენ იმპერატორის ძალაუფლების ახალი წარმომადგენლები ბუნებათა საუფლოში, როგორც მანდარინები ახორციელებდნენ იმპე-

რატორის ძალაუფლებას ხალხთა საუფლოში (12, 472—474).  
 ლაო-ძის სოციალურ ეთიკაში უარადღებდის დირსია ომის ეთიკა, როგორც სახელმწიფოსა და ხელმწიფების განუყოფელი აუცილებლობა. ლაო-ძისთვის ომი არაკანონზომიერია და უკანონობა, მიუტევებელი დანაშაულია. მაგრამ იგი მინც ვერ უარყოფს ომს, როგორც გარდაუვალ კაცთა მოღმისთვის. ამიტომ მას თავისი ეთიკა აქვს, და ამ ეთიკის დაცვა ყველა ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის მოვალეობა; რადგანაც ომი არის სასტიკი დარღვევა ბუნებობის კანონისა, იგი უბრისპირდება და ო ს არსს, ანუ აბსოლუტურ სიკეთეს. ლაო-ძი ამბობს: „ვიცნა და ო ს მორჩილებით ხელმწიფებს: არ იპყრობს და მჭერით ქვეყნის... სად დაშვარს ვაუვლია: იქ ძუძუ-ეკალს გადაუვლია. სად ომები ამტყდარა: იქ შიმშილიანობის წლილი დამტყდარა“. „ქველი მხედართმთავარი არ ლაშქრობს. ლაშქრობის მხოლოდ მაშინ: ოდეს საომრად აიძულებენ. შვიდობა და სიქველ: აი, მისი უხუნანესი მუშევრე. იგი მჭუნხვა გამარჯვების ჟამს... ტირილი გემართებს კაცთა კვლის ჟამს. მჭუნხვარება გემართებს გამარჯვების ჟამს. გლოვა გემართებს გვათა ზეიმის ჟამს“.  
 ასეთია მოკლე ლაო-ძის მოძღვრების ძირითადი აზრი.

\* \* \*

ლაო-ძის მთელი მოძღვრება ზეადამიანური არსებობისაკენ ღრუფით არის გამსჭვალული. იგი ორიგინალური მოძღვრება არა მხოლოდ ფილოსოფიური და მეტაფიზიკური აზროვნების სიღრმით, არამედ ეთიკური და ზნეობრივი მრწამსითაც. ლაო-ძის და ო ს არის მხოლოდ აბსტრაქტული, შერეული და მიუწვდომელი. იგი ჩვენს გარშემო ბრუნავს, ჩვენთვის ძვეს და ჩვენშივეა სამიუბელი. „შვიგან თავი შენი“, — ბრძანებდა ლაო-ძი ძველ ბერძენთა დარად. ამასვე ბრძანებდნენ ძველი ინდოელები და ეგვიპტელები. უკუთვ დრმად გავიზარებთ და ო ს ბუნებობის კანონს, ვერწმუნებთ, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა მარადი ღრუფა ადამიანისა პირველქმნილი სიმარტივისა და უბრალოებისაკენ, სიკეთისა და სიფარულიისაკენ, სათნოებისა და სრულქმნისაკენ, სიმშვიდისა და მშვიდობისაკენ. სწორედ ესაა ერთადერთი გზა, რითაც ადამიანს ძალუძს შეიცნოს თავი თვისი და უმალეს სიბრძნეს დაუფუფლოს. „უხედაქსი“ და „უქვედაქსი“ ყოფიერების თანხმობა, ამ თანხმობის ჩვენზე თავში მიგნება და შეცნობა, მშვიდი და პარმონიული თანახმობა თვისტომთა შორის — აი ეს არის და ო. „ვიცნა თანხმობის უბრებს ფლობს: იგი უცვლელობას უფლობს ვინცა არცა უცვლელობას

ფლობს: იგი გასხივოსნებას ფლობს, — ბრძანებს ლაო-ძი. ჩინელი ბრძენის მოძღვრება ყოველდღიურ ცხოვრებაში ეხმარება ადამიანს შვიცნოს საკუთარი „მე“ ამ უსასრულო სამყაროში და იაროს სრულქმნისაკენ მიმავალ გზაზე. ვივეკანანდას თქმით, თუ რომელიმე ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებას არ შესწვევს უნარი მოაქციოს კაცი სიკეთისა და სათნოებისაკენ, მხოლოდ აბსტრაქციაა და არავითარი სარგებლობის მოტანა არ ძალუძს. ამის დიად ნიმუშად იგი ვედებსა და უპანიშადებს ასახელებს, „დაო ღე ძინიც“ უზენაეს ზნეობრივ და ეთიკურ, უზენაეს ადამიანურ არსებობას ამკვიდრებს ქვეყნად. ამიტომ არის „დაო ღე ძინი“ მარად თანამედროვე ქმნილება, ხოლო მისი შემოქმედი — უკვდავი და მრავალკვაშიერი.

ლერი ალიშინაკი



მხოლოდ  
ბუნებრივი  
ფილოსოფია  
**განყოფილება**

II

ლათ-ძი

● ბინ

დაო ღე ძინი



## წიგნი პირველი

### I\*

და ო რომ გვებილა:  
და ო არ იქნებოდა უცვლელი.  
სახელი რომ გვებოდა:  
სახელი არ იქნებოდა უცვლელი.

გამოუთქმელია დასაბამი:  
ცისა და მიწის.  
მფლობელი სახელისა:  
დედაა ყოველი არსისა.

ჭეშმარიტად:  
ვინცა დაიპურა ვნებები:  
იხილა და ო დაფარულისა.  
ვინცა დაიპურა ვნებებმა:  
იხილა და ო ყოფიერისა.

ერთია ორივეს დასაბამი.  
სახელებია სხვადასხვა.  
ამ დასაბამს — დაფარული ჰქვია.

დაფარული დაფარულისა:  
ბჭეა ყოველივე საიდუმლოსი.

### II\*

ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში:  
შშენიერი რომ შშენიერი:  
იშვა სიმახინჯეც.  
ოდეს შეიცნეს ცისქვეშეთში:  
სიკეთე რომ სიკეთეა:  
იშვა სიბოროტეც.

\* ვარსკვლავით აღნიშნული თავი განმარტებულია.

ჭეშმარიტად:

ყოფიერი და არყოფნა ერთმანეთს შობს,  
მძიმე და მსუბუქი ერთმანეთს შეიქმნს.  
გრძელი და მოკლე ურთიერთს განწონის.  
მაღალი და დაბალი ურთიერთს ფლობს.  
ბგერათა შერწყმა თანხმობას იქმნს.  
წინმაველი და უკანმაველი ერთმანეთს მორჩილებს.

ამიტომაა:

ყოვლადბრძენი უმოქმედოა და იქმნს.  
ყოვლადბრძენი მდუმარია და გემოდვრავს.  
ამიტომ იშვის ყოველი არსი.  
იშვის და ყოველგან მიმოიბერის.  
ყოვლადბრძენი არ ბატონობს მათ.

ყოველივეს შეიქმნს და:

არ ეუფლება შექმნილს.

ყოველივეს აღძრავს და:

არ ეუფლება აღძრულს.

ყოველივეს სრულქმნის და:

არ ეუფლება სრულქმნილს.

აღასრულებს საქმეთ და:

არ მედიდურობს.

არ მედიდურობს და:

ყოველივე მას მორჩილებს.

### III\*

ბრძენს ნუ სცემთ თავყანს:

და ხალხში მოისპობა შუღლი.

ნუ განადიდებთ ძვირფას ნივთებს:

და მოისპობა პარვა კაცთა შორის.

ნუ წარმოაჩენთ სურვილთა აღსაძრავს:

და არ იბოხოქრებს ხალხის გული.

ამიტომაა:

ყოვლადბრძენი ხელმწიფებს და:  
ხალხს ტანს უცარიელებს.

ტანს უცარიელებს და:

ხორცს აღუვსებს.

უუძლურებს წაიღოს და:

უძტკიცებს ძვლებს.

ნიადაგ იმას მიეღტვის:

ხალხს რომ ცოლნა და ვენებები

არ ამწუხრებდეს.

ხოლო მცოდნენი:

ვერ ბედავდნენ მოქმედებას.

უმოქმედობას სიმშვიდე მოაქვს.

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს.

იქმნს და უმოქმედოა.

უმოქმედოა და:

ყოველი არსი მას მორჩილებს.

### IV\*

ღ ა ო ცარიელია.

ცარიელია, მაგრამ ამოვლინებისას:

ამოვლევულია.

ო, რა ღრმაა და დაფარული!

ღ ა ო ა მამა ყოველი არსისა.

ღ ა ო ა უძრავებს მოძრაობას.

ღ ა ო ა წესრიგებს ქაოსს.

ღ ა ო ა ფერმკრთალებს ბრწყინვალეებას.

ღ ა ო დიკრებს მცირეთა-მცირეს.

ო, რა უწმიდესია!

ღასაბამიდან მოღვივლებს და:

მარადიულია.

მე არ ვიცი — საიდან იშვა იგი.

მე ის ვიცი —

ცის მეუფებას რომ წინაუძღვის.

### V\*

ცა და მიწა:

არ ვლობს კაცთმოყვარეობას.

ერთია მათთვის:

არსი ყოველი თუ ჩაღის ძაღლი.

ყოვლადბრძენი:

არ ფლობს კაცთმოყვარობას.

ერთია მისთვის:

კაცი თუ ქალი თუ ჩაღის ძაღლი.

სივრცე ვრცელდება ცისა და მიწის:

ო, როგორ ჰგავს მჭედლის საბერველს!

იგი ცარიელია, მაგრამ ამოულეველია.

რაც უფრო სავსეა სიცარიელით:

მით მეტს მოძრაობს.

რაც მეტს მოძრაობს:

მით უფრო ივსება სიცარიელით.

ვინცა ბევრს ღადაღებს: მარცხდება.

ზომიერებაა ყოველივეს ძირი და ფუძე.

## VI\*

უკვდავია სული უწმიდესი.

იგი მღერია დაფარულისა.

მარადიული ბჭეა დაბადებისა.

საშო, საიდანაც იშვის:

დასაბამია ცისა და მიწის.

დაუსრულებლად იქმს და იძვრის.

დაუშრეტელია საშო შესაკმისა.

ვინცა დაეუფლება უწმიდეს სულს:

გაუკვდავდება.

## VII\*

ცა და მიწა მარადიულნი არიან.

რად არიან ცა და მიწა მარადიულნი?

თავიანთთვის არ არსებობენ.

აი, რად არიან მარადიულნი.

ამიტომია:

ყოვლადბრძენი ყოველივეს მორჩილია.

მორჩილია და გაწინამძღვრებული.

უარყოფს ხორციელ ტანს და:

სოფლიურ მარადისობას ერთვის.

ნუთუ არაფერია:

ის რომ ხორციელ ტანს უარყოფს?

სწორედ ამით არის სრულქმნილი.

სრულქმნილია და მრავალგამიერი.

## VIII

უმაღლესი სათნოება წყალს ჰგავს.

წყალს წყალობა მოაქვს ყოველი არსისთვის.

წყალობა მოაქვს და:

არ თიშავს ერთმანეთისაგან.

ერთმანეთისაგან რომ არ თიშავს:

არც ებრძვის მათ.

იგი იქ ბუდობს:

სად ხორციელს არ ძაღუქმს ყოფნა.

ამიტომ ჰგავს და ოს.

ჭეშმარიტად:

უმაღლესი სათნოება — მორჩილებას მიეღტვის.

სათნოება ღუმილისა — სიღრმეს მიეღტვის.

სათნოება გაცემისა — სიფარულს მიეღტვის.

სათნოება დამოძღვრისა — სიწრფელს მიეღტვის.

სათნოება ხელმწიფებისა — წესრიგს მიეღტვის.

სათნოება ქმნისა — სიბრძნეს მიეღტვის.

სათნოება მოქმედებისა — სიმშვიდეს მიეღტვის.

ყოველივე დიად თანხმობას ქმნის.

განუკითხველია:

ვინცა დიად თანხმობას ქმნის.

## IX

სჯობს სულაც არაფერი ქმნა

და არც სისავსეს მიეღტვოდე.

თუ რაიმე მბრწყინავს დღენიადგ აბრწყინებ:  
ფერქროვალდება.

თუ დარბაზონი განძეულით გაქვს ავსილი:  
არავის ძალუმს მისი დაცვა.

თუ მდიდარნი და დიდებულნი შედიდურობენ:  
თავად იუბედურებენ თავს.

კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს:

სიმარტოვეში უნდა უკუდგეს.

კაცი, საქმეს რომ აღასრულებს:

სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს.

აი რა არის და ო ბუნებითი.

### X

ვინცა სულსა და ხორცს ამთლიანებს:  
აღწევს მთლიანობას?

სული ხომ ერთიანია და შეურევნელი.

ვინცა ავსილია უწმიდესი სულით

და ფლობს უხილველ ძალებს:

მორჩილია, ვითარცა ჩვილი.

ვინცა ავსილია უწმიდესი სულით

და ფლობს დაფარულის საიდუმლოს:

უცთომელია და ჭამგრძელი.

ვინცა სიყვარულით ხელმწიფებს:

არ მოქმედებს და იქმს ბევრს.

ვინცა იხილა ციური ბჭენი:

თვინიერია, ვითარცა მღვდრი.

ვინცა შეიცნო დაფარულის აზრი:

შეულწევადია, ვითარცა აზრი.

ჰქმენ და: ირწმუნე.

ჰქმენ და:

არ დაეუფლო ქმნილს.

აღძარ და:

არ დაეუფლო აღძრულს.

იხელმწიფე და:

უარყავ ხელმწიფება.

ეს არის უმაღლესი დ ე.

### XI\*

ოცდაათი მანა ერთ მორგვზე ბრუნავს.

მაგრამ ზორბლის არსს:

მორგვში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

ჭურჭელს თიხისგან აშზადებენ.

მაგრამ ჭურჭლის არსს:

მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

კარ-ფანჯრებს კედლებში ჭრიან.

მაგრამ სახლის არსს:

მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის.

ჭეშმარიტად:

ვინცა შეიცნო ყოფიერი —

ვითარცა სავსება და ხილვადი:

მანვე შეიცნო არყოფნა —

ვითარცა სიცარიელე და უხილვადი.

### XII\*

ხუთნაირი ფერი:

აბრმავეებს თვალს.

ხუთნაირი ბგერა:

ახშობს ყურს.

ხუთნაირი გემო:

ანლუნებს გემოვნებას.

დოღი და ნადირობა:

აღაგზნებს გულს.

იშვიათი ნივთები:

აუბედურებს კაცს.



ამიტომია:

ყოვლადბრძენი დაფარულს მიეღტვის  
და არა ხილვად მშვენიერებას.

იგი უძიებს დაფარულს.  
უარყოფს ყოფიერს.

### XIII

ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც.  
დიდებაც ისეთივე ტვირთია, ვითარცა ხორცი.

რას ნიშნავს:

„ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც?“

ეს ნიშნავს:

შიშით იხვეჭენ კაცნი დიდებას

და შიშითვე კარგავენ მას.

სწორედ ამას ნიშნავს:

„ორივე საშიშია: დიდებაც და დაცემაც.“

რას ნიშნავს:

„დიდებაც ისეთივე ტვირთია, ვითარცა ხორცი?“

ეს ნიშნავს:

ხორცი უმძიმესი ტვირთია.

ხორცს რაჟამს დავთრგუნავთ:

დღად სიმშვიდეს დავუეწულებით.

ჭეშმარიტად:

ვინცა შიშობს ცისქვეშეთის ხელმწიფებას:

უნდა გავახელმწიფოთ ცისქვეშეთში.

ვინცა მწუხარებს ცისქვეშეთის ხელმწიფებას:

უნდა მივუბოძოთ ცისქვეშეთი.

### XIV

გუმზერ და ვერ ვხვდავ:  
ამიტომ ვუწოდებ უხილავს.

ვუსმენ და არ მესმის:

ამიტომ ვუწოდებ უმხოს.

ველტვი და ვერ ვწვდები:

ამიტომ ვუწოდებ დაფარულს.

აუხსნელია ამ სამთა კავშირი.  
ერთიანია ამ სამთა კავშირი.

მისი ხე არ არის გასხივონებული.

მისი ქვე არ არის გაწყვიდადებული.

იგი დაუსაბამოა.

დაუსაბამოა და:

არაეინ უწყის სახელი მისი.

იგი კვლავ არყოფნას უბრუნდება.

იგი ის არის, რასაც ჰქვია:

სახე არასახიერისა.

ხატი არახატერისა.

იგი ის არის, რასაც ჰქვია:

აუხსნელი და გაუცხადებელი.

მარადიული საშო სამყაროსი.

მივებალები და:

ვერ ვჭვრეტ მის სახებას.

მწინამძღვრობს და:

ვერ ვჭვრეტ მის საროსტანს.

შეუღვე უხსოვარ და ოს და:

დაეუფლები ამაჟამინდელ ყოფიერებას.

შეუღვე უხსოვარ და ოს და:

შეიცნობ უხსოვარ დასაბამს.

აი ეს არის და ოს არის.

### XV

ძველად, ვინცა მუუფებდა ხალხს:  
იყო სათნო და ყოვლისმხილველი.

ფლობენენ:

ყოველივე უმცირესს.

ყოველივე ილუმაღს.

ყოველივე შეუღწევადს.

იყენენ დაფარულნი და მიუწვდომელნი:

არვის ძალუძდა წვდომა მათი.

ღიადი იყო გარესახე მათი.

არვის ძალუძდა დაუფლება მათი.

უკეთუ დაფარულნი იყვნენ:

ნებისად აღვეწერ მათ.

ისინი იყვნენ მოშიშნი:

ვითარცა მავალნი ხამთრისას ნიაღვარში.

ისინი იყვნენ მერყევი:

ვითარცა დამფრთხალნი ახლომდგომთაგან.

ისინი იყვნენ თავაზიანნი:

ვითარცა წვეულნი უცხოდ.

ისინი იყვნენ ფრთხილნი:

ვითარცა მავალნი მოღიპულ ყინულზე.

ისინი იყვნენ უბრალონი:

გაურანდავი ხის ღარად.

ისინი იყვნენ ვრცეულნი:

ვრცეულ მინდორთა ღარად.

ისინი იყვნენ განუჰკრეტელნი:

მღვრიე წყლის ღარად.

ვის ძალუძს:

შენერება და ცხადქმნა მათი?

ვის ძალუძს:

დამშვიდება და გაჟამგრძელება მათი?

ისინი და ის მორჩილებდნენ.

მორჩილებდნენ და ის და:

კმარობდნენ მცირედს.

კმარობდნენ მცირედს და:

სისავსეს არ მიელტვოდნენ.

სისავსეს არ მიელტვოდნენ და:

განახლება არ სურდათ

განახლება არ სურდათ და:

კმარობდნენ ძველს.

კმარობდნენ ძველს და:

იყვნენ სრულქმნილნი.

## XVI\*

ვინცა აღივსო სიცარიელით:

აღივსო უღიადესი სიმშვიდით.

ყოველი არსი მშვიდად იშვის.

მშვიდად შეერთვის თავის დასაბამს.

ვინცა აღივსო უღიადესი სიმშვიდით:

აღივსო სიცარიელეში არსთა წრებრუნვით.

ვინცა იხილა —

არსთა დიდი ნაირგვარობა:

მანვე იხილა —

დასაბამში მათი დაბრუნება.

დასაბამში დაბრუნებას — სიმშვიდე ჰქვია.

სიმშვიდეს — არსში დაბრუნება ჰქვია.

არსში დაბრუნებას — მარადისობა ჰქვია.

ვინცა შეიცნო მარადისობა:

გახსივოსნდა.

ვინცა ვერ შეიცნო მარადისობა:

გაწვედიადდა.

მარადისობის შეცნობა:

წესრიგია და სიკეთე.

მარადისობის შეუცნობლობა:

უწესრიგობა და უკეთურობა.

მარადისობის შეცნობი:

უწმიდეს სულს ფლობს.

უწმიდესი სულის მფლობელი:

სამართლიანობას ფლობს.  
სამართლიანობის მფლობელს:  
ხელმწიფება ხელეწიფება.

გახელმწიფებული — ცას ეხიარა.  
ცას ზიარებული — ღა ო ს ეხიარა.

ღ ა ო უხსოვარია და მარადიული.  
ღ ა ო ს მფლობელი მრავალგამიერია:  
გვამი იხრწნება, სული — უკვდავია.

### XVII\*

კეთილია ხელმწიფე:  
ვინცა დუმს და არას ითხოვს ხალხისგან.  
უკეთურია ხელმწიფე:  
ვინცა სიყვარულსა და დიდებას მოითხოვს ხალხისგან.  
შლეგია ხელმწიფე:  
ვის წინაშეც ძრწის ხალხი.  
გულბორთია ხელმწიფე:  
ვინცა ეზიხდებათ.

ჭეშმარიტად:  
ვისაც არა სწამს, არც ის სწამთ.  
ურწმუნობაა ძირი ურწმუნობისა.

ო, რა გვიანია სიტყვა:  
ბრძნული დ ღაუნჯებული!

ვინცა დაიუნჯა და დაითმინა:  
ღირსებით აღასრულა საქმე.  
ვინცა ღირსებით აღასრულა საქმე:  
მისი სწამთ და ამბობენ:  
ბუნებულობას მორჩილებსო.

### XVIII\*

ოღეს უარყვეს დიადი დ ა ო:  
„კაცთმწყვარეობა“ და „სამართლიანობა“ იშვა.

ოღეს ცრუბრძნობა გამეფდა:  
პირმოთენობა იშვა.

ოღეს ექვს ნათესავს შორის განხეთქილებაა:  
მაშინ იშვის —  
„ქეთა მოწიწება“ და „მამური სიყვარული“.

ოღეს სახემწიფოში უწესრიგობა სუფევს:  
მაშინ აღზვედებიან „ერთოვლი მსახურნი“.

### XIX\*

აღიკვეთეთ ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება  
და ასგზის ბედნიერი იქნება ხალხი.  
აღიკვეთეთ „კაცთმწყვარეობა“ და „სამართლიანობა“  
და აღსდგება ქეთა მოწიწება და მამური სიყვარული.  
აღიკვეთეთ ცბიერება და სიხარბე  
და აღიკვეთება ქურდობაც და ავანაზობაც.  
სამივე ცოდნის უკმარობით წარმოდგება.

ჭეშმარიტად:  
მხოლოდ ის ეზიარა მარადიულს:  
ვინცა გაიბუნება სიწმიდე და უბრალოება.  
ვინცა შეიხლუა სურვილები და დაიცხოვრ ვნებები.  
ვინცა უარყო ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება.

### XX\*

ოღეს ცრუმეტყველება მოისპობა:  
დიადი სიშვეიდე დაისადგურებს.

ო, რა მცირეა სხვაობა:  
ჰოსა და არას შორის.  
და რა დიდია სხვაობა:  
კეთილსა და ბოროტს შორის.  
რასაც ხალხი ეთავყენება:  
შენც მას უნდა ეთავანო.  
ო, რა უცაცრიელობაა!  
ო, რა გაუღწევლობაა!

ჯერაც არ დამეარებულა:  
ღიადი თანხმობა.

ყველა ხარობს, სახეიმოდ წვეულან თითქო.  
გაზაფხულის მოახლებას ზეიმობენ თითქო.  
მე უბრალო ვარ.  
მე ერთი ვარ შშვიდად და უწინრად.  
მე არვინ მიხმობს.  
მე ყრმას ვგავარ:  
ვინცა ჯერაც არ მოეღენილა.  
ო, დამაშვრალი უალაგოვ!  
სად არს ალაგი განსასვენები!

ყველა სიმდიდრით ავსილა:  
მე ერთი ვფლობ სიცარიელეს.  
ყველა საითკენმე მიიჭარის:  
მე ერთი ვგავარ ყოვლის უარმყოფელს.  
ყველა ბრწყინავს და გამოჩინებულია:  
მე ერთი ვარ ტანი სულელისა.  
ო, რა ცარიელია იგი!  
ყველა სინათლით ავსილა:  
მე ერთი ვგავარ გაწვედიადებულს.  
ყველა სიხარულით ავსილა:  
მხოლოდ მე ვარ მოშიშო!  
ყველას ცნობისწადილი კლავს:  
ჩემთვის სულერთია ყველაფერი.

მე ზღვას ვგავარ:  
უწილოს და ჩაყამებულს.  
მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში:  
უსასთუმლო და უნავსაყუდლო.  
ყველა თავის სარგებელს ეძიებს:  
მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს.

მხოლოდ მე ვარ:  
ყველასაგან განსხვავებული.  
მე ვმოინილებ:  
და ო ს დასაბამს.

ღიადი დედაო დან ამოვლინდება.  
და ო უსახიერია და აუხსნელი!  
ო, უსახიეროვ და აუხსნელო!  
ძალძის მივწვდუ სახიერებას შენსას.

და ო უარსებო და გარსმოუცველი.  
ო, უარსებოვ და გარსმოუცველო!  
ძალძის მივწვდუ არსებას შენსას.

და ო უძირო და წვედიადოვანი:  
მავრამ უმაღლესი ყოფიერებაა.  
იგი უმაღლეს უმცდარობას ფლობს.

უსსოფრობიდან მეუფებს სახელი მისი.  
ყოველი არსიც მისით იშვის.

კით შვეიცნობ არსთა დასაბამს?  
მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობით.

ძველად ამბობდნენ:  
„არასრულქმნილი — გასრულქმნილდება.  
დაქუცმაცებული — გამოვლიანდება.  
მრუდი — განიშართება.  
აღუვსებელი — აღივსება.  
ძველი — დანახლდება.  
ვინცა მცირედს მიელტვის:  
ბევრს მოიხვეჭს.  
ვინცა ბევრს მიელტვის:  
მცირედსაც დაკარავს.“

ყოვლადბრძენი სრულქმნილია და ხატია ცისქვეშეთის.  
იგი არ კმარობს მხოლოდ თავის მზილველობას:  
ამიტომ ნათობს კაცთა შორის.

მხოლოდ თავის თავს არ თვლის სამართლიანად:  
ამიტომ ფლობს ჭეშმარიტებას.  
არ დიდკაცობს: ამიტომ აღიდგენს.  
განდიდებას არ მიელტვის:  
ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.  
არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში.

წინაპართა თქმული:  
„არასრულქმნილი — გასრულქმნილდება,  
მრული — განიმართება“;  
განა ფუჭი სიტყვებია?  
იგი ნამდვილად მიუძღვის კაცს:  
ჭეშმარიტი სრულქმნილიავენ.

### XXIII

დაღუძდი და დამორჩილი ბუნებითობას.  
ღუძილი შეიქმს ქვეყნად თანხმობას.

მძლავრი ქარი ვერ იბობოქრებს სამხრამდე.  
თავსხმა წვიმა ვერ გასტანს მწუხრამდე.  
ვინ იქმს ყოველივე ამას?!  
ცა და მიწა.

ხომ უწყით:  
ცახა და მიწახაც არ ძალუძთ —  
რაიმეთა გაუაზრებელება, არათუ კაცს.  
ამიტომ მორჩილებს და ოს.

ვინცა მორჩილებს და ოს:  
და ოს თანაარსია.  
ვინცა მორჩილებს დეუს:  
დეუს თანაარსია.  
ვინცა მორჩილებს წარმავალს:  
წარმავლის თანაარსია.  
ვინცა და ოს თანაარსია:  
და ოს დაეუფლება.

ვინცა დეუს თანაარსია:  
დეუს დაეუფლება.  
ვინცა წარმავლის თანაარსია:  
წარმავალს დაეუფლება.  
ჭეშმარიტად:  
ვინცა ურწმუნოა:  
ურწმუნობას დაეუფლება.

### XXIV

ცერებზე აწეულს:  
არ ძალუძს დიდხანს დგომა.  
სწრაფად მავალს:  
არ ძალუძს დიდხანს სვლა.

ვინცა ფიქრობს, ყოველივე ვუწყით:  
არა უწყის რა.  
ვინცა დიდებას მიელტვის:  
ვერ ეღირსება დიდებას.  
ვინცა განდიდებას მიელტვის:  
ვერ გაწინამძღვრდება.

თუ და ოს დავიმოძღვრავთ:  
ყოველივე ეს — ფუჭია და ამაოება.  
ახეთნი სძაგს ყოველ არსს.

ამიტომაც:  
ამას არა იქმს ის:  
ვინცა დაეუფლა და ოს.

### XXV

აი არსება:  
გარსმოუცველი, ქაოსში ამოვლენილი!  
აი არსება:  
ცისა და მიწის უადრეს შობილი!

ო, მღუმარეო! ო, არასახიერო!  
მარტოყოფია და უმოძრაო.  
ყოველგან მიმოიძვრის და უსამზღვრობა.  
იგი დედაა სამყაროსი.

მე არ ვუწვი სახელი მისი:  
გარეშემოვწერ და და ო ს ვარკმევ.  
უკეთუ და ო ს ვარკმევ;  
დი ა დ ს ა ც ვარკმევ.

და ო დ ი ა დ ი ა.

ს ი დ ი ა დ ე — სიშორეში გაღწევაა.  
სიშორეში გაღწევა — უსასრულოში გარდაცვლაა.  
უსასრულოში გარდაცვლა — დასაბამში დაბრუნებაა.

ჭეშმარიტად:  
და ო — დიადია.  
ც ა — დიადია.  
მიწა — დიადია.  
ხელწიფეც — დიადია.

სამყაროში ოთხი დიადია:  
მათ შორის — ხელწიფეც.

კაცი მიწის კანონს მორჩილებს.  
მიწა ცის კანონს მორჩილებს.  
ც ა და ო ს კანონს მორჩილებს.  
და ო — და ო ს კანონს მორჩილებს.

## XXVI

მძიმეა საფუძველი მსუბუქისა.  
უძრაობაა საფუძველი ძრაობისა.

ამიტომაა:  
ყოვლადბრძენი — შეუსვენებლად მავალი:

ნიადაგ თან ახლავს უმძიმეს ეტლს.  
არ აკლია დიდება და ბრწყინვალება:  
მაგრამ არ ინთქმება დიდებაში.  
მან უწყის წარმატებლობა სოფლისა.  
ხოლო მეუფე ათი ათასი ეტლისა —  
მედიდური და გვირგვინოილი:  
რად მრისხანებს!?  
მოუთმენლად რად უმზერს ქვეყნიერებას!?  
მრისხანება ამხვრევს მის საფუძველს.  
ხოლო მოუთმენლობით — მეუფებას კარგავს.

## XXVII

ვინცა ნაწრთობია სვლაში:  
კვალს არ ტოვებს.  
ვინცა ნაწრთობია მჭკვრემტყველებაში:  
დუმს.

ვინცა ნაწრთობია თვლაში:  
არ ცდება.

ვინცა ჩარაზვა უწყის:  
ურდულს არ ხმარობს.  
მაგრამ რაზავს ისე:  
გაღება მისი შეუძლებელია.

ვინცა გაკვანბა უწყის:  
ბაწარს არ ხმარობს.  
მაგრამ კვანძავს ისე:  
გამოხსნა მისი შეუძლებელია.

ამიტომაა:  
ყოვლადბრძენი მზარველია და თანამდებობელი ხალხისა:  
ხალხი ამიტომ არ არის უთვისტომოდ.  
ყოვლადბრძენი მზარველია და მხსნელი ყოველი არსისა:  
ყოვლადბრძენი ამიტომ არ არის უთვისტომოდ.  
ამას ჰქვია უმაღლესი გასხივოსნება.

ჭეშმარიტად:  
კეთილი — მოძღვარია უკეთურთა.

უკეთური — საფუძველია კეთილთა.

უკეთუ უკეთურნი —

არ ეთაფანებიან მოძღვარს

და მოძღვარი —

უარყოფს საფუძველს:

თუმც მცოდნედ მოაქვთ თავი —

უმეტრებაში ჩანთქმულან.

ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე.

### XXVIII\*

ვინცა შეიცნო მამრობა თვისი:

მანვე შეიცნო მღვდრობა თვისი.

იგი ველია სამყაროსი.

ვინცა ველია სამყაროსი:

მარადიულ დე ს ეუფლება

და ჩვილის მღვთმარეობას უბრუნდება.

ვინცა შეიცნო ნათელი თვისი:

მანვე შეიცნო წყვიდადი თვისი.

იგი ხატია სამყაროსი.

ვინცა ხატია სამყაროსი:

მარადიულ დე ს ეუფლება

და პირველდასაბამს უბრუნდება.

ვინცა შეიცნო სიდიადე თვისი:

მანვე შეიცნო სიმცირე თვისი.

იგი შესაკრებელია სამყაროსი.

ვინცა შესაკრებელია სამყაროსი:

უმაღლეს დე ს ეუფლება

და ბუნებითობას უბრუნდება.

უკეთუ ბუნებითობა აღიგეგბა:

საიდუმლო ჭურჭლად გარდიცვლება.

ყოვლადბრძენი მისი წყალობით გაწინამძღვრდება.

გაწინამძღვრება და:

ღიადი თანხმობა არ დაირღვევა.

### XXIX

ვინცა მძღავრობით ეუფლება სამყაროს:

აქლანვე ვჭვრეტ — ვერ მიაღწევს საწაღელს.

სამყარო საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს:

შეხება მისი არ ეგების.

ვინცა შეეხება:

ხელყოფს მის თანხმობას.

ვინცა დაეუფლება:

დაკარგავს მას.

ქეშმარიტად:

ყოველი არსი ცვალებადია:

ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან.

ზოგი თბილია, ზოგი ცივი.

ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი.

ზოგი ყვავილობს, ზოგი ჭკნება.

ზოგი სრბის, ზოგი დგას.

ამიტომია:

ყოვლადბრძენი უარყოფს განდიდებას.

ყოვლადბრძენი უარყოფს ფუფუნებას.

ყოვლადბრძენი უარყოფს ბრწყინვალეებას.

### XXX

ვინცა დაოს მორჩილებით ხელმწიფებს:

არ იპყრობს ლაშქრით ქვეყნებს.

მან უწყის:

რასაც მიაგებ, იმასვე მოგაგებენ.

სად ლაშქარს გაუვლია.

იქ ძემე-ეკალს გადაუვლია:

სად ომები ამტყვარა:

იქ შიმშილობის წლები დამდგარა.

ქეშმარიტად:

ქველი მხედართმთავარი იმარჯვებს და ჩერდება.

იმარჯვებს და არ მძღავრობს.

იმარჯვებს და არ შედილობს.  
იმარჯვებს და არ იმონებს.  
იმარჯვებს და არ ქედმაღლობს.  
იმარჯვებს — ოდეს აიძულებენ საომრად.  
იმარჯვებს — მაგრამ არ არის მზვობარი.

ოდეს არსება უმაღლეს ძლიერებას აღწევს:  
სუსტდება და ხრწნა ეუფლება.  
იგი არ შორჩილებს და ო ს.

ვინცა არ შორჩილებს და ო ს:  
ხანმოკლეა მისი არსებობა.

### XXXI . . .

აღჭურვილ ლაშქარს უბედურება მოაქვს.  
ყოველ არსებას სძაგს იგი.

ამიტომაც:  
ვინცა და ო ს შორჩილებს:  
არ ლაშქრობს.  
ვინცა და ო ს შორჩილებს:  
შვილია და ჩრდილში დგას.  
ვინცა და ო ს არ შორჩილებს:  
ლაშქრობს და დიდებას მიეღწევს.

ლაშქარი — უბედურების წყაროა.  
ქველი მხედართმთავარი არ ლაშქრობს.  
ლაშქრობს მხოლოდ მაშინ:  
ოდეს საომრად აიძულებენ.  
შვილობა და სიქველე:  
აი მისი უზენაესი საფუძველი.  
იგი ჭმუნავს გამარჯვების ვაშს.

ვინცა ზეიმობს გამარჯვებას:  
ზეიმობს კაცთა კვლას.  
ვინცა ზეიმობს კაცთა კვლას:  
ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს.

შვილობის დროს იმას მიაგებენ პატივს:  
ვინცა ჩრდილს მიეღწევს.  
იმის დროს იმას მიაგებენ პატივს:  
ვინცა დიდებას მიეღწევს.

მხედართმთავარი ჩრდილში განმდგარა.  
გამარჯვებას — ხელმწიფე ზეიმობს.  
მხედართმთავარი შუხრს გარემოუცავს:  
გვამთა ზეიმს ყურობდეს თითქო.

ტირილი გემართებს კაცთა კვლის ვაშს.  
ქმუნვარება გემართებს გამარჯვების ვაშს.  
გლოვა გემართებს გვამთა ზეიმის ვაშს.

### XXXII\* . . .

და ო მარადიულია და გამოუთქმელი.  
თუმცა უჩინოა და არარა:  
არაფერს ძალუმს დამორჩილება მისი.  
თუ და ო ს დაიმოდვრენ მეფენი და დიდებულნი:  
ყოველი არსი თავად მოიპოვებს სიმშვიდეს.  
ცა და მიწა შუფობრად შერწყმის  
და ცის ნაში მიწას მოეფინება.  
ქვეყნად ბედნიერება და კეთილდღეობა გამეფდება.  
ხალხი ბრძანების გარეშე დამშვიდდება.

ოდეს დიადი წესრიგი დამყარდა:  
ყოველს თავისი სახელი ეწოდა.  
სახელთა დასახლევრეს სავანთა საზღვრები.  
ვინცა შედგა და შეიცნო სავანთა საზღვრები:  
საფრთხისაგან დაიხსნა თავი.

და ო ს ყოფიერი გარწერილობა:  
ტბას ჰგავს და ზღვას.  
მას შეერთიან მდინარენი დაუსრულებლად.  
და ო განფენილია სამყაროში.  
ყოველი არსი მას შეერთვის:  
კითარცა მდინარენი — ტბებსა და ზღვებს.



ვინცა სხვათა შემცნობია:  
 განმჭვრეტელია.  
 ვინცა თავისი თავის შემცნობია:  
 გასხივოსნებულია.  
 ვინცა სხვათა მძლეველია:  
 ძლიერია.

ვინცა თავისი თავის მძლეველია:  
 მძლეთამძლეა.  
 ვინცა გარეყოფიერს მიეღტვის:  
 ვენება შლილიც.  
 ვინცა არყოფნის უჭვრეტს:  
 სრულქმნილიც.

ვინცა საკუთარ გარწერილობას ფლობს:  
 მრავალგამიერია.  
 ვინცა წარუვალში გარდიცვალა:  
 მარადილია.

ღიადი და თ ყოველგან განფენილა:  
 არის აქეთაც, არის იქითაც.  
 არის ხვეითაც, არის ქვევითაც.  
 არის აქაც, არის იქაც.

მისი წყალობით იშვის არსი ყოველი:  
 მისი მადლით ცოცხლობს მარად ყოველი.  
 ღიადია ღვაწლი მისი.  
 ღიადია და არ ღიადობს.

ყოველ არსს სიფარულით გარემოიცავს.  
 გარემოიცავს და არ მკუფებს მათ.

უენებოა და:  
 ამიტომ უწოდებენ არარას.  
 მცირეა და:

შესაკრებელია მცირე-მცირეთა.  
 ყოველი არსი მას შეერთვის და:  
 არ მკუფებს მათ.  
 ამიტომ უწოდებენ დიადს.  
 არ ღიადობს და:  
 ამიტომ არის დიადი.

ყოვლადბრძენიც არ ღიადობს.  
 ღიად საქმეებს იქმს და:  
 არ ღიადობს.  
 არ ღიადობს და:  
 ამიტომ არის დიადი.

ვინცა შეიცნო ღიადი პირველგარწერილობა:  
 მთელმა ცისქვეშეთმა გაიწინამძღვრა.  
 გაიწინამძღვრა და მწუხარებას განერიდა.  
 განერიდა მწუხარებას და მოიპოვა სიმშვიდე.  
 მოიპოვა სიმშვიდე და მშვიდობა.  
 დაეუფლა ერთიანობა და ზესოფლიური თანხმობა.

ჭეშმარიტად:  
 ოდეს უხედავის და უქედავის გაერთსოფლიურდება:  
 მოხეტიალევ კი მოწინებით მასთან შედგება.  
 ოდეს და ოს ბაგეთაგან აღმოთქვენ:  
 გაუფერულდება და გაჯგმურდება.

ვინცა და ოს ხილულად უშერს:  
 მისთვის განუჭვრეტელია იგი.  
 ვინცა და ოს ბგერებში უსმენს:  
 მისთვის დახმულია იგი.  
 ვინცა და ოს მოისახმარისებს:  
 მისთვის მიუწვდომელია იგი.

რაიმე რომ შევკუმშოთ:  
 ჯერ უნდა გავაფართოვოთ.  
 რაიმე რომ დავასუსტოთ:  
 ჯერ უნდა გავაძლიეროთ.  
 რაიმე რომ მოვსპოთ:  
 ჯერ უნდა აღმოვაცნოთ.  
 რაიმე რომ მოვიკაოთ:  
 ჯერ უნდა გავცეთ.

ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე.

რბილი სძლევეს მკვარს.  
 სუსტი სძლევეს ძლიერს.

თევზს არ ძალუძს დასტოვოს წიაღი.  
 ხალხმაც არ უნდა უწყოდეს:  
 დაფარული კანონები ხელშეწყობისა.

## XXXVII\*

და ო მარად უმოქმედოა.  
 მაგრამ ისეთი რაა:  
 იგი არ იქმნოდეს.

უკეთუ მეფენი და დიდებულნი დაემოდგნენ:  
 ყოველი არსი თავისთავად სახეიცვლება.  
 ხოლო თუ სახეცვლილნი მოქმედებდ აღიძვრიან:  
 უსახიერ გარწერილობით შევანერებ მათ მოქმედებას.  
 უსახიერ გარწერილობას არა აქვს ვნებები.

ვნებათა უარყოფას სიმშვიდე მოაქვს.  
 სიმშვიდე კი — სამყაროს თანხმობერებას შეიქმნს.

## XXXVIII\*

ვინცა უმაღლეს დე ს ფლობს:  
 დე ს შესახებ არაფერი უწყის.  
 ამიტომ ფლობს უმაღლეს დე ს.  
 ვინცა უდაბლეს დე ს ფლობს:  
 მუდამ ახსოვს — დე ს რომ ფლობს.  
 ამიტომ ფლობს უდაბლეს დე ს.

ვინცა უმაღლეს დე ს ფლობს:  
 არ მოქმედებს.  
 უქმობს და ამიტომ არ მოქმედებს.  
 ვინცა უდაბლეს დე ს ფლობს:  
 მოქმედებს.  
 არ უქმობს და ამიტომ მოქმედებს.

ვინცა უმაღლეს კაცთმოყვარეობას ფლობს:  
 უქმობს და ასე მოქმედებს.  
 მოქმედებს და თავად უმიზეზოა და უნინარი.  
 ვინცა უმაღლეს სამართლიანობას მიეღტვის:  
 მოქმედებს.  
 მოქმედებს და პატივ-დიდებას მიეღტვის.

ვინცა უმაღლეს თავყვანისცემას მიეღტვის:  
 მოქმედებს.  
 მოქმედებს და ამიტომ არ თანაჯრძნობენ:  
 ხოლო თუ არ თანაჯრძნობენ.  
 თავად აიძულებს ყოელს სათაყვანოდ.

ჭემშარიტად:  
 ვინცა და ო ს კარგავს:  
 დე ს იძენს.  
 ვინცა დე ს კარგავს:  
 კაცთმოყვარეობას იძენს.  
 ვინცა კაცთმოყვარეობას კარგავს:  
 სამართლიანობას იძენს.

ვინცა სამართლიანობას კარგავს:  
თაჟვანისცემას იძენს.

თაჟვანისცემა შედეგია:  
რწმენისა და ერთგულების დაცემისა.  
ღიადი თანხმობის დამხობისა.  
შეცნობა გარეყოფიერისა:  
ღ ა ო ს წარმაველი ყვაეილობა.  
წარმავლობა და დასაბამი უმეცრებისა.

ამიტომია:  
ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს:  
და უკუყურის გარეჯანს.  
მოსითელის ნაყოფს ყვაეილობისა:  
და უკუყურის ყვაეილს.  
დაეუფლება არსს და უარყოფს გვამს.

XXXIX . . .

დასაბამითვე ერთიანობით მოცულა ყოველი:  
ერთიანობამ მიუბოძა ცას სიწმიდე.  
ერთიანობამ მიუბოძა მიწას სიმშვიდე.  
ერთიანობამ მიუბოძა სულს სიღბო.  
ერთიანობამ მიუბოძა ტბას სისავსე.  
ერთიანობამ მიუბოძა ყოველ არსს სიცოცხლე.  
ხელმწიფენი და წინამძღვარნი ერთიანობით არიან:  
ცისქვეშეთის მეუფენი და მოძღვარნი.

ერთიანობა იქმს ყოველივე ამას.  
ცისთვის რომ სიწმიდე არ ებოძებინა:  
ჩამოიქცეოდა.  
მიწისთვის რომ სიმშვიდე არ ებოძებინა:  
დაიშლებოდა.  
სულისთვის რომ სიღბო არ ებოძებინა:  
შთაინთქებოდა.  
ტბისთვის რომ სისავსე არ ებოძებინა:  
დაიშრიტებოდა.  
ყოველი არსისთვის რომ სიცოცხლე არ ებოძებინა:

გაუდაბურდებოდა.  
ხელმწიფენი და წინამძღვარნი რომ  
არ გამომღვრებულეიყვნენ:  
დაემხოზოდნენ.

ქეშმარიტად:  
უწინონი — საფუძველია ჩინებულთა.  
ხოლო მდაბინონი — დიდებულთა.  
ხელმწიფენი და წინამძღვარნი  
ამიტომ უწოდებენ თავიანთ თავს:  
„მიუსაჭარს“, „ობოლნ“, „უბედურს“.  
ეს იმად, რომ ისინი:  
მდაბიით აღიარებენ თავიანთ საფუძველად.

ქეშმარიტად:  
ბორბალი რომ დავშალოთ:  
მისგან არაფერი დარჩება.

ნუ იბრწყინებ, ვითარცა ბრილიანტი.  
იყავ უბრალო, ვითარცა ქვა.

XL\* . . .

ღ ა ო ს მოძრაობა — ყოფიერში გარდაცვლაა.  
ღ ა ო ს გარდაცვლის არსი — სისუსტეა.

ყოველი არსი ყოფიერმა შვა.  
ხოლო ყოფიერი — არყოფნამ.

XLI\* . . .

ვინცა ღრმად შეიცნო ღ ა ო :  
მის განხორციელებას მიელტვის.  
ვინცა მცირედად შეიცნო ღ ა ო :  
ხან ბოულობს, ხან კარგავს მას.  
ვინცა ვერ შეიცნო ღ ა ო :  
დასცინის ღ ა ო ს .

რომ არ დასცინოდეს:  
და ო არ იქნებოდა და ო.

ამიტომ თქმულა ძველად:

ვინცა გაისხივოსნა და ო:  
გაწყდიადებულს ჰგავს.  
ვინცა შთაწვდა და ო ს:  
შეშცეულს ჰგავს.  
ვინცა აუმაღლდა და ო ს:  
გზააბნეულს ჰგავს.

ვინცა უმაღლეს სათნოებას ფლობს:  
ტბას ჰგავს.  
ვინცა უმაღლეს სიწმიდეს ფლობს:  
განკიცხულს ჰგავს.  
ვინცა უმაღლეს ზნეობას ფლობს:  
ბრიყვს ჰგავს.

ვინცა სათნოებას ქადაგებს:  
ქურდს ჰგავს.  
ვინცა სამართლიანობას ქადაგებს:  
მმართველს ჰგავს.

უღიადეს ოთხკუთხედს კუთხეები არ უნანს.  
უღიადეს ჭურჭელს დიდხანს აზზადებენ.  
უუმძლავრესი ხმა — უხმოა.  
უუღიადესი სახეება — უსახიერია.

და ო დაფარულია და გამოუთქმელი.  
მაგრამ მხოლოდ მას ძალუქს:  
არსებათა ხსნა და მათი სრულქმნა.

#### XLII\*

და ო შობს ერთს.  
ერთი შობს ორს.  
ორი შობს სამს.

სამი — ყოველ არსს.  
ყოველი არსი შეიცავს:  
„ინს“ და „იანს“.  
ავსილია „ცით“ ღა:  
ღიადი თანხმობით.

ხალხს სძავს სიტყვები:  
„მიუსაჭარი“, „ობოღი“, „უბედური“.  
ხელმოწერი და წინამძღვარნი:  
ასე უწოდებენ თავიანთ თავს.

ჭეშმარიტად:  
კაცნი ღიადობენ, ოდეს მდაბლდებიან,  
და მდაბლდებიან, ოდეს ღიადობენ.

ერთაც ხალხს მოძღვრავდნენ —  
შეც მით ვმოძღვრავ:  
ძლიერნი და უღმობელნი —  
არ კვდებიან ბუნებითი სიკვდილით.

ეს არის ჩემი დამოძღვრის არსი.

#### XLIII

სამყარო მშვიდია.  
ველაზე რბილი სძლევს:  
ველაზე მაგარს.  
არყოფნას მოუცავს:  
ველა და ვველაფერი.

აი რად ვუწყი:  
უძრავია რომ ძირია მოძრაობისა.  
სამყაროში მცირენი თუ ეუფლებიან:  
სიბრძნეს — დუმილით.  
მოქმედებას — უმოქმედობით.

რა უფრო არსებითია შენთვის:  
დიდება თუ თავად შენ?  
რა უფრო ძვირფასია შენთვის:  
თავად შენ თუ სიმდიდრე?  
რა უფრო მძიმეა შენთვის:  
შეიქნა თუ დაკარგვა?

ჭეშმარიტად:  
ვინცა ბევრს მონაგრობს:  
ბევრს ზარალობს.  
ვინცა ბევრს იხვეჭს:  
ჭეშმარიტებას კარგავს.  
ვინცა მცირეს კმარობს:  
არასოდეს წაწყმდება.  
ვინცა ზომიერებას მორჩილებს:  
უბედურებას ასცდება.

კაცი, დამთმენი ყოველივესი:  
მრავალჯამიერია.

უდიდესი სრულქმნილი არასრულქმნილს ჰგავს:  
მაგრამ მისი მოქმედება დაუსრულებადია.  
უდიდესი სისავესე სიცარიელეს ჰგავს:  
მაგრამ მისი მოქმედება ამოუღვეველია.  
უდიდესი მრუდი — წრფეს ჰგავს.  
უდიდესი სიბრძნე — სიბრძნევეს ჰგავს.  
უდიდესი მჭკვრემეტყველი — ენაბლუს ჰგავს.

მომრაობა ამარცხებს სიცოცხლს.  
უძრავობა ამარცხებს სიცხეს.  
სიმშვიდე შეიქმს თანხმიერებას.

ოდეს მორჩილებენ და ოს ცისქვეშეთში:  
უმაღესი ცხენები მიწას ხნავენ.  
ოდეს უარყოფილია და ო ცისქვეშეთში:  
საომარი ცხენები ძოვენ ყანებს.

უფრო დიდი ცოდვა არაფერია:  
ვიდრე ვნებაშლილობა.  
უფრო დიდი უბედურება არაფერია:  
ვიდრე სიხარბე.  
უფრო დიდი დანაშაული არაფერია:  
ვიდრე მომხვეჭელობა.

ჭეშმარიტად:  
ვინცა მცირედს კმარობს:  
მაღლიერია და ხარობს.

სახლიდან გაუსვლელად ეგების:  
სამუაროს შეცნობა.  
სარკმლიდან გაუხედავად ეგების:  
და ოს ჭკრეტა.

ვინცა მიმოიძვრის:  
ვერაფერს შეიცნობს.  
ამიტომაც:  
ყოვლადბრძენი არ იძვრის:  
მაგრამ ყოველივეს შეიცნობს.  
თვალდაწუხულია და ბნელში დგას:  
მაგრამ უჭვრეტს ხავანთა არსს.

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს:  
მაგრამ ყოველივეს იქმს.

ვინცა ეძიებს ცოდნას:  
 დღითიდღე იმდიდრებს ცოდნას.  
 ვინცა მორჩილებს დაოს:  
 დღითიდღე იმცირებს ვნებებს:  
 ვინცა ნიადაგ იმცირებს ვნებებს:  
 დიად უმოქმედობას აღწევს.

ისეთი არაფერია ქვეყნად:  
 უმოქმედობა რომ არ იქმოდეს.

უმოქმედობით ვეუფლებით ცისქვეშეთს.  
 ხოლო მოქმედებით — კვარავთ მას.

ყოვლადბრძენის გული ცარიელია.  
 მისი გული ხალხის გულთა შესაკრებელია.  
 მას შესწევს ძალი:  
 გაიბუნებოს ერის ახრი.

„კეთილთაგ სიკეთეს მივაგებ  
 და უკეთურთაგ სიკეთეს მივაგებ“.  
 ამ სიკეთით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.  
 „ერთგულთაგ ვერთგულებ  
 და ორგულთაგ ვერთგულებ“.  
 ამ ერთგულებით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.

ყოვლადბრძენი სიცარიელეში ცხოვრობს:  
 ამიტომ ცხოვრობს შვიდად და მარტო.  
 მისი გული დაფარულია და ცარიელი:  
 ყოველს თანაბრად მიაგებს მისაგებელს.  
 ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.  
 ამიტომ მორჩილებენ ცისქვეშეთში.

ყოვლადბრძენი ისე უშხერს ხალხს:  
 ვითარცა შვილსა და ყრმას.

ყოველივე ცოცხლობს და კვდება.

სიცოცხლეს ცამეტი საფეხური აქვს.  
 სიკვდილსაც ცამეტი საფეხური აქვს.  
 კაცობრივი სიცოცხლის საფეხურებიც —  
 ნიადაგ რომ სიკვდილს შეერთვის:  
 ცამეტია.  
 რა არის ამის მიზეზი?  
 ცხოველი ღტოლვა სიცოცხლისადმი.

მე მსმენია:  
 ვისაც სიცოცხლე შეუცვნია და დაუთმენია:  
 მისთვის ვფუხსა და მარტორქას არა უვნია.  
 აბჯარაუსხმელი და უიარაღო:  
 ვერ შეუერთია ხმალთაკვეთებას.

მარტორქა ვერსაით ჩანცემს რქას.  
 ვეფხი ვერსაით ჩააბრჯენს ჭანგს.  
 მახვილი ვერსაით განგმერს მას.

ჭეშმარიტად:  
 ვინცა შეიცნო სიცოცხლე და დათმინა:  
 მისთვის არ არსებობს სიკვდილი.

დაო შობს ყოველ არსს.  
 დე კვებავს ყოველ არსს.  
 სიდიადე მათი:  
 ხორცქმნის ყოველ არსს.  
 ძალა მათი:  
 სრულქმნის ყოველ არსს.

ისეთი არაფერია ქვეყნად:  
 დაოს რომ არ მორჩილებდეს  
 და დეს არ ეთაყვანებოდეს.

და ო ს იმად მორჩილებენ  
და დ ე ს იმად ეთაყვანებიან:  
ისინი რომ არას ითხოვენ.  
არას ითხოვენ და:  
ბუნებთობას მორჩილებენ.  
ამიტომ არიან:  
უცვლელი და მარადიული.

ჭეშმარიტად:

და ო შობს ყოველ არსს.  
დე კვებავს ყოველ არსს.  
ხორცქმნის და მფარველობს მათ.  
ზრდის და აწიფებს მათ.  
სრულქმნის და წინამძღვრობს მშობს.  
მზრუნველობს და თანალობს მათ.

შეჰქმენ და ნუ დაეუფლები.  
ხორცქმენ და ნუ იმედიდურებ.  
